ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 156 (12 532) 5 ივლისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 34 დღე



დინამოს ერთი ფეხბურთელი დაიწუნა

ქართული ფეხბურთი

2-5



ოლიმპიადაზე ბერძნების მედროშე ჯარჯი ზვიადაური იქნება

პეკინი 2008

11

# პრიმერა დივიზიონი არ ჩატარდება?

LFP

სკანდალი იტალიაში

LEGA CALCIO

## ისევ ჩაწყობილი მატჩები

6




ლევანტეს მაგალითი. ესპანეთში მასშტაბური გაფიცვისთვის ემზადებიან

6



80 პროცენტით მილანში

6

# ზედიზედ მესამედ

ფედერერი და ნადალი უიმბლდონის ფინალში



THE CHAMPIONSHIPS WIMBLEDON



15

ეროვნული ბიბლიოთეკა






# საგურამო: ლოკომოტივი, ამო, ამო!

თბილისის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ლექსო თოფურიამ ჩინებული პროექტი წამოიწყო. საგურამოში კლუბის ბაზა საქართველოში უნიკალური სპორტული კომპლექსი გახდება. სამუშაოების დასრულება ერთ წელიწადშია მოსალოდნელი, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ეს ბაზა სამაგალითო იქნება.

გუშინ „ლოკომოტივის“ დირექტორმა ირაკლი ჩოთალიშვილმა ჟურნალისტებს ბაზა დაგვათვალიერებინა და ჩვენი ემოციები თავს რომ არ მოგახვიოთ, აჯობებს, სურათები თავად იხილოთ – ვფიქრობ, პროექტის მასშტაბურობა და სილამაზე მოგხიბლავთ.

დღეისათვის რა გაკეთდა და რა დარჩა გასაკეთებელი: დააგეს მთავარი მოედნის ბალახის საფარი, რომელიც საუკეთესო ხარისხისაა. მას სამი მხრიდან ტრიბუნებს მიუშენებენ და 3-დან 5 ათას მაყურებელს დაიტევს. ტრიბუნებს შორის მცირე შენობა ჩაიდგმება, სადაც გასახდელები, საშხაპეები და სხვა ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

მთავარი სტადიონის გვერდით ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით და დაფინანსებით ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული მოედანი მოეწყობა. უმაღლესი ხარისხის ხალიჩა უკვე ჩამოტანილია და შემოდგომისთვის დააგებენ.

სათადარიგო მოედანზეც საუცხო საფარია, რომელიც ბაზის მთავარ შენობას ემიჯნება. შენობის პირველი სართული უკვე მოპირკეთებულია, მზადაა გასახდელები, საშხაპეები, ექიმების, დოპინგკონტროლის ოთახები, სამზარეულო, სასადილო, სამრეცხაო, ფიტნესდარბაზში სპორტული ინვენტარია შესატანი. იქვე განთავსდება თბილისის „ლოკომოტივის“ ოფისი. ესეც სექტემბერში იგეგმება.

მთავარი სტადიონის ტრიბუნები გაისად მოეწყობა. მშენებლობის დასკვნით ეტაპზე შედარებით მცირე ზომის ორი საფეხბურთო და ერთი საკალათბურთო მოედანი, აგრეთვე საჩოგბურთო კორტები აშენდება.

ეს ის საფუძველია, რომელიც ქართულ ფეხბურთს არ ჰქონდა. მსგავს სპორტულ კომპლექსებს თუკი სხვა კლუბებიც ააშენებენ, მათაც ეშველებათ და იქნებ, ჩვენი მიძინებული ფეხბურთიც გამოფხიზლდეს..

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოელი ინვესტორი?

# მესხეთით ორი თურქული კომპანია დაინტერესდა



გია მესხელი

გასულ სეზონში უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "მესხეთმა" კარგად ისასპარეზა - ახალციხელებმა მე-6 ადგილი დაიკავეს.. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, "მესხეთით" ორი თურქული კომპანია დაინტერესდა, რაც კლუბის პრეზიდენტმა **გია მესხელმაც** დაგვიდასტურა, თუმცა კომპანიების დასახელებისგან ჯერჯერობით თავი შეიკავა. შევიტყვეთ ისიც, რომ თურქულ მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მესხელით თქმით, ყველაფერი ივლისის ბოლოს ან აგვისტოს პირველ ნახევარში გადაწყდება. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე, გია მესხელთან ინტერვიუს "ლელოს" მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ახალციხელთ მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა** გუნდი უკვე შეკრიბა.თითქმის შენარჩუნებულია ის ბირთვი, რომელმაც შარშანდელი სეზონი ჩაამთავრა.

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა ბანაკში. სამზადისი

# დინამომ ნესვადბა გაუშვა

გერმანიაში, მოსამზადებელი შეკრების პირველივე დღეს თბილისის "დინამოში" ორი ჩეხი მცველი გამოჩნდა, **პაველ შირანეცი** და **იაროსლავ ნესვადბა**. ისინი "დინამომ" გასინჯვაზე აიყვანა და ორ საკონტროლო მატჩში გამოცადა - ქვედალიგელ "ბლაუ ვაისთან" (13:0) და იენის "კარლ ცაისთან" ( 1:2). იენელების ორივე გოლი ნესვადბას შეცდომებს მოჰყვა. ჰოდა, გუშინ შევიტყვეთ, "დინამომ" ეს მოთამაშე შინ გაისტუმრა, შირანეცი კი **რაინერ ცობელის** გუნდში ტესტირებას განაგრძობს. დღეს თბილისელები მორიგ ამხანაგურ მატჩს მესამე ბუნდესლიგის "ერფურტთან" გამართავენ.

**დავით ცაბაძე**



რაინერ ცობელმა სანკტ-პეტერბურგის ზენიტის ყოფილი მცველი ნესვადბა (№31) დაიწუნა

# ვინ იფრიალებს ფრიულიზე?

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, სად უმასპინძლებს 2010 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებს – 10 სექტემბერს იტალია-საქართველო ქალაქ უდინეს „ფრიულის“ სტადიონზე გაიმართება.

ეს პირველი საშინაო ოფიციალური მატჩი იქნება იტალიის ნაკრებში დაბრუნებული **მარჩელო ლიპისთვის**. საქართველოს ნაკრებისთვის კი უდინეზე მეოთხე იტალიური ქალაქია, სადაც „სკუადრა აძურას“ შეხვდება. აქამდე საქართველოს ნაკრებს პერუჯაში, ანკონასა და გენუაში უთამაშია. სამივე თამაში ჩვენებმა წააგეს ბურთების საერთო შეფარდებით 0:5.

"ფრიულზე" ნუხელ პირველმა „სქაი სპორტსმა“ გადასცა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები და მსოფლიოს ჩემპიონი მე-8 შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

თვალსაზრისი

# სომხებსაც ბევრი ნავთი აქვთ?



## ხელის წაკვრა ყველა ქანქარა მექანიზმს სჭირდება, ქართულ ფეხბურთს კი ასეთი ხელი ჯერაც ვერ გამოუჩნდა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) სწავლისას რამდენიმე აზერბაიჯანელი თანაკურსელი მყავდა, ძალიან კარგი და ცოტა არ იყოს, თავისებური ბიჭები. მაგალითად, ერთს საფულეში ყოველთვის ედო ლამინირეულ ყდაში ჩადებული ორი ფოტოგრაფია - **აბულფაზ ელჩიბეი** და **ჰეიდარ ალიევი**. მე მისი მიკვირდა, მას კი ჩემი და ხშირად მეკითხებოდა - ვიცით, რომ ქართველებს არ გიყვართ თქვენი პრეზიდენტი **შევარდნაძე**, მაგრამ არ ვიცი, რატომ, განა შევარდნაძე "მუჟიკი" არ არის? ვინც არ უნდა იყოს აზერბაიჯანის პრეზიდენტი, ის ყოველთვის "მუჟიკი" იქნება.

მას შემდეგ ხუთი წელიწადი გავიდა და აზერბაიჯანში არაერთხელ მომიწია ჩასვლა, მათ შორის მივლინებაშიც, როცა "ბაკიმ" ბოლნისის "სიონს" უმასპინძლა ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე.

დიდი ბანერები, რომელზეც ჰეიდარ ალიევი მეტყველი სახით რაღაცას ლაპარაკობს, მისი ვაჟი ილჰამი კი ყურადღებით უსმენს - ასეთებს შეხვდებით სადგურებზე, აეროპორტში და იმ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს.

ასეთ ქვეყანაში მოახერხეს და საქართველოზე უკეთესი საფეხბურთო მეურნეობა შექმნეს. აზერბაიჯანელებს ბევრი ნავთი აქვთ და მაგიტომ - ზოგი ალბათ ამით დაიმშვიდებს თავს, თუმცა არა მგონია, მხოლოდ ამაში იყოს საქმე - აზერბაიჯანი კუვეიტი ან საუდის არაბეთი არ არის, არც თენგიზის საბადოს დარი ნავთობის ვეება მარაგი აქვს - აზერბაიჯანში ხელისუფლებამ გამოიჩინა კეთილი ნება და ფეხბურთი ისეთ პრიორიტეტად აქცია, ლაპარაკს საქმე რომ მოაყოლა.

წინა სეზონში აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის ცხრა გუნდში ჩვიდმეტმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა, ლეგიონერი მწვრთნელი კი ერთი გვყავდა - **კახა ცხადაძე**, ვინც დამდეგი სეზონიდანაც "სტანდარდის" თავკაცი იქნება.

აზერბაიჯანში 2008-09 წლების სეზონისთვისაც აპირებენ წასვლას ქართველი ფეხბურთელები. ლენქორანის "ხაზარი", ნეფთჩი", "ბაკი" - ასეთ გუნდებში საკმაოდ კარგი ანაზღაურებაა, მხოლოდ ხელფასის სახით ფეხბურთელები წლიურ გასამრჯელოდ დაახლოებით 100 ათას დოლარს იღებენ, რომელსაც ემატება პრემიები და ეგრეთ წოდებული "პადიომნი" - ტრანსფერისას გადახდილი წინასწარი ბონუსი.

დანარჩენ გუნდებში თვიური ჯამაგირი დაახლოებით ხუთი ათასი დოლარია, არიან შედარებით ღარიბი კლუბებიც და ქართველი ფეხბურთელები იქ წასვლასაც არ თაკილობენ.

შენდება ახალი სტადიონები, იზრდება კლუბების ბიუჯეტი, ვითარდება საფეხბურთო ინფრასტრუქტურა - ასეთი ტენდენციაა აზერბაიჯანულ ფეხბურთში - ასე სურს ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს.

აზერბაიჯანულ ფეხბურთს ჯერ არ აქვს მნიშვნელოვანი წარმატებები სანაკრებო და საევროტურნირო სარბიელზე, მაგრამ ეს ალბათ დროის ამბავია - ჩვენი მეზობლები ფეხბურთში ფულის სწორად და ყაირათიანად ხარჯვასაც სწავლობენ - ქართველი ფეხბურთელებისთვის იქაურ გუნდებში მოწყობა უწინდელზე უფრო გაძნელდა, რადგან მოთხოვნები გაიზარდა - აზერბაიჯანელებს უფრო და უფრო ხარისხიანი ფეხბურთელების აყვანა სურთ.

რამდენიმე წლის წინათ კი რა არ ხდებოდა... მაგალითად, ბაქოს "ინტერმა" **ზაზა ზირაქიშვილთან** გააფორმა კონტრაქტი, ჩვენებურს "პადიომნიც" მისცა და ორი თვის ხელფასიც, მერე კი გუნდში მწვრთნელი შეიცვალა, ვინც თავისი გემოვნების ფეხბურთელები იახლა და ზირაქიშვილს იქიდან წასვლა მოუწია, თუმცა "პადიომნი" კი შერჩა.

ჩვენთან ცხოვლად უკირკიტებდნენ ფეხბურთის ფედერაციას **კლაუს ტოპმიოლერის** ხელფასზე, ვინაც საქართველოს ეროვნულ ნაკრების მწვრთნელობისთვის ორ წელიწადში დაახლოებით სამი მილიონი დოლარი აიღო. წლევანდელ აპრილს აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების თავკაცად **ბერტი ფოგთსი** რომ დაინიშნა, მისი ხელფასი ოფიციალურად არავის გამოუმზეურებია. ფოგთსის დანიშვნამდე ერთ-ერთი კანდიდატურა **კო ადრიანსე** იყო, რომლის აზერბაიჯანში სავარაუდო ტრანსფერზე **ლევან ყიფიანიც** მუშაობდა და მისგან შევიტყვეთ, რომ აზერბაიჯანელები ადრიაანსეს იმაზე მეტ თანხას სთავაზობდნენ, ვიდრე ტოპის ჰქონდა საქართველოში.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ საფეხბურთო ძიძგილაობა ოთხი წლის წინათ მოიმთავრა, მისთვის არასასურველ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ფულად მუსაევს** ხელები კარგად გადაუგრიხა და მის ადგილზე ალიევის ნახიჭევანური კლანის წარმომადგენელი **რამიზ მირზაევი** დააწინაურა.

საგადასახადო შეღავათები ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებს, პირდაპირი დირექტივა სახელმწიფო უწყებებს საფეხბურთო კლუბების დასაფინანსებლად, პრეზიდენტ ალიევის ფონდი - შესაძლოა, სხვა გზებითაც მოედინება ფული აზერულ კლუბებში.

ქართულ ფეხბურთს კი რა?

ამასობაში აზერბაიჯანში მოწყობას კიდევ ერთი, ასე თუ ისე წარმატებული ქართული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ცდილობს - თბილისის "ამერის" აწ უკვე ყოფილი კაპიტანი **გიორგი დავითნიძე**. ზოგი ქართველი ამ ცოტა ხნის წინათ უკვე იყო აზერბაიჯანში და დაიწუნეს.

ამბობენ, საფეხბურთო კლუბების მოფულიანებით სომხეთშიც გაგვისწრესო. 2005 წელს თბილისის "ლოკომოტივი" ერევანში "ბანანცს" რომ ესტუმრა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, იქაურ ჟურნალისტებს თუ საფეხბურთო მოხელეებს საგულდაგულოდ ვეკითხებოდი სომხური კლუბების დაფინანსებაზე. ნორმალურ გუნდებში ფეხბურთელის საშუალო ხელფასი ათასი დოლარიაო, მითხრეს და ყოველ შემთხვევაში ეს ციფრი სხვა წყაროებითაც გადავამოწმე. ქართველები ახლა სომხეთშიც მიდიან, "ვიტჯორჯიას" **ზაზა სახოკია** იქაურ "მიკაში" გადავიდა, არადა ვიტჯორჯიელებს ქართული საზომით ფული ცოტა არ აქვთ.

სომხეთზეც იმას ხომ არ გვეტყვიან, ბევრი ნავთი აქვთო?.

**დავით თავართქილაძე**



ჯორჯ აკირემი გაბონიდან საქართველოში ჩამოვიდა, დავითნიძე კი აზერბაიჯანში მიდის

# ტრნავა არც ისე ძლიერია

## მუმლაძეს უკრაინული მომზადების იმედი აქვს

თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ყირიმულ შეკრებაზე ერთი მატჩი უკვე ითამაშა - ოდესის "ჩერნომორეცთან" 2:2. ვიტელთა დამრიგებელ **რამაზ მუმლაძეს** უკრაინაში რომ შევეხმიანეთ, ჯერ უეფას თასის პირველ საკვალიფაკაციო ეტაპზე "ვიტ ჯორჯიას" მეტოქე ტრავნას "სპარტაკზე" ვთხოვეთ აზრის გამოთქმა.

*"ისეთი მეტოქე არ შეგვხვედრია, რომლის დამარცხება ჩვენთვის შეუძლებელი იქნება. მიმაჩნია, რომ სლოვაკური "სპარტაკი" არცთუ ძალიან ძლიერი გუნდია. თბილისში რომ დავბრუნდებით, ტრავნელებზე სრული ინფორმაცია დამხვდება. რაც შეეხება შანსებს, მჯერა ჩვენი გუნდის კარგი მომზადების. აქ, კრემტეპლიცის ბაზაზე ძალიან კარგი მოედნებია, სპორტული, კომპლექსური კვებაც არ გვაკლია და ჯერჯერობით ამინდიც ხელს გვიწყობს. რაც შეეხება ჩვენს ახალწვეულ ვახტანგ კვარაცხელიას შესაძლებლობებს კარგად ვიცნობთ და ამიტომაც ავიყვანეთ გუნდში. ბოლო დროს საგოლე მომენტების რეალიზაციაში მოვისუსტებდით და ამ თავდამსხმელის დამატებითაც ვეცდებით ამ ნაკლის გამოსწორებას. ახლა კვარაცხელიაზეა დამოკიდებული, დაიმკვიდრებს თუ არა ადგილს ძირითად შემადგენლობაში"* - გვითხრა მუმლაძემ.



რამაზ მუმლაძე

მომდევნო საკონტროლო მატჩს "ვიტ ჯორჯია" უკრაინის უმაღლესი ლიგის "ლუგანსკთან" გამართავს 6 ივლისს. შეხვედრა ევპატორიაში ჩატარდება და ვიტელებს კრიმტეპლიციდან 60-70 კილომეტრის გავლა მოუწევთ იქ ჩასასვლელად.

**დავით თავართქილაძე**

# უნგრელებს მთის გზა აშინებთ

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს თასის მფლობელის, „ზესტაფონის" მეტოქე უნგრული „დიორი ეტოა"და უნგრული გუნდის ოფიციალური საიტიც გამოეხმაურა კენჭისყრის შედეგებს: *„შანდორ ერგევარის გუნდი ითამაშებს 10-ათასიან სტადიონზე, რომელსაც ხელოვნური განათება არა აქვს. უნგრელებს ბევრი პრობლემა ელით წინ, ქალაქში სასტუმროების ნაკლებობაა, ხოლო აეროპორტამდე 180 კილომეტრზე მეტია მთებში, ცუდ გზაზე სავალი. ერთი მხრივ, ეს კოლექტივის მობილიზაციისთვის კარგია".*

აი, რა განაცხადა მომავალი დაპირისპირების შესახებ „დიორი ეტოს" ფეხბურთელმა **ზოლტაბ ბოორმა:** *„კენჭისყრის შედეგით კმაყოფილები ვართ. მართალია, მეტოქეზე ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე შეგვხვედროდა. კარგია, რომ პირველ მატჩს შინ ვთამაშობთ, თუკი დიდი უპირატესობით მოვიგებთ, საქართველოში უკვე დაწყნარებულები გავემგზავრებით".*

როგორც ჩანს, უნგრელებმა ჯერ არ იციან, რომ თბილისის აეროპორტის ნაცვლად კოპიტნარში მოუწევთ დაშვება. სხვათა შორის, „დიორი ეტომ" გამოცდილი ფორვარდი **ზოლტან კოვაჩსი** დაიმატა, რომელსაც ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ის ბოლო ოთხი სეზონი „უიპეშტში" თამაშობდა და გუნდს კაპიტნობდა. უნგრეთის ნაკრებში მას 20 თამაშში 2 გოლი აქვს გატანილი. სულ მალე კი „დიორის" რიგებს ბრაზილიელი ფორვარდი **ანდერსონ კოსტატი** შეავსებს, რომელსაც „ვასკო და გამაში" უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ძმები იაშვილები

# სანდრო ისევ უცხოეთს უმიზნებს

## გიგა თბილისის ლოკომოტივში აიყვანეს




ქართულ ფეხბურთში ბევრი საფეხბურთო ოჯახია: მეგრელაძეები, ქელიძეები, კორღალიძეები, შალამბერიძეები, ჯანაშიები, სილაგავები, ჩხეტიანები და ა.შ.

ასეთია იაშვილების ოჯახიც, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელიც საქართველოს 2006/07 სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი სანდრო იაშვილია.

ოჯახის თავი, გია იაშვილი თბილისის "დინამოს" დუბლებში ყიფიანის შემდგომ თაობასთან ერთად მივიდა, მაგრამ ნაადრევად შეეშვა ფეხბურთს და დიდი სარბიელი განზე დარჩა.

თუმცა, ფეხბურთს არასდროს ჩამოშორებია, თელავის "კახეთს" გვერდში ედგა და რაც მთავარია - ორივე შვილი სტადიონისკენ დააკვალიანა, მთელი ენერგია მათ ჩამოთლა-დაოსტატებას მოანდომა და მის შრომას ურიგო შედეგი არ გამოუღია. სანდროს ისედაც იცნობთ და ზედმეტად აღარ დავახასიათებთ.

უმცროსი იაშვილი, გიგა 22 წლისაა და თელავის "კახეთის" შემდეგ ბოლნისის "სიონის" კარში იდგა.

ზაფხულში იაშვილებს რთული დრო დაუდგათ: სანდრო იაშვილის კლუბი, "თუნი" შვეიცარიის უმაღლეს დივიზიონს დაემშვიდობა და სანდრო დღემდე უგუნდოდაა.

გიგა იაშვილსაც არ გაუმართლა: მიუხედავად იმისა, რომ "სიონში" ჩემპიონატი კარგად ჩაატარა და გამოჩნდა, რომ მამისა და ძმის ხათრით კი არა, დამსახურებულად ათამაშებდნენ, კლუბის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ დანიშვნისთანავე გაუშვა.

### მზეს ველოდები

უცნობის ცნობილი კლიპის არ იყოს, სანდრო იაშვილიც "მზეს", ანუ კარიერაში გამოდარებას ელოდება. ჩვენი მცირე ინტერვიუ მის მომავალს შეეხება.

**- სანდრო, სანამ უგუნდოდ ხარ, სად ვარჯიშობ?**

- ინდივიდუალურად ვცდილობ ფორმის შენარჩუნებას. ავთო ბერიძე ამის პროფესიონალია და იცის, როგორ დამეხმაროს. ზოგჯერ "დინამო 2"-შიც ვვარჯიშობ. ჯერ კი ვარ უგუნდოდ, მაგრამ ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო და თუკი რომელიმე გუნდთან კონტრაქტს გავაფორმებ, მოსამზადებელ ეტაპს ნულიდან არ დავიწყებ.

**- უგუნდობა ძალიან გაგიგრძელდა. ევროპის ზოგ ქვეყანაში მოსამზადებელი ეტაპი ლამის დაასრულეს და ხომ არ არის იმის საფრთხე, ევროპაში კლუბი ვერ მოძებნო?**

- მე უიმედოდ არ ვარ, ველოდები რალაც-რალაც წინადადებებს. პასუხი უახლოეს პერიოდში მეცოდინება. თუმცა, ისიც არ ვიცი, რომელი ვარიანტია ნაღდი და რომელი სათუო.

**- როგორც ვიცით, დღემდე იურიდიულად თბილისის "დინამოს" ეკუთვნი. გუნდში დაბრუნებას გამორიცხავ?**

- ეს ჯერ არ ვიცი, მაგრამ იმდენს მაინც ვიზამ, საქართველოში რომ არ დავრჩე.

**- ავსტრიაში შენს გადასვლაზე ინფორმაცია რუსულ მედიაშიც გავრცელდა - ჯერ კიდევ არაა გამორიცხული, ილია კანდელაკთან ერთად, გრაცის "შტურმში" სანდრო იაშვილი მაინც მიიწვიონო.**

- გამორიცხული არაფერია. თუმცა, ახლა რამდენიმე გუნდთან მიმდინარეობს მოლაპარაკება და ვინ რას იტყვის, წინასწარ არ ვიცი. 17-18 ივლისისთვის კი, წესით, ახალ გუნდში უნდა ვიყო.

**- თბილისის "დინამოში" დაბრუნება არ შემოუთავაზებიათ?**

- არავინ დამლაპარაკებია და აქედან დავასკვენი, რომ ეტყობა, "დინამოს" არ ვჭირდები.

**- შეგიძლია გულახდილად გვითხრა, რატომ ვერ მოახერხე შვეიცარიაში დამკვიდრება, ხელი რამ შეგიშალა?**

- ათასი მიზეზი იყო, ყველაფერი როგორ ჩამოვთვალო?

**- შენი აზრით, მთავარი მიზეზი რა იყო?**

- შვეიცარიაში თავიდანვე ვერ ავეწყვე. ისე კარგად ვერ ვგრძნობდი თავს, როგორც წარმომედგინა და როგორც შემპირდნენ. გუნდშიც არ დამხვდა ისეთი ვითარება, თავი კარგად რომ მეგრძნო. რალაც-რალაცეებმა გული ამიცრუა, მაგრამ სანერვიულო არაფერია. ფეხბურთელის ცხოვრებაში ასეთებიც ხდება და არ მიკვირს. სულ კარგად ვერ იქნები.სიმართლე გითხრათ, რაც შვეიცარიაში შემემთხვა, შეიძლება, რალაცით, კარგიც იყოს, რადგან უცხო გარემოში, მარტო თამაშმა ბევრი რამ მასწავლა და ეს შემდეგში გამომადგება.თუმცა, დღესაც ვთვლი, რომ არასდროს ისეთი ნაბიჯი არ გადამიდგია, სანანებელი რომ მქონოდა. ეტყობა, ეს ჩავარდნაც საჭირო იყო.

### ზოგი ჭირი მარგებელია

გიგა იაშვილი ბოლნისის "სიონის " კარს რიგიანად იცავდა, მაგრამ ოთარ კორღალიძემ საკადრო რეორგანიზაციაში მოახვედრა და ერთი თვე უგუნდოდ იყო:

- ჩემთვის გაუგებარი რამ მოხდა. "სიონში" თამაშები ნაღდად არ ჩამიგდია, მწვრთნელებს პრეტენზია არ გასჩენიათ, მაგრამ კორღალიძემ პირველი მაინც მე გამიშვა.

რა თქმა უნდა, საწყენი იყო, უგუნდოდ ვრჩებოდი, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია. ვფიქრობ, ახლა უფრო პერსპექტიულ გუნდში გადავალ.

**- სად?**

- თბილისის "ლოკომოტივში" დამიძახეს. გუნდის ხელმძღვანელობამ დამიბარა, ვისაუბრეთ და შეკრებაზე წასასვლელთა სიაში ჩამწერეს. მე თვითონ არ მიძებნია გუნდი, აქეთ დამიკავშირდნენ და ეს ყველაზე მეტად გამიხარდა.

**- "ლოკომოტივთან" კონტრაქტი უკვე გააფორმე?**

- ალბათ, შეკრების შემდეგ გავაფორმებთ.

**- მაინც გაუგებარია, ბოლნისიდან რა მიზეზით გამოგიშვეს?**

- ეს ჩემთვისაც გაუგებარია. შეიძლება, კორღალიძეს ახალი გუნდის ჩამოყალიბება სურს. არ ვნანობ, ასე რომ მოხდა - "ლოკომოტივში" თამაში ჩემთვის ძალიან სასურველია.

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ დავით თარგამაძესთან

# წავალ იმ გუნდში, სადაც უკეთესი პირობებია

## თარგამაძე არჩევს: ფრაიბურგი თუ კარლსრუე?

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა დავით თარგამაძემ პირველი გერმანული მედალი მოიპოვა – "ფრაიბურგი" 19 -წლამდელთა ბუნდესლიგის გამარჯვებული გახდა, რაშიც 18 წლის ქართველმა ფეხბურთელმა საკუთარი წვლილი შეიტანა – მან ნახევარმცველისთვის უჩვეულო შედეგიანობა გამოავლინა და "ფრაიბურგის" ჩემპიონობა მნიშვნელოვნად განაპირობა.

**- დათო, უპირველესად, იუნიორთა ბუნდესლიგის ჩემპინობას გილოცავ.**

- დიდი მადლობა, ბუნდესლიგის ჩემპიონობა ძალიან მაგარი განცდაა. სულ ერთი წელიწადია გერმანიაში ვთამაშობ და უკვე ასეთ გამარჯვებას მივაღწიე.

**- როგორც გავიგე, ფინალი საკმაოდ კარგად ჩაგიტარებია.**

- ტრაბახში არ ჩამომართვათ და მართლა მაგრად ვითამაშე. "ვოლფსბურგს" ჩვენზე ნაკლები გუნდი არ ჰყავს, ძლიერი ბიჭები არიან, მაგრამ თავიდანვე კარგად წაგვივიდა თამაში და მოვიგეთ. იუნიორთა ბუნდესლიგის ჩემპიონობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან დიდ ფეხბურთში მოხვედრის მეტი შანსი ჩნდება.

**- მანამდე საკმაოდ დიდი პერიოდი ტრავმის გამო არ თამაშობდი.**

- ფეხი მოტეხილი მქონდა და ფორმის აღდგენა ძალიან გამიჭირდა. საკმაოდ დიდი დროც გამიცდა და ფაქტობრივად, იუნიორული აიუგენდლიგის ნახევარფინალამდე დავიწყე ვარჯიში. ამის გამო კიდევ უფრო მიხარია, ფინალში კარგად რომ ვითამაშე.

**- ერთი შეხედვით, ფინალში "ვოლფსბურგს" იოლად მოუგეთ – 3:1 საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშია.**

- არა, რა იოლად, მეტოქეს უპირატესობა ჰქონდა, რადგან ფინალი ვოლფსბურგში გაიმართა. ძალიან რთული თამაში იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ვაჯობეთ და ჩემპიონობა ალალად მოვიპოვეთ. მართალია, ფინალში არ გამიტანია, მაგრამ ნახევარფინალში ჩვეებს ერთი გოლით დავეხმარე.

**- მართლა ჩემპიონური დაჯილდოება მოგიწყვეს თუ წარმატება მოკრძალებულად აღნიშნეთ?**

- ეს არ იყო უბრალო ზეიმი, ყველაფერი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული.

**- პირადად შენ, რაიმე პრიზი გადმოგცეს?**

- არა, ასეთი პრიზი არ ამიღია, მაგრამ ჩემთვის ბუნდესლიგის ჩემპიონობაც უდიდესი მიღწევაა და ჩემი კარიერული წინსვლისთვის საუკეთესო პრიზია.

**- კარიერული წინსვლა წელანაც ახსენე და მეეჭვება, შემთხვევით წამოგცდენოდა. "ლელომ" უკვე დაწერა, რომ ახალი სეზონი, შესაძლოა, "ფრაიბურგში" აღარ ითამაშო.**

- ორი ვარიანტია და დამალვას არ ვაპირებ - დამდეგ სეზონს ან "ფრაიბურგში" ვითამაშებ, ან "კარლსრუეში". ახლა ირკვევა ყველაფერი და მალე პასუხი მეცოდინება.

**- რომელი შემოგთავაზებს უკეთეს პირობებს?**

- ახლა პირობებზეა მოლაპარაკება, დაინტერესება კი ორივეს გააჩნია. მე არ ვიტყვი, რომ "ფრაიბურგი" არ მაწყობს, მაგრამ სადაც უკეთესად ვიქნები, იქ მირჩევნია თამაში.

**- "ფრაიბურგი" და "კარლსრუე" პირველ გუნდში გიწვევს?**

- რომელთანაც კონტრაქტს გავაფორმებ, იმის ძირითად გუნდში ჩავირიცხები. ვფიქრობ, ფიზიკურად უკვე საკმაოდ მოვუმატე და ნელ-ნელა ბუნდესლიგაში სათამაშოდაც მოვემზადები.

**- დღევანდელი მდგომარეობით, უკეთეს პირობებს რომელი გთავაზობს?**

- ჯერ არ ვიცი, პასუხი ორშაბათს მეცოდინება. ყველაფერში აჩიკო არველაძე და იაშვილი მეხმარებიან და ახლა არკვევენ, სად როგორი კონტრაქტის გაფორმება სურთ.

**- "ფრაიბურგის" ფეხბურთელს გეცოდინება, ფოლკერ ფინკეს საქართველოს ნაკრებში მუშაობა სურს?**

- არაფერი მსმენია, წარმოდგენაც არ მაქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალისტის თვალსაზრისი. ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

# ესპანეთი საუკეთესო ევროპელია, ჩავი საუკეთესო ესპანელი



ევროპის ჩემპიონატით გამოწვეული ემოციები ჯერაც არ განელებულა. "ლელოს" ბოლო ნომრებში კონტინენტის პირველობა ქართველმა სპეციალისტებმაც შეაფასეს. ამჯერად ცხინვალის "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელის, კობა ჟორჟიკაშვილის მოსაზრებებს გთავაზობთ.

## შემტევი ფეხბურთის ზეიმი

"ძალიან მაღალი დონის ჩემპიონატი გამოვიდა. რაც მთავარია, ტურნირი სანახაობრივი ფეხბურთის გამარჯვებით დასრულდა. ჩემზე ამბობენ, რომ დაცვით სტილს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ ასე არაა. უბრალოდ, "სპარტაკი" იმ ფეხბურთს თამაშობს, რის შესაძლებლობასაც კონტინგენტი იძლევა, თორემ ყოველთვის შემტევი ტაქტიკის მიმდევარი ვიყავი.

ლამაზი თამაში მხოლოდ ესპანელთა შესრულებით არ გვინახავს. უსახური მხოლოდ რამდენიმე მატჩი გამოდგა, ევრო 2008-ის შეხვედრათა უმეტესობა კი ძალიან სასიამოვნო სანახავი იყო".

## ესპანეთი ღირსეული ჩემპიონია

"ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ვვარაუდობდი, რომ ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდებოდა. ივნისის პირველ რიცხვებში თბილისის სამწვრთნელო კურსებზე ლექციები ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, უეფას ტექნიკური ჯგუფის ინსტრუქტორმა **ხიმენეს მელენდეს სოტომ** წაიკითხა, რომელიც საკმაოდ მცოდნე სპეციალისტია. ცხადია, გულით უნდოდა თავისი ქვეყნის გამარჯვება, მაგრამ პესიმისტურად იყო განწყობილი და მიმტკიცებდა, **არაგონესს** არაფერი გამოუვაო.

მე კი ესპანეთის ეროვნული ნაკრების თავკაცისადმი თავიდანვე სიმპათიით ვიყავი განწყობილი. **რაულისა** და **გუტის** ადგილი მის გუნდში მართლა არ იყო. არაგონესმა საზოგადოების დიდ ზეწოლას გმირულად გაუძლო და ესპანეთი დამსახურებულ ტრიუმფამდე მიიყვანა.

ესპანელთა ჩემპიონობა კი ძალების რაციონალურმა გადანაწილებამ განაპირობა. ყველაფერთან ერთად, პირენეელთა წისქვილზე წყალი ტექნიკურ ფეხბურთელთა სიმრავლემ დაასხა. როცა გუნდში ამდენი ძლიერი ინდივიდუალისტი გყავს, სხვა ხარვეზების, მაგალითად, დაცვის სისუსტის დამალვა ადვილია. თანაც, ტექნიკა ძალების ეკონომიას უწყობს ხელს. ისე კი, ესპანელები ფიზიკურადაც ყველაზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი. თუკი სხვა გუნდების ფეხბურთელები მატჩისას მაქსიმუმ 12 კილომეტრს დარბოდნენ, ესპანელები 14 კილომეტრამდეც კი ადიოდნენ".

## რუსეთის კოზირი

"რალა თქმა უნდა, რუსებს ჰყავთ ნიჭიერი ფეხბურთელები, შესანიშნავი მწვრთნელი, მათ ღირსეულად მიაღწიეს ნახევარფინალამდე, მაგრამ **ჰიდინკის** გუნდის წარმატება სხვა ფაქტორმაც განაპირობა. რუსეთში სეზონი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება, ამან კი რუსეთის ნაკრებს საშუალება მისცა, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება სხვებზე გაცილებით ადრე დაეწყო. ფეხბურთელები ტურნირს იდეალურ კონდიციებში შეხვდნენ, მაშინ, როცა არაერთი ევროპელი ვარსკვლავი მძიმე სეზონის შემდეგ აშკარად გამოფიტული იყო".

## ხორვატიას ჩემპიონობა შეეძლო

"რომ არა მოდუნება და უიღბლობა, ხორვატიის ნაკრებს რეალურად შეეძლო ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა. თურქეთთან მატჩი **ბილიჩის** გუნდს არ უნდა წაეგო. ხორვატიას ყველაფერი წინა აქვს, სლავენ ბილიჩი უნიჭიერესი, მზარდი მწვრთნელია და დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით ხორვატები უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ".

## სწავლა სიბერემდე

"ჰოლანდიის რუსეთთან მარცხი არ გამკვირვებია. **ვან ბასტენის** გუნდმა მთელი რესურსი ჯგუფში დახარჯა. გასაგებია, რომ იტალიისა და საფრანგეთის სახით, ჰოლანდიელებს ურთულესი მეტოქეები ჰყავდათ, მაგრამ ძალების დაზოგვა მაინც შეეძლოთ. ნამდვილად არ იყო საჭირო ჯგუფში ამხელა ტემპით თამაში. ბოლო ტურში რუმინეთს სათადარიგო შემადგენლობამ მოუგო, მაგრამ მოედანზე ძირითადი ფეხბურთელებიც იყვნენ. ეს ყველაფერი ვან ბასტენის გამოუცდელობამ გამოიწვია. თუმცა მას უდავოდ აქვს საიმისო პოტენციალი, რომ დიდი მწვრთნელი გახდეს. ძალიან ძნელია, მწვრთნელმა დიდი ტიტულები ახალგაზრდულ ასაკში მოიპოვოს. ყველაფერს დრო სჭირდება. აი მაგალითად, არაგონესი სამოცდაათსაა მიტანებული და ახლა მოიგო ცხოვრების უმთავრესი ჯილდო".

## დიდი ტაქტიკოსი

"**მარჩელო ლიპიმ** იტალიის ნაკრები დროულად დატოვა და დროულად დაბრუნდა. იგი ხვდებოდა, რომ მსოფლიო ჩემპიონობის შემდეგ, გუნდს ჩავარდნა დაეწყებოდა და განზე დგომა ამჯობინა. სამაგიეროდ, მალე მუშაობას ახალი ენერგიითა და ენთუზიაზმით შეუდგება. ლიპი გუნდს გადაახალისებს და დარწმუნებული ვარ, იტალია მსოფლიო ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი იქნება. ლიპი დიდი ტაქტიკოსია და ზუსტად იცის, რა სჭირდება გუნდს. იტალიას კარგი თაობა ეზრდება და გაახალგაზრდავების პროცესი მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ჩაივლის. **დონადონის** რაც შეეხება, იგი საშუალო დონის მწვრთნელია და არა მგონია, კლასი საგრძნობლად აიმაღლოს.

აქვე საფრანგეთის ნაკრებსაც შევეხები. ძალიან გამიკვირდა, **დომენეკი** თანამდებობაზე რომ დატოვეს. ამ გუნდს სხვანაირად მოაზროვნე მწვრთნელი სჭირდება და არა ასეთი მძიმე ადამიანი. საერთოდ, ამ ჩემპიონატზე მხოლოდ ტაქტიკა-სტრატეგიას არ ჰქონდა მნიშვნელობა, დიდ როლს თამაშობდა ემოციური ფაქტორები – მონდომება, მოტივაცია, შემართება... ეს კომპონენტები კი ყველაზე მეტად იტალიელებსა და ფრანგებს აკლდათ".

## იღბლიანი და უიღბლო

"თურქეთის ნაკრების მოთამაშეებმა შესაშური ერთიანობა და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. ყველა მატჩის შემდეგ თურქები წამყვან ფეხბურთელებს კარგავდნენ, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ. იღბალი სულ მათ მხარეს იყო, თორემ ეს გუნდი ნამდვილად არ შედის ევროპის საუკეთესო ოთხეულში.

ამის საპირისპიროდ, ძალიან არ გაუმართლათ შვეიცარიელებს. ჩემპიონატის მასპინძლებმა თამაშით ჩეხებსაც აჯობეს და თურქებსაც, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ. არადა, **კუნის** გუნდი საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობდა. შვეიცარიელთა წარუმატებლობა, გარკვეულწილად, იმანაც გამოიწვია, რომ შესარჩევი ციკლი არ ჩაუტარებიათ და ალბათ, ცოტა მოდუნებულები იყვნენ.

საბერძნეთის წარმატებული ხანა კი საბოლოოდ დასრულდა. არა მგონია, **რეჰაგელმა** ამ გუნდთან ერთად კიდევ წარმატებას მიაღწიოს".

## ჩავი და ტორესი

"ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად **ჩავი** დაასახელეს, რასაც ბევრი არ ეთანხმება. ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. უფრო სამართლიანი კი ის იქნებოდა, ჩავი და **ფერნანდო ტორესი** ერთდროულად რომ გამოერჩიათ".

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

# სპარტაკს დუეტი ტოვებს

მეკარე **ბესარიონ კოდალაევსა** და მცველ **რევაზ ქემოკლიძეს** ცხინვალის "სპარტაკთან" კონტრაქტი ამოეწურათ და ახალი კლუბების ძიებაში არიან. "სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ **კობა ჟორჟიკაშვილს** მათი სამსახური მომავალ სეზონშიც სურს, თუ სასურველი ვარიანტი ვერ იპოვეს, კოდალაევი და ქემოკლიძე ალბათ, ადგილსამყოფელს არ შეიცვლიან.

"სპარტაკი" უკვე დატოვეს **ირაკლი ძარიამ** და **ვახტანგ კვარაცხელიამ**, რომლებმაც შესაბამისად, "ზესტაფონსა" და "ვიტ ჯორჯიას" მიაშურეს. "სპარტაკში" დარჩენილები კი თბილისში ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად ვარჯიშობენ. საკონტროლო მატჩების ჩატარებას ჟორჟიკაშვილის გუნდი რამდენიმე დღეში დაიწყებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ლეგიონერები

# ასათიანს არველაძის სჯერა



საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის მცველმა **მალხაზ ასათიანმა** რუსულ ვებგვერდ "ჩემპიონატს" ინტერვიუ მისცა. საუბარი უმთავრესად რუსეთის ჩემპიონტსა და რკინიგზელთა გუნდის მზადებას შეეხება და ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო თემებსაც მოიცავს.

*"გული მწყდება, რომ შოთა არველაძეს მოთამაშის ამპლუაში ველარ ვიხილავთ. თუმცა, ის ფეხბურთში მაინც რჩება. შოთა მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო. ახლის სწავლას ყოველთვის ესწრაფვოდა. ახლა ის "ალკმაარში" ლუის ვან გაალის თანაშემწეა. მჯერა, ისეთი დიდი სპეციალისტის, როგორიც ლუის ვან გაალია, გვერდით მუშაობა არველაძეს საკმაოდ წაადგება. ის ბევრს ისწავლის და კარგი მწვრთნელი დადგება. ისეთი, როგორიც დღეს ქართულ ფეხბურთს ნამდვილად აკლია"*, - აღნიშნავს "ლოკომოტივის" ჩვენებური მცველი.

საინტერესოა, თუ როგორ აფასებს ასათიანი ევროპის განვლილ ჩემპიონატს:

*"ევრო 2008 საინტერესო გამოდგა. ჩემპიონატის მსვლელობისას ლოკომოტიველები ავსტრიაში მოსამზადებელ შეკრებაზე ვიყავით და მთელი შემადგენლობით დავესწარით ესპანეთ-რუსეთის ნახევარფინალს. მართალია, ჰიდინკის გუნდი დამარცხდა, მაგრამ რუსეთის ნაკრებმა ამ პირველობაზე მაინც ბევრს მიაღწია. თუ ადრე რუსეთის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლა უჭირდა, ახლა ამ გუნდს ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ".*

**დავით ცაბაძე**

---

# მხოლოდ კვირკველია, ისიც მეჩვიდმეტე

პოპულარულმა "სპორტ ექსპრესმა" დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნებში ივნისის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად მორიგი გამოკითხვა ჩაატარა. რჩეულად **ანდრეი არშავინი** დაასახელეს, მეორე-მესამეზე კი, შესაბამისად, **იური ჟირკოვი** და **რომან პავლიუჩენკო** გავიდნენ. მოწინავე შვიდეულში ქართველთაგან ვერავინ მოხვდა.

"სპორტ ექსპრესმა" ამავე გამოკითხვის საერთო შედეგებიც შეაჯამა იანვრიდან ივნისის ჩათვლით. ამ ჩამონათვალში სულ 37 ფეხბურთელია და მათში მხოლოდ ერთია ქართველი - ყაზანის "რუბინის" ნახევარმცველი **დავით კვირკველია**, ვინც 23 ხმით მე-17 ადგილზეა.

**დავით ცაბაძე**

---



# ჩემპიონთან დამარცხდნენ

გუშინ, დანიის სუპერლიგიდან გავარდნილმა „ვიბორგმა" მესამე საკონტროლო მატჩი გამართა და კვლავ დამარცხდა, თუმცა ამჯერად „მწვანეებს" სერიოზული მეტოქეც ჰყავდათ – დანიის ჩემპიონი „ოლბორგი". ქართველი მცველი **გიორგი ფოფხაძე** სასტარტო შემადგენლობაში იყო, „ვიბორგმა" კი 1:4 წააგო. გიორგიმ ამჯერადაც მარცხენა ცენტრალურ მცველად ითამაშა. „ვიბორგმა", მეორე ტაიმში თითქმის მთელი შემადგენლობა გადაახალისა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

# დნეპრის ქართველებმა დაიწყეს

დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ქართველ ლეგიონერებს ექიმებმა "მწვანე შუქი" აუნთეს და მათ საერთო ჯგუფში ვარჯიში დაიწყეს.

**სანდრო კობახიძემ** და **ჯაბა კანკავამ** მაისის ბოლოს მხრის ოპერაცია გაიკეთეს და მოსამზადებელი ეტაპი გაუცდათ. ახლა ექიმებმა ჩათვალეს, რომ მათ ტრავმა მოირჩინეს და სხვებთან ერთად ვარჯიშობენ, თუმცა, ქართველებს გარკვეული შეზღუდვა მაინც დაუწესეს - თანაგუნდელებს მათთან ორთაბრძოლებში კონტაქტი აუკრძალეს.

**მერაბ მამულაშვილი**

---

# ბერაშვილის დუბლი

ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა **ბექა ბერაშვილმა** "დნეპრის" დუბლებში თავი ორი გოლით გამოიჩინა. დნეპროპეტროვსკელებმა საკონტროლო მატჩი 4:0 მოიგეს. ბერაშვილმა სრულად ითამაშა, დუბლი მან შეხვედრის მეორე ტაიმში შეასრულა. ბექა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# პრიმერა დივიზიონი არ ჩატარდება?

## ფეხბურთელები თავიანთი კლუბების წინააღმდეგ გაერთიანდნენ და მთავრობისგან უფლებების დაცვას ითხოვენ

ესპანეთის მორიგი ჩემპიონატის ჩატარებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. საქმე ის არის, რომ პრიმერა და სეგუნდა დივიზიონის ფეხბურთელების ერთი ნაწილი გაფიცვისთვის ემზადება. დაპირისპირების მიზეზი 2004 წელს მიღებული კანონი გახდა, რომელიც გაკოტრებისას საფრთხის წინაშე მყოფი კომპანიის მესვეურებისა და დაქირავებული მუშაკების ურთიერთობის რეგულირებას ეხება. ამ კანონის მიხედვით, ფინანსური პრობლემების მქონე კერძო კომპანიას უფლება აქვს, თანამშრომელს დავალიანების 50 პროცენტი გაუყინოს, დანარჩენი თანხა კი ხუთი წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადაუხადოს. ამ გზით ესპანეთის მთავრობა კომპანიების გაკოტრების თავიდან აცილებას ცდილობს.

პირველი, რაც ამ ინფორმაციის გაცნობისას გაგახსენდება, "ლევანტეა". როგორც იცით, გასულ სეზონში ვალენსიურ კლუბს უმწვავესი პრობლემები შეექმნა და მთელი გუნდი, ფაქტობრივად, უხელფასოდ ათამაშა. ახლა ირკვევა, რომ დალხინებული ცხოვრება სხვა კლუბებსაც არ აქვთ. ფეხბურთელები შიშობენ, რომ მომავალ სეზონში მათაც უხელფასოდ მოუწევთ თამაში და თადარიგს აქედანვე იჭერენ...

გუშინ, "ლას პალმასის", "მალაგის", "სოსიედადის", "რეკრეატივოს", "ალმერიისა" და კიდევ ხუთი კლუბის ფეხბურთელებმა ერთობლივი განცხადება მიიღეს. პრიმერა და სეგუნდა დივიზიონის მოთამაშეები ხსენებული კანონის შეცვლას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფიცვით იმუქრებიან: *"ჩვენ სრულიად დაუცველები ვართ. მაშინ, როცა საკუთარ მოვალეობას კეთილსინდისიერად ვასრულებთ, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ჩვენი კლუბების მესვეურები გუნდს გაკოტრების საფრთხის წინაშე მყოფად არ გამოაცხადებენ და ხელფასის გადახდაზე უარს არ გვეტყვიან. მიგვაჩნია, რომ ფეხბურთელების უფლებები დაცული უნდა იყოს. მოვითხოვთ, 2004 წელს მიღებული კანონის გაუქმებას. თუ ეს არ მოხერხდება, ჩვენს კლუბებს ხელფასების გადახდის დამატებითი გარანტია უნდა მოთხოვონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ესპანეთის ჩემპიონატში არ ვიასპარეზებთ. გაფიცვა უვადო იქნება და მანამ არ ვიმუშავებთ, სანამ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ".*



ლევანტეს ფეხბურთელებმა საკუთარი ხელფასი შეიძლება კიდევ დიდხანს ვერ იხილონ

სკანდალურ განცხადებას, ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგა გამოეხმაურა. პრესსამსახურის თანამშრომელი **მანოლო მარტინესი** აცხადებს, რომ სამეფო ფედერაციის მალალჩინოსნებთან ერთად პროფესიული ლიგა საკითხს საგულდაგულოდ განიხილავს და პრობლემის მოგვარებას შეეცდება. გამორიცხული არ არის, ესპანური ფეხბურთის მამებმა ზემოთ ჩამოთვლილი კლუბების ხელმძღვანელები თავიანთ კაბინეტებში დაიბარონ და დამატებითი ფინანსური გარანტიები მოსთხოვონ. "ლევანტეს" გასაჭირმა პრიმერა დივიზიონის პრესტიჟს სერიოზული დარტყმა მიაყენა და გასაკვირი არ არის, რომ პირენეელებს ახალი სკანდალის აგორება აღარ უნდათ. თუმცა სკანდალი უკვე აგორებულია, მთავარია, მან დიდი მასშტაბი არ შეიძინოს.

გუშინ გვიან ღამით, ესპანეთის მთავრობის ვებგვერდზე საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საგანგებო განცხადებაც გავრცელდა. მთავრობა კანონის გაუქმებას კატეგორიულად გამორიცხავს და ფეხბურთელებს კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

სკანდალი

# იტალიაში ისევ ჩაანყვეს?


სკანდალის მთავარი გმირები: დავიდე ბალერი და...

იტალიაში ახალი სკანდალი აგორდა. ფეხბურთის ფედერაციის ბრალმდებელმა, "ატალანტასა" და სერია A-დან გავარდნილ "ლივორნოს" შორის გასულ სეზონში ჩატარებული ორივე მატჩი საეჭვოდ მიიჩნია. შეგახსენებთ, რომ 23 დეკემბერს გუნდებმა ლივორნოში 1:1 ითამაშეს, 4 მაისს კი, ბერგამოში, მასპინძელმა 3:2 მოიგო.

როგორლაც გამოარკვიეს, რომ ორივე თამაში ჩაწყობილი იყო. ამ ნიადაგზე, ეჭვმიტანილად სცნეს "ლივორნოში" მოთამაშე ტყუპი ძმები, **ანტონიო** და **ემანუელე ფილიპინები**, და მათი თანაგუნდელი **ალესანდრო გრანდონი**. მაგრამ, როგორც "ფედერკალჩოს" ბრალმდებელი აცხადებს, საქმის გამჩარხავნი, თურმე, "ატალანტას" მცველი **ჯანპაოლო ბელინი** და "ლივორნოს" ყოფილი კაპიტანი **დავიდე ბალერი** ყოფილან. იმ სამეულს კი სცოდნია გარიგების თაობაზე, მაგრამ პოლიციასთან არ უთანამშრომლია...

მოკლედ, გამოძიება დაწყებულია. ხსენებულ ფეხბურთელებს უახლოეს დღეებში დაკითხავენ.


...ჯანპაოლო ბელინი

დიდი გარიგების მოლოდინში

# რონალდინიო: 80 პროცენტით მილანში

### როსონერის ვიცე-პრეზიდენტი გალიანი უფრო თავშეკავებულ კომენტარს აკეთებს


მილანში გადასვლამდე, რონალდინიო სამხრეთ კორეაში იმყოფება და ნაიკის სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობს

**რონალდინიო** "მილანში" გადადის. ამ ინფორმაციას მისი ძმა და აგენტი **რობერტო ასისი** ავრცელებს. ის ამბობს, რომ ტრანსფერის საკითხი 80-90 პროცენტით გადაწყვეტილია. რონალდინიოს იტალიაში წასვლაზე იმ დღიდან საუბრობენ, რაც "ბარსელონამ" ფეხბურთელთან თანამშრომლობის გაგრძელება არ ისურვა. ბრაზილიელ ვარსკვლავს ინგლისური კლუბებიდანაც შეეხმიანნენ. აქტიურობდნენ "ჩელსი" და "მანჩესტერ სიტი". უცნაურია, მაგრამ "არისტოკრატების" აქტიურობა მას მერე მინელდა, რაც კლუბის მთავარ მწვრთნელად რონალდინიოს თანამემამულე **ლუიშ ფელიპე სკოლარი** დანიშნეს. "მანჩესტერ სიტი" კი იმთავითვე წარუმატებლობისათვის იყო განწირული. **მარკ ჰიუზის** გუნდის შანსებს უკლებლივ ყველა მიმომხილველი ეჭვით უყურებდა.

რობერტო ასისის ოპტიმისტური განცხადების გავრცელებისთანავე, იტალიური სააგენტოები "მილანის" ვიცე-პრეზიდენტს შეეხმიანნენ. **ადრიანო გალიანის** კომენტარი თავშეკავებული იყო. მან დაადასტურა, რომ "მილანს" რონალდინიოს შეძენა სურს, მაგრამ მხოლოდ გონივრული თანხის საფასურად. ჟურნალისტებმა ისევ რობერტო ასისს დაურეკეს. მან რონალდინიოს "მილანში" ტრანსფერის ამბავი დაადასტურა: *"დიახ, მართალია. რონალდინიო, ალბათ, "მილანში" გადავა. გარიგებისათვის ყველაფერი მზადაა. კონტრაქტის პირობები თითქმის შეთანხმებულია. რონალდინიო ბევრს მუშაობს, რათა ოპტიმალურ ფორმაში ჩადგეს. მას წინ არა ერთი შთამბეჭდავი მატჩი ელოდება. ის "მილანში" დიდი გამარჯვებებისათვის მიემგზავრება."*

რობერტო ასისმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს "მილანის" პარალელურად, "ლოს ანჯელეს გალაქსისთანაც" აწარმოებდა მოლაპარაკებებს: *"არ დავმალავ, "მილანის" გარდა, სხვა საინტერესო შეთავაზებებიც გვაქვს, მაგრამ "გალაქსი"? არა, საიდან მოიტანეთ. მერწმუნეთ, ამერიკაში გადასვლაზე არცკი გვიფიქრია. ასეთი ტრანსფერი გამორიცხულია. რონალდინიო მხოლოდ 28 წლისაა, ის კიდევ ხუთ-ექვს წელიწადს უმაღლეს დონეზე ითამაშებს. პენსიაში გასვლა ჯერ ძალიან ადრეა."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავიდ ვილიასთან

# ჩვენ წარსული შევცვალეთ და ახალი ისტორია დავწერეთ

## ესპანელი ვარსკვლავი ვალენსიიდან წასვლას არ აპირებს



**დავიდ ვილია** ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ესპანელმა ფორვარდმა ოთხი გოლი გაიტანა. მართალია, მას მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში მეტოქეთა კარი არ დაულაშქრავს, მაგრამ ყოველი ესპანელი მიმომხილველი ერთხმად აღნიშნავს, რომ ვილიას წვლილი განუზომლად დიდია. მართლაც, საქმე მხოლოდ ოთხ გოლშიც არ არის. დავიდმა იმ ოთხ შეხვედრაში რომელშიც მონაწილეობა მიიღო, უდიდესი სამუშაო შეასრულა და "სელექსიონს" ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. მოგეხსენებათ, ტრავმის გამო მას ფინალში არ უთამაშია, თუმცა ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა მატჩი მაინც მაღალ დონეზე ჩაატარა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. მოკლედ, "ვალენსიის" ვარსკვლავმა პატრიოტული ვალი პირნათლად მოიხადა და შვებულებაში გავიდა. ვილია, რა თქმა უნდა, მშობლიურ ასტურიაში ჩავიდა. ესპანური ფეხბურთის ვარსკვლავს რეგიონის ხელისუფლებამ მეფური დახვედრა მოუწყო, თუმცა დავიდისთვის ყველაზე სასიამოვნო, ალბათ, მაინც მის მეგობრებთან და ახლობლებთან შეხვედრა იყო. ვილია ასტურიის ერთ ჩვეულებრივ სოფელში, ტუილიაში დაიბადა. მეზობლებმა ფეხბურთელის ნათესავებისგან შეიტყვეს, რომ ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი არდადეგებს სწორედ ტუილიაში გაატარებდა. სოფლის მოსახლეობა საგანგებოდ მოემზადა და ვილიას არაჩვეულებრივი დახვედრა მოუწყო. თავად განსაჯეთ, სოფლის შესასვლელთან მას ერთბაშად ხუთასი ადამიანი დახვდა. ფეხბურთელს სახელდახელო კონცერტი გაუმართეს და ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს.

მეორე დღეს ვალენსიელი პროვინციულ ქალაქ ლიანერაში წაიყვანეს. იქ მას მთელი ესპანეთიდან ჩაყვანილი 70 ბავშვისთვის ღია გაკვეთილი უნდა ჩაეტარებინა. ვილია მოზარდ ფეხბურთელებს ესპანურ სასწაულზე ესაუბრა და დიდი ფეხბურთისთვის აუცილებელი პროფესიული დეტალები აუხსნა. დღის ბოლოს "სელექსიონის" ერთ-ერთმა ლიდერმა "დიარიო ასის" კორესპონდენტისთვისაც მოიცალა და მადრიდიდან საგანგებოდ ჩასულ ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა.

**- დავიდ, შვებულების მშობლიურ სოფელში გატარება რატომ გადაწყვიტეთ? დარწმუნებული ვიყავი, რომ რომელიმე ფეშენებელურ კურორტზე დაისვენებდით...**

- ეს არ არის ჩვეულებრივი შვებულება. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ევროპის ჩემპიონატზე გავიმარჯვეთ. ახლა მთელი ქვეყანა ზეიმობს. რა თქმა უნდა, მეც უზომოდ ბედნიერი ვარ და მინდოდა, ეს სიხარული ჩემი ახლობლებისთვის გამეზიარებინა. ერთმა მეზობელმა მითხრა, შენ რომ გიყურებ, მგონია, მეც ვთამაშობდი და ევროპის ჩემპიონი გავხდიო. მართლა არ შემეძლო, ტუილიაში არ ჩამოვსულიყავი და ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებსა და მეზობლებს არ მივსალმებოდი. მოკლედ, ამჯერად თქვენ მიერ ნახსენები ფეშენებელური კურორტებისკენ გულმა არ გამიწია (იცინის). თუმცა არ გამოვრიცხავ, რამდენიმე დღით ზღვაზეც დავისვენო.

**- ევრო 2008-ზე როგორი განწყობით ნახვედით? მახსოვს, ტურნირის დაწყებამდე აცხადებდით, რომ ესპანეთის ნაკრები ფავორიტი არ იყო...**

- დიახ, არ გვინდოდა, რომ "სელექსიონი" ფავორიტად შერაცხულიყო. ეს ყოველთვის უდიდეს ფსიქოლოგიურ წნეხთანაა დაკავშირებული. ამიტომაც ვითხოვდით, რომ მშვიდად მომზადების საშუალება მოეცათ. ლუის არაგონესმა ბევრი ჟურნალისტი გაანაწყენა, როცა რამდენიმე ვარჯიში პრესისთვის დახურულად გამოაცხადა. მახსოვს, თქვენი კოლეგები სანვრთნელი ბაზის ჭიშკართან იდგნენ და ყვიროდნენ, შემოგვიშვითო. უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ლუისმა იცოდა, რასაც აკეთებდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თქვენი კითხვის პირველ ნაწილს რაც შეეხება, ევრო 2008 ძალიან კარგი განწყობით დავიწყეთ. გვჯეროდა, რომ ფინალში გასვლის და გამარჯვების უნარი შეგვწევდა, მაგრამ წინასწარ, რა თქმა უნდა, არანაირი გარანტია არ არსებობდა, რომ ჩემპიონი მაინც და მაინც ესპანეთი გახდებოდა. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ჩვენ ყველაზე კარგად ვიყავით მომზადებული და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- როდის ირწმუნეთ, რომ ევროპის თასის მოპოვება შეგეძლოთ?**

- პირველივე ტურის შეხვედრის შემდეგ. რუსეთის ნაკრები მიწასთან გავასწორეთ. იმ თამაშში ნათლად გამოჩნდა, რომ "სელექსიონს" ამოუწურავი პოტენციალი გააჩნდა. დამეთანხმებით, მომდევნო პაექრობები კიდევ უფრო მაღალ დონეზე ჩავატარეთ. იმედი განსაკუთრებით მაშინ გამიმტკიცდა, როცა საბერძნეთთან მატჩში სათადარიგო შემადგენლობის ბიჭებმა სრულიად უკომპლექსოდ ითამაშეს და არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვეს. იმ დღეს დავრწმუნდი, რომ "სელექსიონს", ფაქტობრივად, თანაბარი ძალის მქონე ორი გუნდი ჰყავდა. ობიექტური მიზეზის გამო ფლეი ოფში ყველამ ვერ ითამაშა, მაგრამ ვინც მოედანზე გავიდა, ყველამ საუცხოოდ იასპარეზა. ყოველთვის მქონდა იმის იმედი, რომ დანი გუისა მნიშვნელოვან გოლს გაიტანდა და სერიოზულად დაგვეხმარებოდა. ასეც მოხდა, მან ნახევარფინალში რუსებს შეუგდო და თავდაჯერება შეგვმატა. მოკლედ, წელს მართლაც ფანტასტიკური შემადგენლობა გვყავდა. არაგონესის წყალობით, გუნდი ტურნირს საუკეთესოდ მომზადებული შეხვდა და საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა.

**- ყველაზე მეტად რომელ მატჩში გაგიჭირდათ?**

- იოლი შეხვედრა, ფაქტობრივად, არ გვქონია, მაგრამ ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტად იტალიასთან გაგვიჭირდა. ჩვენ გაცილებით უკეთ ვთამაშობდით, მაგრამ იტალიას უდიდესი გამოცდილება აქვს. ფეხბურთში მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული ნებისმიერი ადამიანი დამეთანხმება, რომ იმ საღამოს ჩვენ სულ სხვა დონის ფეხბურთს ვაჩვენებდით, მაგრამ "სკუადრა აძურა" სწორედ ფენომენალური გამოცდილების ხარჯზე ახერხებდა ესპანეთის ნაკრებისთვის წინააღმდეგობის გაწევას. გული კინაღამ გამისკდა, როცა მაურო კამორანეზიმ რამდენიმე მეტრიდან დაარტყა. იკერის გენიალურობა რომ არა, გოლს გავუშვებდით და ანგარიშის გათანაბრება ძალიან გაგვიჭირდებოდა. ხომ იცით, იტალია, თუ დაცვაში ჩაჯდა, მათ მიერ მოწყობილი ლაბირინთის გადალახვა შეუძლებელი ხდება ხოლმე. მიუხედავად ყველაფრისა, მეოთხედფინალში ძალიან თავდაჯერებულად ვითამაშეთ და მომდევნო ეტაპზე დამსახურებულად გავედით.

**- რაზე ფიქრობდით იმ წამს, როცა მსაჯმა სასტვენში ჩაბერა და ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდა?**

- იმ წამს, როცა ესპანეთი ჩემპიონი გახდა, ესპანეთზე ვფიქრობდი (იცინის). არ ვხუმრობ, ჩვენ ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცები ვიყავით და რა თქმა უნდა, ყველაფერს გულშემატკივრებისთვის, ანუ მილიონობით ესპანელისთვის ვაკეთებდით. ჩვენ წარსული შევცვალეთ და ახალი ისტორია დავწერეთ. წლევანდელი გუნდის ფეხბურთელების გვარებს არასოდეს დაივიწყებენ. ბედნიერი ვარ, რომ სხვებთან ერთად, ისტორიის ნაწილი მეც გავხდი.

**- რა არის თქვენი მორიგი მიზანი?**

- ცოტა უნდა დავისვენო და მომდევნო სეზონისთვის მოვემზადო. ბევრს საუბრობენ, დავიდ ვილიას რომელიმე გრანდში გადაბარგების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ მსურს მთელ ქვეყანას განვუცხადო, რომ "ვალენსიიდან" წასვლას არ ვაპირებ - ჩემს კლუბში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. მომდევნო მიზანი, ესპანეთის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაა.

**- მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი, მაგრამ იმდენად საინტერესო თემაზე დაიწყეთ ლაპარაკი, რომ აღარ გაგაწყვეტინეთ. მაინტერესებდა, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ესპანეთის ნაკრები რა მიზანს ისახავს.**

- (იცინის) თქვენი აზრით, "სელექსიონის" ახალი მიზანი რა შეიძლება იყოს? რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება. შეიძლება, ბევრს ეს ხმამაღალ განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ შეგახსენებთ, ჩვენი ჩემპიონობის წელსაც არ ეჯერათ. ესპანეთის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ მსოფლიო დონის გუნდია და მისთვის შეუძლებელი არაფერია. მეოთხედფინალს თუ არ ჩავთვლით ყველა თამაში მოვიგეთ. ეს ხუმრობა არ არის. "სელექსიონი" გაიზარდა და მსოფლიო ფეხბურთის გრანდად ჩამოყალიბდა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

პრეზენტაცია

# არაგონესს შვებულება ჩააშხამეს

**ლუის არაგონესს** ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ დასვენება და ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა არ აცალეს. რამდენიმე დღის წინ გესაუბრებოდით, რომ ესპანელ სპეციალისტს "ფენერბაჰჩეს" ვიცე-პრეზიდენტმა ჩააკითხა და თურქეთში იმავე დღეს მასთან ერთად გამგზავრება მოსთხოვა. ლუისმა უარი განუცხადა და დასვენებისთვის რამდენიმე დღე ითხოვა. სტამბოლელმა სტუმარმა მაშინ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და სამშობლოში მარტო დაბრუნდა, თუმცა არაგონესისგან პირობა მიიღო, რომ მომავალ ოთხშაბათს ისიც სტამბოლში იქნებოდა. "ფენერბაჰჩეს" ვიცე-პრეზიდენტს კოლეგებმა შავი დღე აყარეს, მარტო როგორ დაბრუნდიო. თურქებმა შეთანხმება ფეხებზე დაიკიდეს და "სელექსიონის" ყოფილ დამრიგებელს დაურეკეს, ძალიან გთხოვთ, უახლოეს რეისზე ბილეთი აიღეთ და სასწრაფოდ გამოფრინდითო. მოხუც მწვრთნელს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. ალბათ, არ უნდოდა, რომ ახალ სამსახურში მოღვაწეობა ჩხუბითა და სკანდალით დაეწყო. ლუისი გუშინ შუადღით ათათურქის აეროპორტში ჩაფრინდა. მას "ფენერის" პრეზიდენტი დახვდა და პირდაპირ ოფისში გააქანა. ესპანელს იქ ჟურნალისტების მთელი არმია ელოდებოდა. არაგონესმა გზაში შეიტყო, რომ პრეზენტაცია 3 ივლისს იყო დანიშნული...

პრესკონფერენცია საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. არაგონესმა ჟურნალისტებს ასეთი რამ განუცხადა: *"მოგესალმებით. 28 ივლისს 70 წლის გავხდები, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ცხოვრებას თავიდან ვიწყებ. ჩემს კარიერაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება. ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებით, რა თქმა უნდა, უზომოდ გავიხარე, მაგრამ მე პროფესიონალი ვარ და რადგან ამ საქმეს ხელი მოვკიდე, ენთუზიაზმითა და ენერგიით თავიდან დავიმუხტები. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "ფენერბაჰჩეს" თურქეთის ჩემპიონატსა და ევროპულ ასპარეზზე წარმატებები მოვუტანო. სიმართლე გითხრათ, კლუბის ინფრასტრუქტურას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ აქ ზიკო მუშაობდა და გუნდი კონკურენტუნარიანი გახადა. დარწმუნებული ვარ, "ფენერბაჰჩე" მრავალ წარმატებას მიაღწევს და ყველა ერთად გავიხარებთ".*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ლუის არაგონესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# პოდოლსკის უნდა დავეხმაროთ!

## კლინსი საქმეს შეუდგა. ვარჯიშის დროს მობილური ტელეფონით სარგებლობა აკრძალულია

მაშ ასე: **იურგენ კლინსმანმა** "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში მუშაობა უკვე დაიწყო და პირველი შედეგებიც სახეზეა. იურგენი რეკორდმაისტერშიც ზუსტად ისე იქცევა, როგორც ერთ დროს გერმანიის ნაკრებში, სადაც თავიდანვე უცნაური გადაწყვეტილებები მიიღო. მართალია, "ბაიერნში" დიდი რევოლუცია ჯერ არ დაუწყია, მაგრამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ კარდინალურ ცვლილებებს მიუნხენურ კლუბშიც განახორციელებს.

კლინსის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი **ლუკას პოდოლსკია**, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო "ბაიერნზე" გული აიცრუა. მას მერე, რაც პოლდიმ ევროპის ჩემპიონატზე კარგად იასპარეზა, საფეხბურთო გერმანიას ძალიან აინტერესებს, შეძლებს თუ არა ლუკასი კლინსმანის ხელში გაბრწყინებას, თუ მაინც ბავარიიდან წასვლა მოუწევს? პოდოლსკის "კიოლნში" წასვლა უნდოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - "ბაიერნმა" არ გაუშვა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კლინსმანმა არ გაუშვა, რადგან ფეხბურთელების ბედ-იღბალს ახლა სწორედ იურგენი განაგებს. კლინსიმ პოლდის ნდობა გამოუცხადა და ბრძოლისკენ მოუწოდა.

*"ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის წინ ვთქვი, რომ პოდოლსკის იმედი მაქვს და რომ ის ჩემი სამომავლო გეგმების ნაწილია. ლუკასი ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია და მისი ასე იოლად ხელიდან გაშვება დაუშვებელია. მისი ნიჭი ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ, პოდოლსკი უმაღლესი კლასის ფეხბურთელად უნდა ჩამოვაყალიბოთ,"* - განუცხადა კლინსმანმა "მიუნხენერ თაგესცაითუნგს".

კლინსის პოდოლსკის დახმარება სურს: *"ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მან "ბაიერნში" თავი ისევ კარგად იგრძნოს. არ მიკვირს, რომ რეკორდმაისტერზე გული აიცრუა, ამის მიზეზი მას ნამდვილად ჰქონდა. მთელი ჩემი სამწვრთნელო შტაბისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა ფეხბურთელს დავეხმაროთ."*



იურგენ კლინსმანი ბაიერნის გუშინდელი ვარჯიშისას

როგორც იცით, პოდოლსკიმ მიუნხენურ გრანდში უკვე ორი სეზონი გაატარა. ორი წლის განმავლობაში მან მხოლოდ 47 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (ბუნდესლიგის ეგიდით). აქედან, პირველიდან ბოლო წუთამდე მან მხოლოდ 8 მატჩში იასპარეზა. აღსანიშნავია ისიც, რომ შეცვლაზე 28-ჯერ შევიდა.

თუკი შარშანწინ საქმეები ნორმალურად აეწყო, გასული სეზონი მან, ფაქტობრივად, სულ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ძირითად შემადგენლობაში კი მუდმივად **ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე** ასპარეზობდნენ. ახლა კი, რაკი ევროპის ჩემპიონატზე კარგად იასპარეზა (3 გოლი), მონდომება და მოტივაცია აშკარად მოემატა, მაგრამ "ბაიერნის" დატოვებაზე მაინც ფიქრობდა, რადგან სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერავინ აძლევს, სკამზე ჯდომის პერსპექტივა კი აღარ ხიბლავს.

ორიოდ დღის წინათ "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** გადაჭრით თქვა, პოლდი რჩებაო.

*"მისი პოზიცია ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები და მისაღებია. მე მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერ მივცემ, რადგან "ბაიერნის" თავდასხმაში კონკურენცია უდიდესია, მაგრამ ვპირდები, რომ შანსი აუცილებლად მიეცემა და თანაც არაერთხელ. მე მას ვუთხარი, მძიმე სიტუაციიდან გაქცევა არ შეიძლება-მეთქი,"* - ამბობს კლინსმანი. ერთი სიტყვით, კლინსის უნდა, რომ პოლდის დაეხმაროს.

■ ■ ■

კლინსმანმა "ბაიერნში" უკვე დანერგა რამდენიმე სიახლე. მან დაამკვიდრა ე.წ. დღის რვასაათიანი გრაფიკი და დაარიგა სპეციალური აპარატები, რომელთა მეშვეობითაც, ვარჯიშის შემდეგ ის თითოეული ფეხბურთელის შედეგებს შეამოწმებს (გულისცემა, პულსი, დაკარგული კალორიები, გარბენი და ა.შ.).

მთავარი სიახლე კი ის გახლავთ, რომ კლინსმანმა ფეხბურთელებს მობილური ტელეფონების მოხმარება აუკრძალა. იმ რვა საათის განმავლობაში, როდესაც მოთამაშეები ემზადებიან, მობილური ტელეფონით სარგებლობის უფლება არცერთ მათგანს აღარ ექნება. მოთამაშეებს ტექსტური შეტყობინებების დაგზავნა მასაჟის დროსაც კი აეკრძალათ, აღარაფერს ვამბობთ დარეკვაზე. მობილური ტელეფონები გამორთული უნდა იყოს პრესასთან ურთიერთობის დროსაც. ერთადერთი მომენტი, როცა ფეხბურთელებს ახლობლებთან დაკონტაქტება შეეძლებათ, შუადღის პაუზა იქნება. იურგენის თქმით, გუნდში მთავარი ის არის, რომ ფეხბურთელები ვარჯიშის დროს მხოლოდ ვარჯიშზე უნდა იყვნენ კონცენტრირებულები. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა "ბაიერნის" სათადარიგო მოთამაშეები უშუალოდ მატჩის დროსაც კი ტექსტურ შეტყობინებებს გზავნიდნენ.

*"კლინსმანის გადაწყვეტილებას მივესალმები. ის მართალია, ფეხბურთელმა მოედანზე მობილური ტელეფონით არ უნდა ირბინოს,"* - ეს **მიხაელ რენზინგის** მოსაზრებაა. მოკლედ, მწვრთნელის გადაწყვეტილება არავის გაუპროტესტებია.

გოტფრიდ **ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

# კინი კრაუჩისა და 10 მილიონის სანაცვლოდ

## სპარტაკმა ტოტენჰემი პავლიუჩენკოს მაგივრად დაიწუნა

**რობი კინს** შეუძლია, "ლივერპულში" წავიდეს, თუ "ტოტენჰემი" სანაცვლოდ **პიტერ კრაუჩსა** და 10 მილიონ გირვანქას მიიღებს. ეს ინფორმაცია ინგლისურმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს. კინს "ენფილდზე" გადასვლა უნდა. კრაუჩი ახალ სამსახურს ეძებს, რადგან მომავალ სეზონში, ისევ "ლივერპულის" თადარიგში ყოფნა არ სურს. კრაუჩს "პორტსმუთი" ეპატიჟებოდა. ფეხბურთელი ამ ვარიანტზეც თანახმა იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ "ტოტენჰემის" წინადადებასაც უყოყმანოდ დათანხმდება. რაღა დარჩა? კლუბების შეთანხმება. ტაბლოიდების ვარაუდით, არც "ლივერპულსა" და "ტოტენჰემს" გაუჭირდებათ საერთო ენის გამონახვა. "მამლები" რობი კინს 20 მილიონ გირვანქად აფასებენ. მათი აზრით, ეს სამართლიანი ფასია. ლონდონური კლუბი შეღავათის გაკეთებას არ აპირებს.

"ტოტენჰემი" მოსკოვის "სპარტაკსაც" დაუკავშირდა. მან სახალხო კლუბს **რომან პავლიუჩენკოს** გაყიდვა შესთავაზა. "მამლებმა" რუსებს 10 მილიონი გირვანქა შეაძლიეს, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. "სპარტაკს" მიაჩნია, რომ რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი უფრო მეტი ღირს და ამ ფასად მისი გაყიდვა გაუმართლებელი იქნებოდა. მოსკოველები უფრო შორს წავიდნენ და განაცხადეს, რომ არ აპირებენ ახალგაზრდა თავდამსხმელი დაუთმონ კლუბს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაშიც კი არ თამაშობს. მათი აზრით, პავლიუჩენკოს "ტოტენჰემში" ტრანსფერი ფეხბურთელისათვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. თავად პავლიუჩენკოს კომენტარი არ გაუკეთებია. შესაძლოა, მას ამის საშუალება არცკი მისცეს.




რობი კინი (შუაში) ჯერ ისევ ტოტენჰემთან ერთად ვარჯიშობს

სპეკულაციები

# ნიუკასლი არ იყიდება

სპეკულაციების თანახმად, "ნიუკასლის" ბოსი **მაიკ ეშლი** კლუბის გაყიდვას აპირებს. ინგლისურ ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, ის 830 მილიონ დოლარს ითხოვს - 570 მილიონით მეტს, ვიდრე ერთი წლის წინათ თავად გადაიხადა. "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ სპეკულაციები მაშინვე უარყო და მოარულ ხმებს აბსურდი და სისულელე უწოდა.

"დეილი მეილის" მტკიცებით, "ნიუკასლის" შეძენა ამერიკულ კომპანია "ინტერმედია პარტნერსს" სურს. ამ კომპანიის ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს. გარიგების შემთხვევაში, "ნიუკასლი" პრემიერლიგის მეხუთე კლუბი გახდება, რომელსაც ამერიკული მფლობელი ეყოლება, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ჯორდების დირექტორატი შესაძლო გარიგებას გამორიცხავს და გაზეთებს სპეკულაციების შეწყვეტისაკენ მოუწოდებს.




ნიუკასლის ექსცენტრული ბოსი მაიკ ეშლი

ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც გაზეთები "ნიუკასლის" შესაძლო გაყიდვაზე წერენ. საინტერესოა ის, რომ ამერიკული წყაროები ადასტურებენ ცნობას ჯორდული კლუბით ამერიკელი ინვესტორების დაინტერესების თაობაზე. იმასაც ამბობენ, რომ "ნიუკასლის" ხელმძღვანელობასთან წინასწარი მოლაპარაკებები გაიმართა, თუმცა მათ შინაარსზე არავინ არაფერს ამბობს.

ეშლი და მისი ბანაკი სატრანსფერო კამპანიით არიან დაკავებულნი. ორი დღის წინათ მათ გუნდში არგენტინელი ნახევარმცველი **ხონას გუტიერესი** ჩაიყვანეს. სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. **კევინ კიგანი** შემადგენლობის სერიოზულად გადახალისებას აპირებს, რათა გუნდს მარტო პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად აღარ მოუხდეს ბრძოლა.

ინგლისური მედია კი მაინც კლუბის გაყიდვაზე საუბრობს. შარშან, ეშლიმ "ნიუკასლი" ყოფილი ბოსის, **ფრედი შეპერდისაგან** 265 მილიონ დოლარად იყიდა. განვლილ ერთ წელიწადში, მან კიდევ 200 მილიონი დახარჯა. ამ თანხის ნაწილი ვალების გასტუმრებას მოხმარდა, ნაწილი ტრანსფერებს. ეშლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ კლუბის მფლობელს "ნიუკასლი" სწრაფად გამდიდრებისათვის არ უყიდია. მას კლუბის ასაღორძინებლად მრავალწლიანი გეგმა აქვს შედგენილი და მიზნის მისაღწევად არც ძალღონეს დაიშურებს და არც სახსრებს.

განვლილ წელიწადში ეშლიმ ერთი მწვრთნელის დათხოვნა უკვე მოასწრო. იანვარში მან კარისაკენ მიუთითა **სემ ელერდაისს** და მის ადგილზე გუნდის ყოფილი ბოსი, კევინ კიგანი დანიშნა. კიგანმა მუშაობა კატასტროფულად დაიწყო, ერთი ხანობა გუნდი გასავარდნ ზონაშიც კი იმყოფებოდა, მაგრამ ბოლოს მდგომარეობა გამოასწორა და სირცხვილს გადაურჩა.

### მათეუსს ისრაელში ეიფორია დახვდა

გუშინ, **ლოთარ მათეუსმა** ნეთანიის „მაკაბი" პირველად ავარჯიშა. 47 წლის სპეციალისტს ისრაელში უდიდესი ეიფორია და ქაოსი დახვდა. მისი გუნდი მოედანზე გასული არ იყო, რომ მინდორზე 250-მდე გულშემატკივარი შევარდა. ფანებმა ლოთარი და მისი შეგირდები ხელში აიტაცეს და სიმღერითა და ცეკვით, აქეთ-იქით დაარბენინებდნენ. *"ეს სასწაულია. ასეთი რამ არსად მინახავს. ბრაზილიაშიც მიმუშავია, გულშემატკივრები ასე იქაც არ იქცევიან,"* – ამბობს ლოთარი.

### კუპე ატლეტიკოში გადავიდა

გუშინ გვიან ღამით, "დიარიო ასმა" მისი ვებ გვერდის საშუალებით **გრეგორი კუპეს** "ატლეტიკოში" გადაბარგების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. მადრიდულ გაზეთს თუ დავუჯერებთ, "როხიბლანკომ" საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" მეკარე სულ რაღაც 1.5 მილიონ ევროდ ჩაიგდო ხელში. იმ შემთხვევაში, თუ "ატლეტიკო" მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში ჩემპიონთა ლიგაში გავა, "ლიონი" დამატებით 500 ათას ევროს მიიღებს.

ესპანური კლუბის პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** მიღწეული შეთანხმებით უზომოდ ბედნიერია და აცხადებს, რომ კუპე მის გუნდს ერთი-ორად გააძლიერებს. ფრანგის ტრანსფერს **ხავიერ აგირეც** დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა. მთავარი მწვრთნელი პირდაპირ ამბობს, რომ გრეგორი მეკარეების პრობლემას დიდი ხნით მოაგვარებს. ანუ, იქამდე, სანამ "ატლეტიკოში" ითამაშებს. 36 წლის კუპეს მადრიდელებმა ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს.



დიეგო ვერდერის ერთგულია

ინტერვიუ დიეგოსთან

# ევროს აღმოჩენა რუსეთი იყო, საუკეთესო ფეხბურთელი კი არშავინი

## ბრაზილიელმა საბოლოოდ გადაწყვიტა: მომავალ სეზონსაც ბრემენში გაატარებს

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ ბრემენის "ვერდერმა" მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. მაგრამ თომას შააფის განკარგულებაში არ არის გუნდის ლიდერი დიეგო, რომელიც ჯერ კიდევ შვებულებაშია და "მუსიკოსებს" 14 ივლისს უნდა შეუერთდეს. ინტერნეტგამოცემა "სპოქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში, 23 წლის ფლეიმეიქერმა განაცხადა, რომ ბრემენში რჩება. ამ და სხვა თემების გარდა, დიეგომ, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონატზე და საკუთარ მიზნებზეც ისაუბრა.

**- დიეგო, სად და რა ვითარებაში მიადევნეთ თვალ-ყური ევროპის ჩემპიონატს?**

- მართალია, ნაკრებთან ერთად ვიყავი, მაგრამ გერმანიისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდების ყველა მატჩი ვნახე.

**- გერმანიის ნაკრების მიერ ნაჩვენები თამაში მოგეწონათ? და საერთოდ, რას იტყოდით ბუნდესგუნდზე?**

- ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გერმანელები ჯგუფიდან გავიდოდნენ. მეტიც, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალში ითამაშებდნენ, რადგან კალენდარი ისე დაემთხვა, რომ წესით ფინალში უნდა ეთამაშათ. როგორც ხედავთ, ასეც მოხდა. გერმანიას ყოველთვის ძლიერი გუნდი ჰყავს. ვერ ვიტყვი, რომ იოახიმ ლიოვის სამწყსომ იდეალური ფეხბურთი აჩვენა, მაგრამ მთავარი შედეგია, ფინალში გასვლა კი წარმატებაა. ცხადია, ბუნდესგუნდს ცოტათი ვქომაგობდი კიდეც, იქ ხომ ბრემენელი ბიჭები, ჩემი მეგობრები თამაშობენ. სამწუხაროდ, ჩემი ქომაგობა საკმარისი არ გამოდგა იმისათვის, რომ გერმანია ევროპის ჩემპიონი გამხდარიყო.

**- თქვენი აზრით, ვინ იყო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი?**

- აუცილებლად ანდრეი არშავინი! მან მხოლოდ სამი თამაში ჩაატარა, მაგრამ ამ სამ შეხვედრაში იმდენად შესანიშნავად იასპარეზა, რომ პირადად მე მოხიბლული ვარ. არშავინმა დაამტკიცა, რომ ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია. მისი თამაშის სტილი ძალიან მომწონს. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მეც მის პოზიციაზე ვთამაშობ, არამედ იმის გამო, რომ ის მართლა დიდი ფეხბურთელია.

**- ყველაზე მეტად რომელმა გუნდმა გაგაკვირვათ და რომელმა გაგიცრუათ იმედები?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთული ნამდვილად არ არის: ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა რუსეთის ნაკრები იყო. სულ რომ არაფერი იყოს, გუუს ჰიდინკის გუნდმა ტურნირიდან ყველაზე ძლიერი და საუკეთესო ფორმაში მყოფი, ჰოლანდია გააგდო. შესაბამისად, იმედები ყველაზე მეტად სწორედ ჰოლანდიის ნაკრებმა გამიცრუა. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ვან ბასტენის გუნდმა ჩემგან უდიდესი სიმპათია დაიმსახურა. ისე, არ დაგიმალავთ და გული მიგრძნობდა, რომ ევროპის ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ. როდესაც გუნდი დიდ ტურნირს ასე კარგად იწყებს, მერე აუცილებლად მარცხდება ხოლმე. ისე კი, ჰოლანდიას მინიმუმ ფინალში უნდა ეთამაშა.

**- პერ მერტეზაკერმა "ვერდერთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. არის თუ არა ეს კარგი ნიშანი?**

- ეს მართლაც შესანიშნავი ინფორმაციაა. პერი შესანიშნავი მცველია, გერმანიის ნაკრების დაცვის ბურჯი და ბოლოს და ბოლოს, ის ჩემი მეგობარია. ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან რჩება და მომავალშიც დაგვეხმარება. გაისად ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ და მერტეზაკერის დარი მცველის დაკარგვა დაუშვებელი იყო.

**- და "ვერდერში" თქვენც 2011 წლამდე დარჩებით?**

- იმედი მაქვს, რომ ასე იქნება. ადრეც მითქვამს და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ: "ვერდერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე მაკავშირებს. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლა არ მინდა.

**- რა მიზნებს დაისახავს ბრემენული კლუბი?**

- გულახდილად გეტყვით: ჩემი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა. "ვერდერში" უკვე ორი სეზონი გავატარე და გუნდმა ორივე სეზონში ძალიან კარგად იასპარეზა. მაგრამ ორივე შემთხვევაში "ვერცხლის სინის" გარეშე დავრჩით. ახლა კი მოვიდა დრო, რომ ჩემპიონები გავხდეთ. ამას გარდა, ძალიან გვინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება, შორს გავიდეთ.

**- როგორ ფიქრობთ, აქვს კი "ვერდერს" იმის უნარი, რომ "ბაიერნს" ჯეროვანი კონკურენცია გაუწიოს?**

- ერთადერთი, რაც მაღელვებს და ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემისკენ მიბიძგებს, არის ის, რომ გუნდის ხელმძღვანელებმა ტიმ ბოროვსკისა და ივან კლასნიჩის შემცვლელები ჯერ ვერ იპოვეს. მაგრამ ფაქტია, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და ამ სიცარიელეს აუცილებლად ამოვავსებთ. დარწმუნებული ვარ, ორ-სამ უმაღლესი კლასის მოთამაშეს დავიმატებთ, რათა გუნდში კონკურენცია გაიზარდოს და "ვერდერიც" უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს.

**- სანამ ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, თქვენ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასპარეზობდით. ვერ ვიტყვით, რომ ძალიან წარმატებით...**

- ბრაზილიის ნაკრები საკვალიფიკაციო შეხვედრებს ყოველთვის რთულად იგებს ხოლმე. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენს წინააღმდეგ ყველა უდიდესი მოტივაციითა და კონცენტრაციით თამაშობს. ხომ იცით, ყველას ბრაზილიის დამარცხება უნდა.

**- არგენტინასთამ მატჩში (0:0), მწვრთნელმა თამაშში 30-ე წუთზე ჩაგრთოთ და მერე, მე-80წუთზე ისევ შეგცვალათ. არ გაბრაზდით?**

- ასეთი ფაქტების გამო არასდროს ვბრაზდები. მატჩის შემდეგ კარლოს დუნგას ვესაუბრე და ყველაფერი კარგადაა. კარგად მესმის ის, რომ მწვრთნელი ამ შეხვედრაში უმძიმესი ზეწოლის ქვეშ იყო მოქცეული.

**- არის თუ არა დუნგა ბრაზილიის ნაკრებისთვის ზედგამოჭრილი მწვრთნელი?**

- შარშან დუნგამ გუნდს კოპა ამერიკა მოაგებინა და სხვათა შორის, პარაგვაისთან და არგენტინასთან მატჩებამდე, რომლებიც მართლაც ურთულესი გამოვიდა, თავის საქმეს იდეალურად აკეთებდა. ახლა, მხოლოდ ორი მატჩის გამო ვერ ვიტყვით, რომ "სელესაოსთვის" ცუდი მწვრთნელია. მოთმინება უნდა ვიქონიოთ. აი, ნახავთ, მომდევნო მატჩის შემდეგ ისევ ყველაფერი კარგად იქნება და დუნგასაც აღარავინ გააკრიტიკებს. საერთოდ, სამხრეთ ამერიკიდან მუნდიალზე გასვლა არც ისე იოლია. გრანდებს ჩავარდნები ხშირად აქვთ ხოლმე. პირადად მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ სელესაო მუნდიალზე ითამაშებს.

**- რომელი სცენარი უფრო მოგწონთ: დიეგო იგებს ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ოქროს, თუ დიეგო "ვერდერთან" ერთად ხდება გერმანიის ჩემპიონი?**

- (იცინის) ორივე სცენარი ძალიან მომწონს. დროა, ბრაზილიის ნაკრებმა ოლიმპიადაზე გაიბრწყინოს. მაგრამ "ვერდერის" გაჩემპიონების დროც მოვიდა და ჩემთვის ეს მიღწევაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**გოტფრიდ ლენცი**

## თითქმის გადაწყვეტილია: არშავინი ჩელსიში მიდის

"ჩელსიში" ტრანსფერის შემთხვევაში, **ანდრეი არშავინს** წელიწადში 8 მილიონ ევროს გადაუხდიან. ამ ინფორმაციას რუსული ინტერნეტგამოცემა "ტვოი დენი" ავრცელებს. გაზეთი იუწყება, რომ მოლაპარაკებები არშავინსა და "არისტოკრატების" ბოს **რომან აბრამოვიჩს** შორის, ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატისას დაიწყო. თავდაპირველად, ფეხბურთელი წლიური ხელფასის სახით, 10 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ თანდათან ქამარი მოიჭირა და 8 მილიონს დათანხმდა. სპეკულაციების თანახმად, "ზენიტში" მისი შემოსავალი 3 მილიონ ევროს შეადგენს. "ბარსელონამ", რომელსაც არშავინის შეძენა ძალიან უნდოდა ფეხბურთელს მხოლოდ (!) 6 მილიონი შესთავაზა. ნახევარმცველმა, რაღა თქმა უნდა, ლონდონელების სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი. თავის მხრივ, პეტერბურგელებმა არშავინს კონტრაქტის გაგრძელების სანაცვლოდ, 5 მილიონი ევრო აღუთქვეს, მაგრამ ფეხბურთელმა მათი წინადადება თავაზიანად უარყო. რუსული სააგენტოების მტკიცებით, არშავინი "ჩელსიში" დღე-დღეზე ჩაირიცხება. უცნობია, რა თანხას გადაუხდიან "არისტოკრატები" რუსულ კლუბს.

## ჟირკოვს საფრანგეთში უხმეს

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკას მარცხენა ნახევარმცველი **იური ჟირკოვი**, შეიძლება, "ლიონში" გადავიდეს. საფრანგეთის ჩემპიონებმა დაადასტურეს, რომ მოსკოვურ კლუბთან მოლაპარაკებების გამართვა სურთ. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია ჟირკოვით ევროპული გრანდების დაინტერესების თაობაზე. ფეხბურთელს "ჩელსიში", "ინტერში" ან "მანჩესტერ იუნაიტედში" წასვლაც კი უწინასწარმეტყველეს, მაგრამ ა[...]ნუთისათვის ერთადერთი რეალური ვარიანტი "ლიონია". ცნობილია ისიც, რო[მ] საფრანგეთის საუკეთესო კლუბმა რუსეთის ნაკრების კიდევ ერთ ფეხბურთელს **დმიტრი ტორბინსკის** დაადგა თვალი და მოსკოვის "ლოკომოტივთან" დაკავში[...]რებას გეგმავს.

## ისაკსონმა გომესი შეცვალა, რობინსონი ვილაში მიდის

"მანჩესტერსიტის" მეკარე **ანდრეას ისაკსონი** "ეინდჰოვენში" გადავიდა. შვე[...]დეთის ნაკრების პირველმა ნომერმა ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელ[ი]. ისაკსონმა იმედი გამოთქვა, რომ ჰოლანდიური კლუბის ძირითადი მეკარე გახ[...]დება და ღირსეულად შეცვლის **ეურელიო გომესს**. მოგეხსენებათ, ამ უკანას[...]ნელმა "ტოტენჰემს" მიაშურა. გომესი "მამლების" ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ლონდონელები მასზე დიდ იმედს ამყარებენ. ბრაზილიელმა გოლკი[...]პერმა ჰოლანდიის ჩემპიონატის შარშანდელ სეზონში 34 მატჩში მხოლოდ 24 გო[...]ლი გაუშვა.

გომესის ტრანსფერმა **პოლ რობინსონის** აბარგება დააჩქარა. "ტოტენჰემი[...]სა" და ინგლისის ნაკრების მეკარეს "ასტონ ვილა" ეპატიჟება. ბირმინგემელებ[ს] იმედი აქვთ, რომ რობინსონის ტრანსფერს უახლოეს დღეებში სრულყოფენ. "ვ[ი]ლა" 5 მილიონ გირვანქას იხდის. "ტოტენჰემი" თანახმაა. პოლი იმედოვნებს, რო[მ] ბირმინგემში გადასვლით ნაკრების ძირითადში დაბრუნება გაუადვილდება. იმ[...]საც შეგახსენებთ, რომ მას "ტოტენჰემის" სასტარტოში მარტის შემდეგ არ უთა[...]მაშია.

## ბეენჰაკერი პოლონეთში დარჩა

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ **ლეო ბეენჰაკერთან** ახალი კონტრა[ქ]ტი გააფორმა. ჰოლანდიელი მწვრთნელი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს კიდევ ორ[ი] წელი უხელმძღვანელებს. ბეენჰაკერის შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატზე ჯგ[უ]ფიდან ვერ გააღწიეს. მათ სამიდან ორი მატჩი წააგეს და მხოლოდ ერთ ქულას და[...]ჯერდნენ - ტურნირის თანამასპინძელ ავსტრიასთან (1:1). ამის მიუხედავა[დ] ბეენჰაკერის მუშაობა მაინც ნაყოფიერად ჩაითვალა. პოლონელებისათვის ევრო[ს] ფინალურ სტადიაზე გასვლაც წარმატება იყო. ვეტერან მწვრთნელთან თანამ[შ]რომლობის გაგრძელებაც სავსებით მოსალოდნელი გახლდათ. ამჯერად, ბეენჰა[...]კერის ამოცანა პოლონელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა იქნება.



ლეო ბეენჰაკ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან

# გაშეშებული ეპიზოდები

## ყველა დროის 10 საუკეთესო ევრომომენტი

**ევროპის ჩემპიონატებმა გულშემატკივრებს ასობით დასამახსოვრებელი ეპიზოდი შემოუნახა. გთავაზობთ ყველა დროის 10 საუკეთესო მომენტს...**

### 1. დანიური კმაყოფილება

ამაზე კარგ სცენარს რას ინატრებდნენ ჰოლივუდის სტუდიების მესვეურები. ევრო 92-ზე, შვედეთში, საკვალიფიკაციო ეტაპზე მარცხის შემდეგ, დანიელებმა დაივიწყეს ყოველგვარი პრობლემა და შვებულებაში გავიდნენ. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, უეფამ იუგოსლავია (ერთ-ერთი ფავორიტი) მოხსნა ტურნირიდან, უსაფრთხოების მიზნით, ბალკანეთში საომარი მოქმედების გამო.

დანიელებს შეაწყვეტინეს შვებულება და გამოიძახეს ჩემპიონატში, იუგოსლავიის ადგილის დასაკავებლად. დანიელები თითქმის არაფერს ელოდნენ. დანია ევრო 88-ის ჯგუფური ტურნირიდან გავარდა სამივე მატჩში დამარცხების შემდეგ და ვეტერანმა **მიკაელ ლაუდრუპმა**, თავისი დროის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა ფეხბურთელმა, შვედეთში თამაშზე უარი თქვა. პირველი რაუნდიდან გამოვარდნა არც ახლა იყო გამორიცხული.

ნახევარფინალში, ევროპის მოქმედი ჩემპიონის (ჰოლანდია) დამარცხების შემდეგ, დანიელები ფინალში ევროპის ორგზის ტრიუმფატორ გერმანიას დაუპირისპირდნენ. მიზანი მიუღწეველი ჩანდა, მაგრამ მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ერთ მუშტად შეკრული უძლიერესი გუნდია და გერმანიას 2:0 მოუგეს. ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დიდი შოკის ავტორებმა, დანიელებმა, ანრი დელონეს ტროფეი მოიპოვეს და გიოტებორგში დიდი ზეიმიც გამართეს.

### 2. მარკო ვან ბასტენის საუცხოო გოლი

სცენა: მიუნხენის "ოლიმპიაშტადიონი". ევრო 88-ის ნახევარფინალში გერმანელთა დამარცხების შემდეგ, ჰოლანდიელებს ფინალში ძნელი მეტოქე, საბჭოთა კავშირის ნაკრები (ვისთანაც, ამავე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე 1:0 ჰქონდა წაგებული) ელოდა. 32-ე წუთზე, **რუუდ გულიტის** მიერ გატანილი გოლით, ჰოლანდია დაწინაურდა. საბჭოელებმა ჰოლანდიელთა დეზორიენტაცია სცადეს. სწორედ ამ დროს, დადგა დაუვიწყარი მომენტი: "ნარინჯისფერთა" ფორვარდმა, ტურნირის მშვენება **მარკო ვან ბასტენმა**, მატჩის 54-ე წუთზე არაჩვეულებრივი სილამაზის გოლი გაუტანა **რინატ დასაევს** და ამით დაასრულა საბჭოელთა ოცნება ევროპის ჩემპიონობაზე.

მცველმა **ადრი ვან ტიგელენმა** მეტოქის პასი ჩაჭრა, გაიჭრა წინ და **არნოლდ მიურენი** მარცხენა ფრთიდან გარღვევაზე გაიყვანა. ის საჯარიმოში შეიჭრა და თავისუფალი ვან ბასტენი მონახა, ამ უკანასკნელმა კი, მახვილი კუთხიდან, ბურთს მიწაზე დაუშვებლად დაასცხო და ყველა დროის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. იმ წელიწადს, ვან ბასტენი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

### 3. კაშკაშა საბერძნეთი: დაუჯერებელი, ზღაპრული, დაუვიწყარი, შეუძლებელი

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ევრო 2004-ზე საბერძნეთის ნაკრები ასეთ გამარჯვებას ჩაიდენდა. **ანგელოს ხარისტეასმა**, მასპინძელ პორტუგალიასთან ფინალური მატჩის 57-ე წუთზე, საბერძნეთი შოკისმომგვრელი გოლით დააწინაურა. ამ გოლის წყალობით ბერძნებს სანუკვარი ოცნება აუხდათ. ისინი ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საბერძნეთის შინაური ჩემპიონატი არც ისე მაღალი დონისაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბერძნების ტრიუმფი ნამდვილად ჯადოსნობის მსგავსი იყო. მანამდე, საბერძნეთი დიდ ტურნირებში მხოლოდ ორჯერ მოხვდა: ევრო 80-ზე და 1994 წლის მუნდიალზე. ის მუდამ ადრეულ ეტაპზე ეთიშებოდა ასპარეზობებს, თანაც, გამარჯვების გარეშე.

ევრო 2004-ზე კი საბერძნეთმა ისტორია შექმნა: პორტუგალია ჯერ ჯგუფურ ტურნირში დაანაღვლიანა, შემდეგ კი ფინალშიც. მეოთხედფინალიდან მათ მოქმედი ჩემპიონი, საფრანგეთის ნაკრები გამოთიშეს, ნახევარფინალში კი ჩეხეთის მეტად ძლიერი გუნდიც მიაყოლეს, ხოლო ფინალზე უკვე გითხარით.

### 4. ტრეზეგეს ოქროს გოლი

ევრო 2000-ზე იტალიის გაჩემპიონებას წამებილა აკლდა. 1:0-ზე ისინი ყრუ დაცვაზე გადავიდნენ და ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ისინი ხომ მოქმედ მსოფლიო ჩემპიონებს, ფრანგებს უგებდნენ და მსაჯის საბოლოო სასტვენს მოუთმენლად ელოდნენ...

მაგრამ ფრანგები არ დანებდნენ. ძირითადი დროის დასრულებამდე წამები რჩებოდა, როცა "სამფეროვანთა" ფორვარდი **სილვენ ვილტორი** მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და მეკარე **ფრანჩესკო ტოლდო** ხახამშრალი დატოვა. იტალიელები შოკში იყვნენ. 1:1, ანუ, დაინიშნა დამატებითი დრო გამარჯვებულის გამოსავლენად.

ორივე მხრიდან რამდენიმე საგოლე შანსის განიავების შემდეგ, ინიციატივა **რობერ პირესმა** გამოიჩინა: მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, აუარა გვერდი **ალესანდრო ნესტას** და ბურთი პენალტის ნიშნულის სიახლოვეს, დავიდ ტრეზეგეს გადააწოდა, ამან კი, არც აცია, არც აცხელა, 103-ე წუთზე ცაციათი ბურთი ტოლდოს კარის "ცხრიანში გაახვია". თამაში იქვე მორჩა. ტრეზეგეს "ოქროს გოლის" წყალობით, საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობას ევროტრიუმფიც მიაყოლა.

### 5. გაზას შოტლანდიური ქეიფი

ევრო 96-ის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, **პოლ გესქოინის** საქციელმა მთელი ბრიტანეთი ააწრიალა. ინგლისის ნაკრები, მშვიდ სიტუაციაში სავარჯიშოდ, ჰონგ კონგში განმარტოვდა, რათა სამშობლოში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მომზადებულიყო. გესქოინი და მეგობრები კი... ღამეებს ქეიფსა და დროსტარებაში ათენებდნენ.

ნამდვილი ისტერია ატყდა. ბრიტანული ტაბლოიდების პირველი გვერდები "დარდიმანდი" ინგლისელების ფოტოებით იყო აჭრელებული. წამყვანმა ჟურნალ-გაზეთებმა უდისციპლინო ფეხბურთელების დასჯა მოითხოვეს. არადა, ტურნირის სტარტი ახლოვდებოდა...

უკვე ერთი თვის შემდეგ, "უემბლის" სტადიონზე, ინგლისი-შოტლანდიის მატჩის დროს, როცა **ტერი ვენეიბლზის** ბიჭები 1:0-ს იგებდნენ, **დარენ ანდერტონმა** მოძებნა გესქოინი, რომელმაც ოსტატურად, ცაციათი, გადაუგდო ბურთი თავზე შოტლანდიელ მცველ **კოლინ ჰენდრის**, მერე მარჯვენა ფეხზე გადაიტანა და მეკარე **ენდი გორამს** დაბალ კუთხეში გაუტანა. "უემბლი" ლამის დაინგრა "გაზა-გაზას" სკანდირებით. გოლის შემდეგ კი მოედანზე ასეთი სცენა გათამაშდა: გახარებული გესქოინი გაზონზე დაეცა, ხოლო თანაგუნდელები მივარდნენ და პირში წყალს ასხამდნენ. ეს "გაზას" იმ საქეიფო თავგადასავლების იმიტაცია იყო...

### 6. პლატინის საჯარიმო დარტყმა, რომელმაც ლურჯებს გამარჯვება მოუტანა

ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ეს იყო ნამდვილად ერთი ფეხბურთელის სპექტაკლი. ფრანგი პლეიმეიქერი **მიშელ პლატინი**, მისი პერიოდის საუკეთესო მოთამაშედ ითვლება, და სრულიად სამართლიანადაც. ოთხ მატჩში მან ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა და საფრანგეთი, ევრო 84-ის ფინალში გაიყვანა. კორსიკული წარმოშობის პლატინი, იტალიელებს თავისიანად მიაჩნდათ. პლატინი დომინირებდა მთელი ტურნირის განმავლობაში, არაჩვეულებრივი, ელეგანტური თამაშის სტილით, შორი, ლამაზი პასებითა და შესანიშნავი გოლებით...

ესპანეთის ნაკრების მეკარე **ლუის არკონადამ** პლატინის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის მოგერიება ვერ მოახერხა და ფინალი საფრანგეთმა მოიგო. მატჩის 55-ე წუთზე **ბერნარ ლაკომბი** ესპანელთა საჯარიმო მოედანთან წააქციეს და პლატინის ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი გაუჩნდა. პლატინიმ უხერხულად დაარტყა ჯარიმა, ბურთმა "ცოცხალ კედელს" მარჯვნიდან აუარა გვერდი და არკონადასგან მარცხენა დაბალ კუთხეში აღმოჩნდა. არკონადამ თითქოს მოიგერია ბურთი, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და...

პლატინიმ ხუთ მატჩში 9 გოლი გაიტანა და მიუხედავად იმისა, რომ **ბრუნო ბელონმა** მეორე, ასევე ლამაზი გოლით, მატჩის საბოლოო ანგარიში (2:0) დააფიქსირა, მიჩნეულია, რომ "ლურჯებს" პლატინის გოლმა გაამარჯვებინა.

### 7. პანენკას მატყუარა დარტყმა

საუცხოო! - მხოლოდ ასე შეიძლება დავახასიათოთ **ანტონინ პანენკას** მიერ დარტყმული, გამარჯვების 11-მეტრიანი საჯარიმო ევრო 76-ის ფინალში, რომელიც ბელგრადში გაიმართა. ჩეხოსლოვაკია 2:1-ს უგებდა **ფრანც ბეკენბაუერის** დასავლეთ გერმანიას, როცა **ბერნდ ჰოლცენბაინმა** 89-ე წუთზე გოლი გაიტანა და დამატებითი დრო დაინიშნა. აქ ანგარიში არ შეცვლილა და საქმე პენალტებამდე მივიდა...

ნერვები ყველას დაძაბული ჰქონდა. **რაინერ ბონჰოფმა** ააცილა, **ული ჰიონესმაც**... და პანენკას ჯერი დადგა. ის მშვიდად მივიდა ბურთთან, დაარტყა და ჩეხოსლოვაკიას ევროტიტული მოუტანა. არავინ ელოდა პანენკასგან ასეთ "მატყუარა" დარტყმას. **ზეპ მაიერს** ეგონა, რომ ბურთი მარცხნივ წავიდოდა და იქითკენ გადახტა, ბურთი კი ბადის შუაში მოხვდა. ჩეხოსლოვაკიამ პენალტების სერიით 5:3 მოიგო.

### 8. ჯადოქარმა დრაგანმა ინგლისელები დაწვა

ევრო 68-ზე, იტალიაში, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ინგლისი ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა. ისინი ნახევარფინალში იუგოსლავიას დაუპირისპირდნენ. მატჩი ფლორენციაში გაიმართა. შეხვედრა მძიმე იყო, უხეშობით გამოირჩეოდა. მეტოქეებმა 49 საჯარიმო დარტყმა შეასრულეს. რაღაც მომენტში, ინგლისელები თითქოს გამოცოცხლდნენო, მაგრამ ხისტი იუგოსლავური დაცვის ხაზის გარღვევას მაინც ვერ ახერხებდნენ. თამაში უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ... გენიოსმა **დრაგან ჯაიჩმა** 86-ე წუთზე ინგლისელებს ცივი შხაპი გადაასხა და წინსვლისკენ გზა მოუჭრა.

უსწრაფესმა გარემარბმა, ფეხზე "მიწებებული" ბურთით, სამი მცველი ჩამოიტოვა, მეოთხემ კი შეაჩერა, მაგრამ ჯაიჩმა წონასწორობა შეინარჩუნა, ინგლისის კაპიტან **ბობი მურსაც** აუარა გვერდი და ბურთი თანაგუნდელ **ილია პეტკოვიჩს** გადააწოდა. მისგან დაბრუნებული ბურთი ჯაიჩმა მკერდზე მიიღო, ფეხზე გაისწორა და ლეგენდარული გოლკიპერის, **გორდონ ბენქსის** კარში მოათავსა. ეს გამარჯვების გოლი იყო...

### 9. პირველი ჩემპიონები

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, საფრანგეთში, ევროპის პირველი ჩემპიონატი მოიგო, 1960 წელს. მაშინ ამ ტურნირს ევროპის ეროვნებათა თასი ერქვა. ფინალური შეხვედრის დამატებით დროში საბჭოეთმა იუგოსლავია 2:1 დაამარცხა.

43-ე წუთზე, **მილან გალიჩის** მიერ გატანილი გოლით, იუგოსლავია 1:0-ზე დაწინაურდა. ამის შემდეგ, ლეგენდარულმა საბჭოთა მეკარე **ლევ იაშინმა** მრავალჯერ გადაარჩინა გუნდი. მეორე ტაიმის მე-4 წუთზე საბჭოეთმა ანგარიში **სლავა მეტრეველის** დარტყმით გაათანაბრა. 113-ე წუთზე კი, **ვიქტორ პონედელნიკმა, მიხეილ მესხის** პასის შემდეგ, ზუსტი თავური დარტყმით საბჭოთა კავშირის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა.

### 10. ტკბილი ესპანური რევანში

ევროპის 1960 წლის პირველობა "ცივი" ომის პოლიტიკამ დაჩრდილა. უნგრეთის დამარცხების შემდეგ, საბჭოთა ნაკრები მეოთხედფინალში ესპანეთს უნდა შეხვედროდა. ესპანელმა დიქტატორმა, გენერალმა **ფრანსისკო ფრანკომ**, საკუთარი ქვეყნის გუნდს თამაში აუკრძალა. საბჭოელებმა გზა განაგრძეს და ჩემპიონებიც გახდნენ.

ოთხი წლის შემდეგ, ფინალში, ორი ძველი მეტოქე ერთმანეთს მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე", 125 ათასი მაყურებლის თვალწინ დაუპირისპირდა. მე-6 წუთზე, ესპანეთი **ხესუს პარედას** გოლით დაწინაურდა. ორ წუთში, **გალიმზიან ხუსაინოვმა** ანგარიში გაათანაბრა.

ფრე 84-ე წუთამდე შენარჩუნდა, როცა **მარსელინოს** თავური დარტყმით ესპანეთმა რევანში აიღო. წლევანდლამდე, ესპანეთს მხოლოდ ეს ტურნირი ჰქონდა მოგებული. 44 წლის შემდეგ, ფინალში გერმანიის ნაკრების დამარცხებით (1:0), ესპანეთმა კვლავ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. გამარჯვების გოლი **ფერნანდო ტორესმა** გაიტანა...

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**



1976, პანენკას მატყუარა პენალტი



1992, დანიური სასწაული




1996, გესქოინის გოლის შემდეგ

პეკინი 2008. ოლიმპიადის მონაწილენი.
გიორგი გოგშელიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

# ახალმა აღზევებამ პიკს პეკინში უნდა მიაღწიოს


გიორგი გოგშელიძე

ისინი ერთ დროს რუსეთის სპორტულ ღირსებას იცავდნენ, თუმცა მაშინაც ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ. ახლა მეტოქეები არიან სხვადასხვა ქვეყნის სახელით. **გიორგი გოგშელიძესა და ჰაჯიმურატ გაცალოვზე** მოგახსენებთ. შარშანწინ გუანჩჟოუს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მათი დაპირისპირება რუსეთის გუნდის ნევრის გამარჯვებით დამთავრდა. წლეულს ფინურ ტამპერეში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გადაიკვეთა მათი გზები. გორელმა ფალავანმა დამაჯერებელი რევანში აიღო - ორ პერიოდში აჯობა ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს. მანამდე კი იოლად სძლია ბულგარელ **ნიკოლაი ჩირევს**, ბელარუს **რუსლან შეიხოვს**, მოლდოველ **ნიკოლაი ჩებანს**. ფინალში არც უკრაინელი **გიორგი თიბილოვის** დამარცხება გასჭირვებია და "ოქროსთან" ერთად პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურიც დაიმსახურა.

შარშანდელი სეზონის "ჩაგდების" შემდეგ გოგშელიძის ხელახალი აღზევება, ცხადია, გვახარებს, რადგან 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადა კარს არის მომდგარი და ჩვენი სპორტსმენები რაც უფრო კარგად მოემზადებიან, მედლების მოპოვების მეტი შანსი ექნებათ.

მაინც, რა მოხდა შარშან?

ჰაჯიმურატ გაცალოვმა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისგან თავი შეიკავა - ოლიმპიადისთვის სპეციალური პროგრამით ვემზადები და კონტინენტის პირველობა ჩემს გეგმაში არ შედისო. რუსი "თავისუფლების" თავკაცმა **ჯამბულატ თედეევმა** მის ნაცვლად ნაკრებში ახალგაზრდა **შირვან მურადოვს** უხმო. ამგვარ სიტუაციაში ყველა სპეციალისტმა ერთხმად აღიარა ქართველი ფალავნის - გიორგი გოგშელიძის ფავორიტობა. არცთუ უსაფუძვლოდ - **ნუგზარ სხირელის** შეგირდი ხომ 2006 წელს **ფინალს** რჩეული გახლდათ.

სამწუხაროდ, პროგნოზი არ გამართლდა. მართალია, გიორგიმ იოლად დაამარცხა თურქი **ჰაკან კოჩი**, მაგრამ II წრეში ისე დათმო შეხვედრა დებიუტანტ მურადოვთან, რომ ქულა არ აუღია. დამამშვიდებელ ჯგუფში ზედიზედ სძლია ბულგარელ **დიმიტარ კუმჩევს**, უნგრელ **დარდაი კიშის**, რუმინელ **მიჰაი სტროიას** და "ბრინჯაოს" დასჯერდა. გვეგონა, ბაქოს მსოფლიო ჩემპიონატზე აინაზღაურებდა დანაკარგს, მაგრამ **ჰეიდარ ალიევის** სასახლის ხალიჩაზე როგორ ნაგო **ალექსეი კრეპნიკოვთან**, დღემდე ვერ გაურკვევია.

გიორგი გოგშელიძე გამოცდილი ფალავანია. პირველი ფანდები 5 წლისამ ისწავლა გორში, **გურამ მარგველაშვილისა და ავთანდილ ზაალიშვილის** ხელმძღვანელობით. 9 წელინადი რუსეთში **ვალერი პერვუხინი** და ჯამბულატ თედეევი ავარჯიშებდნენ. ამჟამად ნუგზარ სხირელთან იმაღლებს ოსტატობას. მის სპორტულ კოლექციას მრავალი ჯილდო ამშვენებს. ახალგაზრდებში ორ-ორჯერ მოიპოვა რუსეთის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობა. 1999 წელს შეიარაღებული ძალების მსოფლიო თამაშები მოიგო. უფროსებში სამჯერ რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, 2001 წელს პლანეტის უძლიერეს ფალავნებს აჯობა, კონტინენტის პირველობაზე კი "ვერცხლს" დასჯერდა. 2003 წელს მოსკოვში აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონატზე 96 კილოში პირველი ადგილი ხვდა, სუპერთასის ფინალი კი კუბელ მძიმეწონოსან ალექსის როდრიგესთან დათმო.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე და ევროპის პირველობაზე მესამე ადგილები დაიკავა.

გიორგის რუსეთში გატარებული პერიოდის გახსენება ვთხოვე.

- ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯამბულატ თედეევმა 2001 წელს ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანა, - მითხრა მან. - ფინალის გარდა, ყველა შეხვედრა მოვიგე. გადამწყვეტ შეხვედრაში **ლუკა კურტანიძესთან** დავმარცხდი. მოგეხსენებათ, რუსეთში მეორე ადგილი წარუმატებლად მიაჩნიათ, ამიტომ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად ახალი გამოცდა მომიწყვეს - კრასნოიარსკში **ივან იარაგინის** საერთაშორისო ტურნირზე მაჭიდავეს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის შესარჩევი ასპარეზობაც იყო. ყველასთვის მოულოდნელად, მთავარ კონკურენტს - **კურამაგომედოვს** ფინალში 21-ე წამზე სუფთად მოვუგე და თედეევმა, ცხადია, კვლავ ნაკრებში მიხმო. ამჯერად მწვრთნელებს იმედები გავუმართლე. ძლიერი ფალავნები დავამარცხე. მათ შორის - **ალირეზა ჰეიდარი** და **ვადიმ ტასოევი**. ფინალში ბულგარელ **კოჩევს** შევხვდი. სულ გაქონილი იყო ის დალოცვილი. როგორც კი გაოფლიანდა, ხელს ვერ ვკიდებდი. ამის თაობაზე მსაჯებს ვანიშნე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. წონითაც ჩემზე მძიმე იყო. მაინც ვაჯობე და მსოფლიო ჩემპიონი გავხდი.

**- ათენის ოლიმპიადაზე რატომ არ წაგიყვანეს?**

- 2004 წლის სალიცენზიო ტურნირზე ხელი მოვიტეხე, თუმცა საგზური დავიმსახურე. ტრავმა დროულად მოვიშუშე, მაგრამ არაობიექტური მსაჯობით **ტაიმურაზ ტიგიევთან** მინიტურნირი წამაგებინეს. მერე ისიც არ დაინდეს და ოლიმპიადაზე გაცალოვი წაიყვანეს.

ჰაჯიმურატი ათენში ჩემპიონი გახდა, რუსთა მწვრთნელებზე გაბრაზებული გოგშელიძე მშობლიურ გორში დაბრუნდა და იქ განაგრძო ვარჯიში. მალე ნაკრებში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის - ლუკა კურტანიძის ადგილი დაიმკვიდრა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წლეულს იოლად მოიგო ევროპის ჩემპიონობა, ამას წინათ კი, რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზეც მოსინჯა ძალები. პირველ წრეში ეგვიპტელ **სალეჰ მუსტაფა ემარას** აჯობა. არ არის გამორიცხული, ამ ნიჭიერ ფალავანთან პეკინშიც მოუწიოს დაპირისპირება. გორელმა მოჭიდავემ დაძაბულ ბრძოლაში სძლია მასპინძელთა იმედს - მარსელ მიხაი სტროიას და პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის მომზადებით კმაყოფილია "თავისუფალთა" მთავარი მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე**. "რუმინეთის ტურნირზე მიღებულ ხელის უმნიშვნელო ტრავმას თუ არ ჩავთვლით, სხვა მხრივ, მოსამზადებლად შემაფერხებელი არაფერი გვქონია, - ამბობს იგი. - იმედი მაქვს, რომ გიორგი გოგშელიძე პეკინში მედლის უეჭველი კანდიდატია."

**ვაჟა დანელია**

პეკინი 2008

# ჯარჯი, ბერძენთა მედროშე


ჯარჯი ზვიადაური

პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე სპორტსმენთაგან პირველი ჩვენი ყოფილი თანამემამულე **ჯარჯი ზვიადაური** შეაბიჯებს. მოგეხსენებათ, ოლიმპიადის გახსნაზე, სპორტსმენთა მსვლელობას ტრადიციულად საბერძნეთის ნაკრები ხსნის. ამ გუნდის მედროშედ კი ჯარჯი, იგივე **ილიას ილიადისი** აირჩიეს. ილიადისმა საბერძნეთს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოუტანა, ეს პატივიც მას სწორედ ამიტომ ერგო. პეკინის ოლიმპიადის საზეიმო გახსნა 8 აგვისტოს გაიმართება.

სამშაბათს საბერძნეთის ოლიმპიურ კომიტეტში სპეციალური სხდომა გაიმართა, სადაც ხმათა უმრავლესობით ბერძენთა მედროშედ ჯარჯი აირჩიეს. „ჩემთვის ძალიან დიდი პატივია პეკინის ოლიმპიადის გახსნაზე საბერძნეთის დროშით გასვლა და ამით არა მარტო ბერძნული ძიუდოს, არამედ საბერძნეთის წარდგენა. დიდებული გრძნობაა, ეს ჩემს სპორტულ კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი იქნება. ნებისმიერ ათლეტს სურს, ალბათ, ჩემს ადგილზე იყოს, იღბლიანი გამოვდექი, ამხელა პატივი რომ მხვდა წილად, თანაც ასე ახალგაზრდულ ასაკში. ჩემს ქვეყანას, საბერძნეთს კი მადლობას პეკინის ოლიმპიადაზე მედლის მოპოვებით გადავუხდი. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა 13 აგვისტოს პეკინის ძიუდოს დარბაზში საბერძნეთის ჰიმნი აჟღერდეს. საბერძნეთი მხოლოდ ოქროს მედალს იმსახურებს და მე პირველი ადგილის მოსაპოვებლად ენერგიას არ დავიშურებ. ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაში ვარ, ამ სიახლემ კი დიდი ფსიქოლოგიური მუხტი შემძინა", - განაცხადა ილიას ილიადისმა –ქართველმა და ძიუდოს ქართული სკოლის აღზრდილმა ჯარჯი ზვიადაურმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# ანა უკვე ნახევარფინალშია


ანა ტატიშვილი

18 წლის **ანა ტატიშვილი** (212) ბოსტონის საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა, მან ეს თითქმის უბრძოლველად მოახერხა. ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი **მელინდა ცინკი** (120) იყო. ტატიშვილს 25 წლის უნგრელთან შარშან ერთი ორთაბრძოლა აქვს ნაგებული. ასე რომ, ჩვენი თანამემამულე ბოსტონის კორტზე შურისძიების წყურვილით გამოვიდა. ცინკი ხშირად შედიოდა მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეთა ათეულში, ყველაზე მაღლა რეიტინგში კი 2004 წელს იყო, როდესაც 64-ე პოზიცია ეკავა. ტატიშვილისთვის კი დღევანდელი მდგომარეობა, 212-ე რეიტინგში, კარიერის მიღწევაა. პირველ სეტში ანა 5:3-ს იგებდა, როცა მელინდა ცინკმა, მოულოდნელად, ბრძოლის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

მეოთხედფინალში ანას მეტოქე **ალექსანდრა სტივენსონი** (234) იქნება, რომელმაც მეორე წრეში მე-6 ნომრად ანთესილი არგენტინელი **სოლედად ესპერონი** (187) დაამარცხა – 6:4, 6:4. 27 წლის სტივენსონი ერთ დროს მსოფლიოს მე-18 ჩოგანი იყო. მას მერე ამერიკელს ძალიან ბევრი გაუ[...] ტრავმა გამ[...]. შარშან ცინცინატიში ტატიშვილი და სტივენსონი ტურნირის მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, ანა წინ იყო მესამე სეტში, როცა სტივენსონი დანებდა.

***P.S.* *ნუხელ, გვიან ღამით, ტატიშვილმა სტივენსონი სამ სეტში დაამარცხა - 5:7, 6:3, 6:1***

# ლაბაძე წყვილებში გამოტოვებლდა

27 წლის **ირაკლი ლაბაძე**, რაც მძიმე ტრავმის შემდეგ კორტებს დაუბრუნდა, წარუმატებლად თამაშობდა, თუმცა პირველი გამარჯვებების დროც მოვიდა.. ჯერ მხოლოდ წყვილთა თანრიგში. ირაკლი „ჩელენჯერის" სერიის ტურნირში მონაწილეობს, რომელიც ტურინში იმართება და რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. ერთეულებში ხელმოცარულმა ქართველმა სერბ **ილია ბოზოლიაცთან** ერთად ორი ეტაპი დასძლია წყვილთა ბადეში და მეოთხედფინალში იტალიურ დუეტს (**ფლავიო ჩიპოლა, სიმონე ვანიოცი**) დაუპირისპირდა. ქართულ-სერბული წყვილი მატჩისთვის უკეთ მომზადებული აღმოჩნდა, დიდ ბრძოლაში, მაგრამ მაინც, საბოლოოდ ლაბაძემ და ბოზოლიაცმა იმარჯვეს – 5:2, 6:7 (5), 10:8. ტურნირის ნახევარფინალში ირაკლის ჩეხებთან, **ტომას ციბულეცთან** და **იაროსლავ ლევინსკისთან**, მოუწევს დაპირისპირება. ჩეხები ტურინში პირველ ნომრად არიან განთესილები.

# ნახევარფინალი იკმარა



საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (179) კუნეოს (იტალია) საერთაშორისო ტურნირს (100 ათასი დოლარი) დაემშვიდობა. მაკა წყვილთა ბადეში იყო შემორჩენილი, სადაც უნგრელ **კირა ნაგისთან** (152) ერთად ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალში მათ პირველ ნომრად განთესილი დუეტი, **მარეტ ანი** (ესტონეთი, 95) და **რენატა ვორაცოვა** (ჩეხეთი, 1,0) დაუპირისპირდა. ფავორიტებ[...] მხოლოდ მეორე სეტის დასაწყისში გაუ[...] ჭირდათ, როცა მაკა და კირა 3:0 დაწინა[...]ურდნენ, სულ ეს იყო, დანარჩენ დროს ეს[...]ტონელი და ჩეხი ყოჩაღობდნენ – 3:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძიუდო

# შმაგის ევროპული ვერცხლი

გუშინ, ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქ სარაევოში დაიწყო კადეტ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 43 ქვეყნის ხუთასამდე ჭაბუკი სპორტსმენი მონაწილეობს. ჩვენს გუნდს ჯემალ ნათელაშვილი ხელმძღვანელობს. ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს ბიჭებში (ქართველები გოგონათა ტურნირში არ მონაწილეობენ) სამ წონით კატეგორიაში (50, 55 და 60) კაიმართა შეჯიბრება. საქართველოს ანგარიშზე, ჯერჯერობით, ერთი მედალია – 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე პრიზიორი გახდა შმაგი ლაგაზაური.

ლაგაზაური C პულში მოხვდა, მან ჯერ აზერბაიჯანელი ალი რზაევი დააგდო სუფთაზე, შემდეგ ვაზარით მოუგო ებრაელ საგი მუკის. ნახევარფინალში ქართველმა იპონით ჰოლანდიელი დიედერიკ პონდმანი დაამარცხა. ფინალი ძალზე დაძაბული გამოდგა, მით უფრო, რომ ქართველის წინააღმდეგ რუსი არამ გრიგორიანი ჭიდაობდა. ოქროს მედლის ბედი ერთმა კოკამ გადაწყვიტა, სამწუხაროდ, რუსი ძიუდოისტის სასარგებლოდ.

55 კგ. წონით კატეგორიაში გოჩა ვარძელაშვილი გამოდიოდა. გოჩამ იმედებულად დაიწყო ასპარეზობა, იპონით ავსტრიელი დანიელ მუსნიგი დააგდო ტატამზე. ვარძელაშვილს არც ბალტიელი დენის ანიშჩენკოს დამარცხება გასჭირვებია, ბალტიელსაც სუფთა გდებით აჯობა. მესამე შეხვედრაში კი ქართველი ძალზე ძლიერ აზერბაიჯანელს, ვუგარ შირინლის შეხვდა. გოჩა ვარძელაშვილი იპონით დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო. რეპეშაჟში გოჩამ ძველებური გაიხსენა – ჯერ გერმანელი ვილი ვიტერმანი დააგდო სუფთაზე, შემდეგ ვაზარით მოუგო ებრაელ ფარიდ ველიახმედოვს. მესამე ადგილისთვის მატჩში ვარძელაშვილი ფრანგ ვინსენ ლიმარს ეჭიდავა და იპონით წააგო. ასე დარჩა საკმაოდ პერსპექტიული ქართველი ძიუდოისტი უმედლოდ, მეხუთე ადგილზე.

60 კგ. წონით კატეგორიაში ირაკლი ლომიძეს ორჯერ მიეცა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება და ორჯერვე დამარცხდა. პირველ წრეში მან შვედ ფრედრიკ გურლეისთან წააგო კოკათი, რეპეშაჟში კი ის ლიტველმა ჰენრიკას სტასკუნასმა იპონზე დააგდო.

დღეს ჩემპიონატში სოსო ნადირაშვილი (66 კგ.) და ლევან რუაძე (73 კგ.) ჩაერთვებიან, ხვალ გიორგი მემარნიშვილის (81 კგ.), დავით მერაბიშვილისა (90 კგ.) და უშანგი კოკაურის (90 კგ. +) ჯერია. პირველ შეხვედრაში სოსო ნადირაშვილი ბულგარელ ადემ რედჟეპოვს დაუპირისპირდება, ხოლო ლევან რუაძე ბელარუს არტიომ ჟილევსკის ეჭიდავება. პირველი დღის მერე, ჯერჯერობით, ბიჭებში მე-3 გუნდურ ადგილზე ვართ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ევროპის ჩემპიონატი კადეტებში
(17-წლამდელები)

**50 კგ.**
1. არამ გრიგორიანი (რუსეთი)
2. შმაგი ლაგაზაური (საქართველო)
3. ლუკაშ კიელბასინსკი (პოლონეთი)
3. ნიკიტა ლოპუჰოვი (ესტონეთი)

**55 კგ.**
1. ვუგარ შირინლი (აზერბაიჯანი)
2. აივენგო შაბიევი (რუსეთი)
3. ვინსენ ლიმარი (საფრანგეთი)
3. დუმიტრუ ბულაი (მოლდოვა)
..5. გოჩა ვარძელაშვილი (საქართ.)

**60 კგ.**
1. არბი ხამხოევი (რუსეთი)
2. რამაზან ზენგინი (თურქეთი)
3. ფაგან ემინოღლუ (აზერბაიჯანი)
3. ვიაჩესლავ კაბარდინოვი (უკრაინა)

კალათბურთი. ევროთასები

# ენერჯი ევროთასზე წელსაც ითამაშებს!

რუსთავის "ენერჯის" ხელმძღვანელობამ ევროპის საკლუბო ტურნირებზე გუნდის გაყვანა წლეულსაც გადაწყვიტა და რანგით მესამე, ევროჩელენჯზე განაცხადი უკვე შეიტანა. ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, რა ძალის გუნდით გავლენ რუსთაველები ევროპაში, რადგან გასული სეზონის შემდეგ მოთამაშეები დათხოვნილები არიან და აგვისტომდე "ენერჯი" არ შეიკრიბება. გაგახსენებთ, რომ შარშან ქვემოქართლელებმა შემადგენლობას საბოლოო სახე ევრომატჩების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მისცეს. დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ გუნდის დაკომპლექტების საკითხი შარშანდელივით ოქტომბრის ბოლომდე არ გასტანს, თუმცა სიახლეების შესატყობად აგვისტომდე მაინც მოგვიწევს მოცდა.

რაც შეეხება ევროჩელენჯის წილისყრას, იგი 8 ივლისს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში გაიმართება. ტურნირში მონაწილეობის სურვილი დოკუმენტურად დააფიქსირა ევროპის 40-მა კლუბმა, რომელთაგან რვა განთესილია და შეჯიბრებაში პირდაპირ ჯგუფური ეტაპიდან ჩაერთვება. დანარჩენი 32 (მათ შორის "ენერჯი") პლეი ოფის სისტემით ორ ეტაპს ითამაშებს და წარმატების შემთხვევაში, ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება. ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე საკვალიფიკაციო ტურიდან ევროჩელენჯში ჩაერთვებიან ევროთასზე ხელმოცარული კლუბები.

შარშან "ენერჯიმ" ევროთასზე ითამაშა, წლეულს ევროჩელენჯზე. შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა - ისევ ევროთასზე გამოსვლა არ ერჩივნათ? გიპასუხებთ - ფიბა-ს უფროსობამ ულებთან შეთანხმებით რიგით მესამე ტურნირს სახელი შეუცვალა და ევროთასის ნაცვლად ევროჩელენჯი დაარქვა. შესაბამისად, ერთი რანგით მაღალ ტურნირს-ულების თასს 2008-09 წლების სეზონში ევროთასი ერქმევა. ერთადერთი ტურნირი, რომელსაც სახელი არ შეცვლია, ევროლიგაა.

ბოლოს ჩამოგითვლით ევროჩელენჯზე რუსთავის "ენერჯის" სავარაუდო მეტოქეებს.

განთესილები: "მონსი" (ბელგია), "კერავნოსია" (კვიპროსი), "კალევი" (ესტონეთი), "ლარისა" (საბერძნეთი), "ვირტუსი" (იტალია), "ვენტსპილსი" (ლატვია), "ლოკომოტივი" (რუსეთი), "ხიმიკი" (უკრაინა).

საკვალიფიკაციო ეტაპი: "ლიეჟი" (ბელგია), "შიროკი" (ბოსნია), "ბორაჩ ნექტარი" (ბოსნია), "სპარტაკი" (ბულგარეთი), "ზაგრები" (ხორვატია), "ცედევიტა" (ხორვატია), აელ (კვიპროსი), "აპოელი" (კვიპროსი), "პროსტეხოვი" (ჩეხეთი), "ბაკენი" (დანია), "სვენდბორგი" (დანია), "ტულონი" (საფრანგეთი), "ვიჩი" (საფრანგეთი), "ამაკი" (მაკედონია), "ენერჯი" (საქართველო), "ოლდენბურგი" (გერმანია), "სკაილაინერსი" (გერმანია), "კორმენდი" (უნგრეთი), "ეიფელ ტაუერსი" (ჰოლანდია), "მობიტელკო" (რუმინეთი), "ასესოფტი" (რუმინეთი), "სიბიუ" (რუმინეთი), "სამარა" (რუსეთი), "სანქტ პეტერბურგი" (რუსეთი), "ზლატოროგი" (სლოვენია), "ბენავიტი" (თურქეთი), "ანტალია" (თურქეთი), "პოლიტექნიკა" (უკრაინა), "სუმიქიმპრომი" (უკრაინა), "ნიკოლაევი" (უკრაინა), "ჩერკასკი" (უკრაინა), "დონეცკი" (უკრაინა)

ვაჟა სიმონიშვილი

ფრანკფურტის კემპი

# მათიაშვილი ევროპის ვარსკვლავებში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი ივნისის ბოლოს ქალაქ ფრანკფურტის კემპზე იმყოფებოდა. საზაფხულო ბანაკი სპეციფიკური ხასიათისა იყო – თუ კემპების უმეტესობაში ახალგაზრდები მონაწილეობენ, ფრანკფურტში ყველა ასაკის კალათბურთელი შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ 33 წლის მოთამაშეებიც. რიჩარდ მათიაშვილი კი ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი გახლდათ. გერმანიის საზაფხულო ბანაკი თავისუფალი აგენტებისთვის იმართება და ხშირ შემთხვევაში კალათბურთელები სარფიან შემოთავაზებებსაც იღებენ. ვის მოაწონა თავი რიჩარდმა და რა შთაბეჭდილებით დაბრუნდა ფრანკფურტიდან, ამ საკითხებზე თავად მოთამაშე გვესაუბრება.



რიჩარდ მათიაშვილი (№13)

- კემპი 27 ივნისს დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდა. საქართველოში 1 ივლისს, გამთენიისას ჩამოვედი. მასპინძლობით, კემპის მსვლელობითა და საკუთარი გარჯით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დავბრუნდი.

**- როგორც ყველა საზაფხულო ბანაკში, გერმანიაშიც ტურნირი მოეწყობოდა...**

- 27 ივნისის დილას გაცნობითი ვარჯიში გვქონდა, მონაწილენი რვა გუნდად გაგვყვეს, თამაშამდე მწვრთნელმა ჩვენი გუნდის სტრატეგია გაგვაცნო და კომბინაციები დაგვამუშავებინა.

**- რომელ გუნდში მოხვდი?**

- ერთს „ადრიატიკის ვერსკვლავები" ერქვა, მეორეს - „ამერიკის ვარსკვლავები", მესამეს - „აფრიკის"... მე „ევროპის ვარსკვლავებში" მოვხვდი. სხვათა შორის, ყველაზე ძლიერი სწორედ ჩემი გუნდი გამოდგა: პირველ დღეს მეოთხედფინალი ვითამაშეთ და დამაჯერებლად მოვიგეთ, იგივე შედეგი გვქონდა 28 ივნისს, ნახევარფინალში. გაცილებით რთული გამოდგა ფინალი, თუმცა ის მატჩიც მოვიგეთ და ტურნირის ჩემპიონები გავხდით.

**- როგორ ითამაშე?**

- კემპში ყველა ასაკის კალათბურთელები მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი სულაც 33 წლისა იყო. მე ყველაზე უმცროსი გახლდით. „ევროპის ვარსკვლავებში" ძლიერი ცენტრი მოხვდა – დანიის ნაკრების წევრი ტომას სოლტაიე. იგი 1982 წელსაა დაბადებული და გუნდის სასტარტო ცენტრი იყო. ტომასს მე ვცვლიდი და ვფიქრობ, ურიგო შედეგი არ მიჩვენებია – ფინალში მოედანზე 16 წუთი გავატარე, 4 ქულა და 8 მოხსნა მოვაგროვე. ნახევარფინალში მწვრთნელი 20 წუთი მენდო და 10 ქულას 6 მოხსნა მივამატე. რაც შეეხება მეოთხედფიანლს, იმ მატჩის სტატისტიკა ნამდვილად არ მახსოვს, რადგან დასამახსოვრებელი თითქმის არაფერი იყო.

**- ტურნირზე რამე პრიზი ხომ არ მიგილია?**

- შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ შეჯიბრების დასრულების შემდეგ არც კემპის საუკეთესო კალათბურთელი დასახელებულა. ამის მიზეზი ისაა, რომ საზაფხულო ბანაკში შედეგს დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა. ყველას აქცენტი კალათბურთელთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ჰქონდა გადატანილი.

**- როგორც წესი, ასეთ კემპს თვალს დამკვირვებლები ადევნებენ...**

- გერმანიაში ყოველ მატჩს 30-40 სკაუტი ესწრებოდა. ვინ რომელი კლუბის წარმომადგენელი იყო, ამის გარკვევა რთული გახლდათ, თუმცა შეხვედრებისას ისინი ერთმანეთში აქტიურად საუბრობდნენ და დარწმუნებული ვარ, კემპის მონაწილეთა უმეტესობა კარგ გუნდში აღმოჩნდება.

**- შენც?**

- ორი გუნდი უკვე გამოჩნდა, მაგრამ ჯერ არანაირი სერიოზული საუბარი არ შემდგარა, ამიტომ ნუ მიწყენთ, თუ გუნდების ვინაობას საიდუმლოდ შევინახავ. ახლა, ჩემი აგენტი, ლევან მიქელაძე ოფიციალურ შეთავაზებას ელის და ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად დასრულდება.

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს პირველ ივლისს შეუერთდი?**

- გუნდს კი შევუერთდი, მაგრამ ახლა ფეხები მაწუხებს და ვერ ვვარჯიშობ. რთული სეზონის შემდეგ არ დამისვენია, რადგან მინდოდა, გერმანიის კემპს კარგ ფორმაში შევხვედროდი, როგორც ჩანს, შეუსვენებელმა ვარჯიშმა ცოტა გადამღალა.

**- კონკრეტულად რა გაწუხებს?**

- ყველაზე მეტად ქუსლი მტკივა, იგი დაბეჟილია, თუმცა, სერიოზული ტრავმა არ არის, ერთ-ორ დღეში მოვმჯობინდები, ახალგაზრდულ ნაკრებს შევუერთდები და გუნდთან ერთად აქტუალურად მოვემზადები ევროპის პირველობისთვის.

ვაჟა სიმონიშვილი

ძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი

# ჩემპიონობა ლიცენზიისთვის არ კმარა

ქართველმა მძლეოსნებმა ისრაელის ღია პირველობა მოილიეს, რომელიც წარმატებით კი იასპარეზეს, მაგრამ პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებს მაინც ვერ შეწვდნენ. ლიცენზიის ყველაზე რეალური კანდიდატი იყო 110 მეტრ თარჯრბენზე მოასპარეზე დავით ილარიანი, რომელმაც დისტანცია 13,93 წამში დაფარა და ჩემპიონიც გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შედეგი ოლიმპიური საგზურისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ზურაბ გიგაიამ ბადრო 17,50 მეტრზე ტყორცნა და მანაც ოქროს მედალი მოიპოვა. ასევე პირველი ადგილები დაიკავეს უროს მტყორცნელმა ლერი ჩიტაიშვილმა (62,88) და 800 მეტრზე მორბენალმა მერაბ ქინიძემ (1,50,5). ამ უკანასკნელმა 1500-მეტრიან დისტანციაზეც იასპარეზა, რომელიც 3,50,6 წუთში დაფარა და მეორე მედალიც მოიპოვა, ოღონდ ამჯერად, ბრინჯაოსი.

ერთი კვირის შემდეგ, ილარიანი კვლავ დაბრუნდება ისრაელში, სადაც მორიგ საერთაშორისო ტურნირზე შეეცდება ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას.

კობა ხატისაშვილი

აგბი. ჰანოვერის შვიდკაცა

# მეტოქეები გაირკვა

12-13 ივლის საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ჰანოვერში, წლევანდელი ევროპის სერიის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს, რომელიც ამავდროულად 2009 წელს დუბაიში გასამართი მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპია. შეგახსენებთ, რომ ჰანოვერში 12 ევროპული გუნდიდან ხუთი საუკეთესო მიიღებს მსოფლიო თასის საგზურს. გაირკვა შვიდკაცა ბორჯღალოსნების მეტოქეები ჯგუფურ ეტაპზე. ჩვენი ბიჭები A ჯგუფში მოხვდა რუსეთის, გერმანიის, რუმინეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებებთან.

**B ჯგუფი: ირლანდია, უელსი, იტალია, ბელგია, პოლონეთი, უკრაინა.**

**12 ივლისი**

საქართველო-რუსეთი
საქართველო-გერმანია
საქართველო-რუმინეთი
საქართველო-ესპანეთი

**13 ივლისი**

საქართველო-პორტუგალია

ბესიკ ჯანგავაძე

ანონსი

| VII ტური. 6 ივლისი | | |
|---|---|---|
| 17.00 | დინამო-ყორჩები | სინათლე |
| 18.00 | უნივერსიტეტი-აკადემია | ვაკე |
| 18.00 | აია-ლელო | ცენტრალური |
| 19.00 | არმაზი-ლოკომ. | სინათლე |

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი

დასაწყისი „ლელო" №88-დან



**ლეგენდარულმა პელემ** ბრაზილიის მთავარობის მედალი დაიმსახურა. არ გეგონოთ, ოსტატი სპორტის სამინისტრომ დააფასა. დამფასებელი განათლების სამინისტრო იყო. საქმე ისაა, რომ წიგნს "მე პელე" წასაკითხად, მილიონობით უწიგნურმა გულშემატკივარმა – მოქალაქემ კითხვა ისწავლა!

**ზოგი** მეცნიერი ამტკიცებს, რომ სიტყვები "სტადიონი" და "სპორტი" არა ბერძნული და ინგლისურია, არამედ შუმერული და ეტრუსკული. მართლაც, არის მათ ჟღერადობაში რაღაც ახლობელი.

**წვეთი** ნიკოტინი რომ ცხენს კლავს,ყველამ იცის. ცხენს კი, მაგრამ მეკარეს არა. ლეგენდარული **რიკარდო ზამორა** დღეში 60 ღერ სიგარეტს ეწეოდა!

**ამსტერდამის** "აიაქსის" ფეხბურთელებმა ფიფას დაყინებული თხოვნის მიუხედავად, თავი აარიდა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებას. ფაქტობრივად, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ვინც რა უნდა თქვას, ბიჭებს კი შეეშინდათ... გავიხსენოთ თბილისელებთან "ლივერპულისა" და საკავშირო სასუპერთასო ორჯერადი თავის არიდების ამბები. შიშს დიდი თვალები აქვსო, ამბობენ.

**იყო დრო**, როდესაც ინგლისში მეკარეების თამაში ხელთათმანებით, სათაკილო იყო, მაგრამ ბურთების დამზადების ტექნოლოგიის წინსვლამ და აქედან გამომდინარე, დარტყმების სიძლიერის გაზრდამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათ ეს აზრი შეაცვლევინა. რას იზამ, თითებს მარტო პიანისტები, როდი უფრთხილდებიან!

**ლადისლაო კუბალა** გახლდათ არა მარტო შესანიშნავი ფორვარდი, არამედ წარმოუდგენელი კოსმოპოლიტი. მან მოახერხა ეთამაშა მაშინდელი ფიფას წესების დაცვით სამ ეროვნულ ნაკრებში. უნგრეთი, ჩეხეთ-სლოვაკეთი, ესპანეთი. ეტყობა, მეტი ფული რომ მიეცათ, სხვაგანაც წავიდოდა.

**1966 წლის** სრულიად უმსგავსო მსაჯობის შემდეგ, ინგლისელებმა არგენტინელები ჩემპიონატიდან ამოაგდეს. თანაც მატჩის შემდეგ ინგლისელთა მწვრთნელმა **ალფ რამსეიმ** მათ "ცხოველები" უწოდა. ამის შემდეგ დაიწყო "საფეხბურთო ფოლკლენდები", ოღონდ საწინააღმდეგო შედეგით. ვერცხლის ქვეყანამ რამსეის არგენტინაში ჩასვლა აუკრძალა, 1978 წლის შინ ჩატარებული ჩემპიონატიც მოიგო, მარადონასდროინდელ ნაკრებითაც "გადაუარა" და თავინათი გენიოსის ხელით ბურთიც შეუგდო. "ღმერთის ხელიაო", რომ გაიძახოდა დიეგო სწორედ ასეთი რევანშის სამართლიანობას გულისხმობდა. ეს რაც ნაკრებებს შეეხება. საკლუბო შეჯიბრებებში კი უარესიც ხდებოდა. არგენტინელების ცხოველებად გამოცხადების 2 წლისთავზე – 1968-ში, პირველსავე საკონტინენტთაშორისო მატჩში ბუენოს-აირესში "ესტუდიანტესი" - "მანჩესტერი", მოედნიდან გააგდეს ინგლისელი **ლობი სტაილზი**. შემდეგ საკაცით გაიტანეს ბობი ჩარლტონი, პაჩამეს მეცადინეობის შედეგად. 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. "ბონბონერა" დიდხანს ბობოქრობდა. "ოლდ ტრაფოლდიც" საომრად მოემზადა. ორივე გუნდის ფეხბურთელ-დამრტყმელები ბოლომდე გაისარჯნენ. მუშტი-კრივისთვის გააძევეს არგენტინელი **მედინა** და ინგლისელთა ირლანდიელი ვარსკვლავი ჯორჯ ბესტი. ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. ხელჩართული ბრძოლა ფინალურ სასტვენამდე გაგრძელდა. იბეროამერიკელები არ გატყდნენ და "ოქროს სამფეხი" მოიგეს. ინგლისური საზოგადოების აღშფოთება, კი იმდენად დიდი იყო, რომ ფიფას თავკაცს, თანამემამულე **სტენდი როუზს** საპროტესტო წერილი მისწერეს. არგენტინელებმაც არ დააყოვნეს და სერს ისეთი უსტარი გამოუცხვეს, ზაპოროჟიელებმა თურქეთის სულთანს რომ აკადრეს, იმაზე მაგარი რამ გამოვიდა – თქვენ რომ ფეხბურთი მოიგონეთ ესეც საკმარისია, დანარჩენი ჩვენ ვიცითო!

**იუგების** განთქმული მეკარე **მირო შოშკიჩი** ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებით გამოირჩეოდა და დილემის წინაშე აღმოჩნდა: კარში მდგარიყო თუ "ლასკალას" სცენაზე. მსოფლიოს ნაკრების მეკარემ პირველი ვარიანტი აირჩია. კაცია და გუნება!

**მსოფლიოს** საუკეთესო ტენორს **ლუჩანო პავაროტის** ახალგაზრდობაში არ გაუმართლდა - "მოდენაში" თამაშისას ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა. ეს ავბედითობა რომ არა, ვინ იცის, იქნებ მისი გვარი პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში გაიბრწყინებდა?

**ესპანელთა** საფეხბურთო კომპლექსები ადამიანურად გასაგებია. საუკეთესო ბომბარდირი მათი ფეხბურთის ისტორიაში დიდი ხნის განმავლობაში ბასკი ზარა იყო, მეკარე, კატალონიელი **ზამორა**, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელი იყო და დიდხანს იქნება იტალიური წარმოშობის არგენტინელი **ალფრედო დი სტეფანო**. იგივე, თუ არა, უფრო დიდი უბედურება სჭირთ ფრანგებს: ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელებია პოლონელი **კოპა**, არაბები **ფონტენი** და **ზიდანი**, იტალიელი **პლატინი**, გაფრანგებულ ზანგებზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ფრანგმა ფრიად რადიკალურმა პოლიტიკურმა მოღვაწემ **ლე პენმა**, კი საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს – მსოფლიოს ჩემპიონს, აფრიკის ნაკრები უწოდა! ვივა ფრანსე, ვივა ბიჭებო!

**საფეხბურთო** კლანების გაერთიანება მოხდა ჰოლანდიაში. ფერადკანიანმა 30 წლის **რაუდ გულიტმა**, რომელსაც 2 ქორწინებიდან 4 შვილი ჰყავს, ცოლად შეირთო 18 წლის, 182 სანტიმეტრის სიმაღლის ქერა ქალიშვილი ესტელა, რომელიც **იოჰან კრუიფის** ძმისშვილი გახლავთ. "რა მოხდა მერე, მთავარია, რომ წესიერი კაცია", – განაცხადა ასეთი გამოცდილი სიძის სიმამრმა. აი, ბრაზილიელ საფეხბურთო გენიოსს, **გარინჩას**, "ხალხის სიხარულად" წოდებულს, ტორსიდამ ცოლთან გაყრა (7 შვილი) არ აპატია და იგი საყოველთაო-სახალხო გაკიცხვის ობიექტი გახადა. ეტყობა ერთიანი, გლობალისტური ზნეობა, არ არსებობს. ისევე როგორც საფეხბურთო წესების ნიუანსების ინტერპრეტირება...

**არგენტინელი ენრიკე ომარ სივორი** კლუბის მეპატრონეებმა ევროპაში გაყიდეს და მოპოვებული თანხით სტადიონს ახალი ტრიბუნა მიუშენეს. გულშემატკივრებმა მას ფეხბურთელის სახელი უწოდეს კაცი-ტრიბუნიც ამას ჰქვია!

**ბევრს** ჰგონია, რომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ადამიანი დანიელთა საფეხბურთო კარის დარაჯი **პიტერ შმეიხელია**. არა, ბატონებო! ყველაზე ცნობილი-გენიალური ფიზიკოსი **ნილს ბორი** გახლდათ. ზოგი იმასაც ამბობს, ფორმულებს ძელებზე წერდაო...

**მსოფლიოში** ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საფეხბურთო გვარია **გომესი-** გომეში პორტუგალიურად. ამ გვარის მატარებელნი, მრავალი ქვეყნის ყველა დონის გუნდში თამაშობდა. გომესები სამხრეთი და ცენტრალურ ამერიკის ყველა ქვეყნის ნაკრებში, ეჭვგარეშეა, ითამაშებენ. ბუნებრივია, თამაშობდნენ ისინი ეპანეთსა და პორტუგალიაშიც. სხვათა შორის, ხანდაზმულ გულშემატკივრებს უნდა ახსოვდეთ მოსკოვის "ტორპედოს" კაპიტანი **ავგუსტინ გომესი**.

**ფეხბურთის** ძელების შესახებ ასეთი განმარტება არსებობდა ინსტრუქციებში. "ძელების დიამეტრი 12 სანტიმეტრს უნდა შეადგენდეს. ძელი შეიძლება იყოს მრგვალი, ოთხკუთხედი ან ...ოვალური. ოთხკუთხა ძელები მოდაში იყო რამდენიმე ათეული წლის წინათ. აი, რაც შეეხება ოვალურს, ვინმეს თუ გინახავთ?

**უნგრელი იმრე შლოსერი**, რომელიც ავსტრიის უმაღლესი დივიზიონის "ვინერ ატლეტიკ შპორტკლუბში" თამაშობდა, ერთდროულად წვრთნიდა მეორე ლიგის გუნდს "ბრეგიტენაუერ შპორტკლუბს" და უმაღლესში გადაიყვანა. შეთავსებაც ამას ჰქვია!

**"კალჩო"** იტალიურად ფეხბურთია. ძველ რომში ფეხსაცმელს კალცეუსი ერქვა. გამოდის, რომ აპენინელები ბურთს ფეხშიშველნი არასოდეს თამაშობდნენ.

**სერ სტენლი** მეტიუზი 50 წლის ასაკში მალტაზე თამაშობდა და ხშირად 30 წლით უმცროს მოწინააღმდეგე მცველებს რამდენიმე მეტრით უკან იტოვებდა ოსტატობის ხარჯზე, რასაკვირველია. ასეა, ბებერი ხარის...

**დიდი** ხნის განმავლობაში აშშ-ში საკმაოდ უჩვეულო პენალტის შესრულების წესი იყო მიღებული. დარტყმა ჰოკეის ბულიტის მსგავსად სრულდებოდა. დამრტყმელს ბურთი მოედნის ცენტრიდან კარისკენ მიჰქონდა შესაგდებად. მეკარე კი ბურთს ან კარის ხაზზე ხვდებოდა, ან სულაც მის შესახვედრად გარბოდა. ოჰ, ეს იანკები!

**მსოფლიოში** უძველესი საფეხბურთო ტურნირი რომელიც დიდ ბრიტანეთში ტარდებოდა (ინგლისი შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, უელსი) ჩაიშალა მას შემდეგ, რაც შოტლანდიელმა გულშემატკივრებმა "უემბლიზე" მათი გუნდის გამარჯვების შემდეგ, ბალახის საფარი სუვენირებად დაჭრეს და პოლიტიკური ელფერის ლოზუნგები დაწერეს კედლებზე. მაგრები არიან კელტ-იბერიელები!

**ყველაზე კარგ** მასალად, ბუცების შესაკერად, ითვლება კენგურუს ტყავი. ეტყობა ამ ცხოველის ხტუნვის უნარიანობის გამო. ცხოველთა დაცვის საზოგადოებას ამ საკითხში სხვა აზრი გააჩნია.

**ინგლისიდან** ფეხბურთის ექსპორტის პირველობას ქართველებს ყოფილ სსრკ-ში ზოგიერთი გვეცილება. აი, გამარჯვებისთვის 3 ქულის დაწერას კი ვერვინ შეგვედავება: ინგლისელთა ის სიახლე, პირველად ჩვენ დავნერგეთ.

**იტალიელთა** საფეხბურთო ნიჭიერების გამოვლენის თავისებურება: იტალიური წარმოშობის ოსტატები ყველაზე ხშირად იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონებისა და ფინალისტი გუნდის კაპიტნები. აბა, გაიხსენეთ?

**უნიკალური** რამ მოხდა ბრაზილიის ერთ-ერთ საპყრობილეში. პატიმარმა ციხის უფროსს სთხოვა... საფეხბურთო მატჩზე გაეშვა იმ პირობით, რომ თამაშის შემდეგ დაბრუნდებოდა. საოცარია, მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილდა! თამაშის შემდეგ პატიმარი საკანს დაუბრუნდა. სიტყვა სიტყვაა... ყველა გაგებით.

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 1-12 ივლისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

**1 ივლისი. 1903 წელი.** ეს თარიღი მსოფლიო სპორტის ისტორიაში პოპულარული „ტურ დე ფრანსის" დაბადების დღედ დაფიქსირდა. ამ დღეს სტარტი აიღო პირველმა რბოლამ მარშრუტით პარიზი - ლიონი – მარსელი – ტულუზა – ბარდო – ნანტი – პარიზი, რომელიც, დამთავრდა 19 ივლისს. 6 ეტაპი 2428 კმ-ს მოიცავდა. 60 მონაწილიდან ფინიშამდე მხოლოდ 27 მივიდა. პირველ ადგილზე გავიდა ფრანგი **მორის გარენი**, რომელმაც თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, თითქმის სამსაათიანი უპირატესობით მოუგო უახლოეს მდევარს. უდავოდ ისიც საგულისხმოა, რომ ამ ასპარეზობის დაფუძნება – ჩატარების ინიციატორი იყო ჟურნალ „L AUTO"-ს მთავარი რედაქტორი **ანრი დეგრანჟი**.

**2 ივლისი. 1938 წელი.** ზუსტად 70 წლის წინათ, **ჰელენ უიდოზ – გუდმა** მერვედ მოიპოვა უიმბლდონის ლაურეატის ტიტული. ამით მან გადაუსწრო **დოროთი ლამპერტ-ჩემპერს**, რომელსაც ეს ტურნირი 1903-1914 წლებში შვიდჯერ ჰქონდა მოგებული...

**3 ივლისი. 1953 წელი.** 55 წლის წინათ, ჰიმალაებში მწვერვალი ნანგა ჰარბატი (8125 მ) მარტოდმარტომ პირველმა დალაშქრა ავსტრიელმა **ჰერმან ბულმა**.

**3 ივლისი. 1993 წელი** 15 წლინადი სრულდება მას შემდეგ, რაც უიმბლდონის ტურნირზე **შტეფი გრაფმა** დაამარცხა **იანო ნოვოტნა** და მეხუთედ მოიპოვა მთავარი პრიზი.

**4 ივლისი. 1919 წელი.** 90 წლის წინათ, ამ დღეს, მძიმეწონოსანმა მოკრივემ **ჯეკ დემპსიმ** ტოლიდოში (ოჰაიოს შტატი) ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა **ჯეს უილარდი** და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

**4 ივლისი. 1981 წელი.** ამ დღეს, უიმბლდონის 75-ე ტურნირზე **ჯონ მაკინროიმ** ტურნირის ხუთგზის ჩემპიონი **ბიორნ ბორგი** დაამარცხა გადამწყვეტ შეხვედრაში და პირველობა მოიპოვა. ქალთა შორის მესამედ გაიმარჯვა **კრისტ ევერტმა**.

**5 ივლისი. 1975 წელი.** შავკანიანი ჩოგბურთელი პირველად გახდა უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული. ეს ამერიკელი **არტურ ეში** იყო.

**7 ივლისი. 1985 წელი.** გერმანელმა ჩოგბურთელმა **ბორის ბეკერმა** ყველაზე ახალგაზრდამ (ის ამ დღეს 17 წლისა და 227 დღისა იყო) კაცთა შორის უიმბლდონის ტურნირო მოიგო.

**9 ივლისი. 1986 წელი.** მოსკოვში, **სერგეი ბუბკამ** ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა ჭოკით ხტომაში – 6.01 მ.

**9 ივლისი. 1922 წელი.** ლეგენდარულმა მოცურავემ და კინომსახიობმა **ჯონი ვაისმიულერმა**, თავისუფალი სტილით ცურვაში, 100 მეტრიანი დისტანცია წუთზე ნაკლებ დროში პირველმა დაფარა – 58.6 წმ.

**11 ივლისი. 1966 წელი.** ამ დღეს დაიწყო და 30 ივლისს დამთავრდა ინგლისში, მსოფლიოს VIII ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველობა ინგლისის ნაკრებმა მოიგო, რომელმაც ფინალში, დამატებით დროში გფრ-ის ეროვნული გუნდი 4:2 დაამარცხა.

**11 ივლისი. 1972 წელი.** სტარტი აიღო და იმავე წლის 1 სექტემბერს **ბობი ფიშერის** გამარჯვებით დასრულდა საჭადრაკო მატჩში **ბორის სპასკისთან** – 12.5:8.5. ამერიკელი მოჭადრაკე მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი გახდა და პირველმა დაამხო საბჭოთა მოჭადრაკეთა 21 წლიანი ჰეგემონია.

**12 ივლისი. 1817 წელი.** ლორდმა **ჯორჯ ბაირონმა** ვენეციის დიდი არხი – „კანალე გრანდე" გადაცურა.

# სპორტო, საიდან მოდიხარ?

"სპორტი" - ყველამ იცის, რომ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს თამაშს, გართობას. მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს, საიდან და როდის წარმოიშვა ეს სიტყვა და სად გვხვდება პირველად. ინგლისურ რომანში "ტროას დაცემა", რომელიც დაახლოებით 1400 წლის წინათ შეიქმნა, პირველადაა ნახმარი სიტყვა "სპორტი" თავისუფალ დროს ვარჯიშის მნიშვნელობით. ასეთი ვარჯიშები ფეოდალურ წრეებში იყო მიღებული, რაც, ძირითადად, განსხვავდებოდა დაბალ ფენებში ტრადიციული გასართობებისა და თამაშობებისგან.

# როდის გაისმა პირველად სიტყვა გოლ?

ინგლისის დედოფლის საპატივცემულოდ ზეიმების გამართვა ტრადიციად დამკვიდრდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ცნობილია, რომ 1580 წელს დედოფალ ელისაბედ I-ის პატივსაცემად ერთკვირიანი ს პორტული სანახაობები და სხვადასხვა თამაშები მოეწყო. სპორტის სხვა სახეობებთან ერთად, იმ წელს პირველად, დედოფალს ფეხბურთიც უჩვენეს. სწორედ ამ თამაშის დროს პირველად გამოიყენეს გოლი (goal), რაც ინგლისურად სამიზნეს, კარს ნიშნავს. ე.ი. კარი და მიზანი, ან პირიქით...

# ფეხბურთი სხვაა, რაგბი სხვა

ფეხბურთი და რაგბი ერთმანეთისგან პირველად გაიმიჯნა დიდ ბრიტანეთში, ზუსტად 160 წლის წინათ, 1848 წელს იტონის, ჰაროუს, ვინჩესტერის, რაგბისა და შრიუსბეის კოლეჯების ყოფილი მოსწავლეების შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, მოგვიანებით, საერთოდ მიეცა დავიწყებას ფეხბურთში მიღებული კემბრიჯული წესები. 1863 წლამდე მეტოქეები წინასწარ თანხმდებოდნენ ფეხბურთი-რაგბის (ასე ინოდებოდა ოფიციალურად) თუ ფეხბურთის წესებით ჩაეტარებინათ მატჩი.

## კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა



მძლეოსნობა. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

# უორინერი ისევ დამარცხდა

აშშ-ის ქალაქ იუჯინში (შტატი ორეგონი), ორდღიანი პაუზის შემდეგ, განახლდა ამერიკელ მძლეოსანთა ჩემპიონატი, რომელიც ამავდროულად, აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა. ტურნირის მორიგმა დღემ სიურპრიზი შემოგვთავაზა - 400 მეტრზე სპრინტში, **ლაშოუნ მერიტმა** მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, **ჯერემი უორინერი** დაამარცხა, ვინც პეკინის ოლიმპიადაზე მსოფლიო რეკორდის დამყარებით "იმუქრება".




2005 წლის შემდეგ, უორინერს გუშინდლამდე "თავის" დისტანციაზე თითქმის ყველა ტურნირი მოგებული ჰქონდა. მაგრამ 1 ივნისს ის მერიტმა ბერლინში, ოქროს ლიგის შეხვედრაზე დაამარცხა. რა თქმა უნდა, მისი ეს წაგება ყველამ შემთხვევითობას მიაწერა. მაგრამ ოლიმპიურ შესარჩევზე ეს "შემთხვევითობა" განმეორდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო რეკორდს ვინ ჩივის, პეკინში ჯერემის გვარიანად გარჯა მოუწევს იმისთვის, რომ ათენში მოპოვებული ტიტული შეინარჩუნოს.

*"ბოლო წლებში აშშ-ის ჩემპიონატზე ყოველთვის მეორე ადგილს ვიკავებდი, მაგრამ ამიერიდან, ასე აღარ მოხდება. სარბენ ბილიკზე საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული გამოვედი. ფინალში კი ჩემი განწყობა საბრძოლო იყო. ბოლო მოსახვევი რომ გავირბინე, პეკინის სუნი მეცა და ვიგრძენი, რომ მოგება შემეძლო"*, - განაცხადა მერიტმა.

წაგების მიუხედავად, უორინერი იხტიბარს არ იტეხს და ირწმუნება, რომ პეკინში მთავარი ფავორიტი მაინც ის იქნება: *"ვფიქრობ, პეკინში ისევ ფავორიტი ვიქნები. ძალიან განბილებული დავრჩი-მეთქი, რომ ვთქვა, მართალი არ იქნება. მაგრამ მეორე მხრივ, ისე ვერ ვირბინე, როგორც შემიძლია. გაცილებით უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე ეს შედეგიდან ჩანს. მთავარია, პეკინში ყურადღების მობილიზება შევძლო და ჩემი მომგები ვერავინ იქნება"*. უორინერი დასძენს, რომ ოლიმპიადამდე "გამოსაფხიზლებლად" რომის, პარიზისა და სტოკჰოლმის ტურნირებზე იასპარეზებს, მერიტს კი ხურდას პეკინში დაუბრუნებს.

იმავე დისტანციაზე, ქალებს შორის ყველაზე სწრაფი იამაიკური წარმოშობის **სანია რიჩარდსი** იყო, ვინც ათენში ოქროს 4x400 მეტრზე ესტაფეტაში დაეუფლა, მაგრამ ოლიმპიადებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, ინდივიდუალური ტიტული ჯერ არ მოუპოვებია. რიჩარდსი ტურნირებს იშვიათად აგებს, მაგრამ შარშან, აშშ-ის ჩემპიონატზე მხოლოდ მეოთხე'ზე გავიდა, რის გამოც, ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ იასპარეზა.

ფინალურ გარბენში რიჩარდსმა (49.89 წამი) თითქმის წამით აჯობა მეორეზე გასულ **მერი უაინბერგს**, მესამეზე კი **დი დი ტროტერი** გავიდა.

ტურნირზე აშშ-ის რეკორდიც დამყარდა - ქალთა შორის 3 000 მეტრზე სტიპლჩეიზში, **ანა უილარდმა** ბარიერებიანი დისტანცია 9 წუთსა და 27.59 წამში გაირბინა და **ლაიზა გალავიცის** მიერ შარშან დამყარებულ რეკორდს 1.16 წამი მოაკლო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

კალათბურთი. ახალი ამბები

# არენასის 111 მილიონი

## კრის პოლი ნიუ ორლეანში დარჩა



**გუშინ**, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი მნიშვნელოვანი გარიგება განხორციელდა. როგორც იქნა, ბოლო მოეღო სპეკულაციებს "ვაშინგტონ უიზარდსის" ლიდერის, **გილბერტ არენასის** სხვა გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით. დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობამ, უკანასკნელი დღეების განმავლობაში, მეორე წამყვანი კალათბურთელის შენარჩუნება შესძლო. **ანტუან ჯეიმისონის** შემდეგ, "უიზარდში" თამაშის გაგრძელება არენასმაც გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ მან მართლაც ზღაპრულ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

გილბერტი უახლოეს ექვს სეზონს "ვაშინგტონში" გაატარებს და ამისთვის 111 მილიონ დოლარს (!) მიიღებს. როგორც აღმოჩნდა, კლუბი მცველს უფრო მეტ თანხას სთავაზობდა. *"ვაშინგტონმა" მაქსიმალურად შესაძლებელი კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან მახსოვს შემთხვევები, თუ როგორ ლუპავდნენ ვარსკვლავები თავიანთ გუნდებს იმის გამო, რომ ხელმძღვანელობა ვერ ახერხებდა სხვა კალათბურთელების გაფორმებას. საბოლოოდ, 6-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე, რომლის ღირებულება 111 მილიონ დოლარს შეადგენს. 16 მილიონი უკან დავუბრუნე, რათა კლუბს ცხოვრება გაიოლებოდა"*, - გაამხილა მოლაპარაკებების დეტალები არენასმა.

NBA-ში სარეკორდო გარიგებად ითვლება **კობი ბრაიანტისა** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" კონტრაქტი. ის 2004 წელს არის გაფორმებული და მისი ღირებულება 136 მილიონ დოლარს შეადგენს.

■ ■ ■

თავისი ლიდერის შენარჩუნება შესძლო "ნიუ ორლეან ჰორნეტსმაც". ამ კლუბის ხელმძღვანელობამ გამთამაშებელ **კრის პოლთან** შეათანხმა ახალი კონტრაქტის დეტალები.

ირკვევა, რომ პოლმა სამი წლით დაუკავშირა თავისი მომავალი "ჰორნეტსს", ამასთან, შესაძლებელია კონტრაქტის კიდევ ოთხი წლით გახანგრძლივება. ხელშეკრულების ჯამური თანხა 68 მილიონი დოლარია, ანუ პოლმა დღეს არსებული წესების თანახმად, მაქსიმალური ხელფასი მიიღო.

**გია თვალაბეიშვილი**

ცურვა. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

# ჰანსენს ხელი მოეცარა

აშშ-ის ქალაქ ომაჰაში (შტატი ნებრასკა) მიმდინარე მოცურავეთა ჩემპიონატზე, რომელიც ამავდროულად, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ტურნირიცაა, პეკინის ოლიმპიადის მორიგი საგზურები დანაწილდა. სამწუხაროდ, პეკინში 200 მეტრზე ბრასში ვერ იასპარეზებს ამ სახეობაში მსოფლიოს ერთ-ერთი უსწრაფესი მოცურავე (მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი) **ბრენდან ჰანსენი**. ამგვარად, პეკინში ვერ ვიხილავთ მისი და იაპონელი **კოსუკე კიტაძიმას** დუელს, რომელმაც ერთი თვის წინათ, მსოფლიო რეკორდი მოუხსნა.

ფინალურ გაცურვაში, ჰანსენი ბოლო მეტრებზე ძალიან დაიღალა, რის გამოც, საბოლოოდ, ფინიშის დაფას მეოთხე შეეხო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ამ დისტანციაზე პეკინში ვერ გამოვა. პირველი ორი ადგილი შესაბამისად, **სკოტ სპენმა** და **ერიკ შანტომ** მოიპოვეს, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებზე პირველად იასპარეზებენ.

200 მეტრზე ინდივიდუალური შერეული სტილის ფინალში გავიდა **მაიკლ ფელპსი**, 1984 წლის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანმა, 41 წლის **დარა ტორესმა** კი, 100 მეტრზე თავისუფალი სტილის ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა და თუ მას პირველ ან მეორე ადგილზე დაასრულებს, კარიერაში მეხუთე ოლიმპიადაზე მიიღებს მონაწილეობას.

ჰანსენმა 100 მეტრზე ბრასში, ტურნირის მეორე დღესვე მოიპოვა პეკინის საგზური (ამ დისტანციაზე მაინც დაუპირისპირდება კიტაძიმას), მაგრამ მისი ფავორიტი მანძილი 200 მეტრია, სადაც ახლახან, მას იაპონელმა მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა. ფინალური გაცურვის დასაწყისში, ჰანსენი ყველაზე სწრაფი იყო. ის მაშინაც ლიდერობდა, როცა ბოლო მონაკვეთს შეუდგა, მაგრამ ბოლო მეტრებზე ისე დაიღალა, მოძრაობას ძლივს ასრულებდა. ჰოდა, ერთბაშად სამმა მოცურავემ გაასწრო, რომელთაგან ერთი – სპენი მისი სავარჯიშო პარტნიორია.

*"არ ვიცი, ეს მარცხი რას დავაბრალო. ჯერ კიდევ სტარტამდე ვგრძნობდი, რომ საქმე კარგად ვერ იყო. ამ ბიჭებმა საკუთარ თავსაც კი აჯობეს. ისინი შეუდარებლები იყვნენ. განსაკუთრებულ ქებას კი სკოტი იმსახურებს. ახლა ისღა დამრჩენია, ამ ბიჭებს დავეხმარო, რათა მათ მაინც შესძლონ კიტაძიმას დამარცხება. მე თუ ვერ შევძელი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს მაგივრად, ეს ჩემმა მეგობრებმა გააკეთონ"*, - ამბობს ჰანსენი.

საღამოს კიდევ ორ ფინალურ გაცურვაში, პეკინის საგზურები **გარეტ უებერ-გეილმა** და **ელენ ბრიდენმა** მოიპოვეს. პირველმა ეს 100 მეტრზე თავისუფალში შესძლო (47.92 წამი) და კარიერაში პირველად იასპარეზებს ოლიმპიურ თამაშებზე. მეორემ კი 200 მეტრზე ბატერფლაი მოიგო (2 წუთი და 06.75 წამი).

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# პეკინში მედლები წარადგინეს



**გუშინ**, კომპანია BHP Billiton-მა მედლების ნიმუშები წარმოადგინა, რომლითაც პეკინის ოლიმპიური თამაშების პრიზიორები დაჯილდოვდებიან.

მედლებს უნიკალური დიზაინი გააჩნიათ, რადგან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს გარდა, მათში ნეფრიტიც არის ინკუსტირებული. ეს ქვა ჩინელებისთვის სილამაზის, კეთილშობილების, სრულყოფის, ძალისა და უკვდავების სიმბოლოს წარმოადგენს. ასე რომ, ეს გახლავთ პირველი ოლიმპიური მედალი, რომელიც მხოლოდ მეტალით არ არის დამზადებული.

შეგახსენებთ, რომ კომპანია BHP Billiton-მა, მედლების დიზაინის შექმნის უფლება სპეციალურად ჩატარებულ კონკურსში მოიპოვა.

*"სპორტსმენებისთვის ეს ბრწყინვალე მედლები ღირსეული ჯილდო იქნება, მათ მიერ გაწეული შრომის სანაცვლოდ. უნიკალური დიზაინი კარგად გამოხატავს პეკინის ოლიმპიური თამაშების მაღალ ამბიციებს"*, - აცხადებს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **ჩჟან სიაოიუ**.

სულ, 2008 წლის თამაშებზე, სპორტსმენები ჯამში 6000 მედალს მიიღებენ. მათ დასამზადებლად დაახლოებით 13 კილოგრამი ოქრო, 1340 კგ ვერცხლი და 830 კგ ბრინჯაო დაიხარჯა. ძვირფასი ლითონები პეკინში ავსტრალიისა და ჩილეს შახტებიდან ჩაიტანეს. ნეფრიტი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი წარმოებისაა.

**გია თვალაბეიშვილი**

ფორმულა 1. ვარსკვლავი

# კულტჰარდი მიდის

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანმა პილოტმა, 37 წლის ბრიტანელმა **დევიდ კულტჰარდმა** გამოაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე, ფორმულა ერთში აქტიური პილოტის კარიერას დაასრულებს. თუმცა, თავადვე დასძინა, რომ სპორტში მოღვაწეობას "რედ ბულის" კონსულტანტად გააგრძელებს და ავსტრიულ საჯინიბოს ტექნიკის ტესტირებასა და დახვეწაში დაეხმარება. ამასთან, შიგადაშიგ, სხვა სერიის რბოლებშიც მიიღებს მონაწილეობას.

*"ფორმულა ერთიდან ამ სეზონის ბოლოს მივდივარ. ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სპორტთან შეხება აღარ მექნება. გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობას კვლავაც გავაგრძელებ. მას ახალი ტექნიკის ტესტირებასა და სრულყოფაში დავეხმარები. ამასთან, ავტომრბოლის კარიერას სრულად არ ვწყვეტ და სხვადასხვა სერიის რბოლებში მივიღებ მონაწილეობას. ასე რომ, შლემის ლურსმანზე დაკიდებას ჯერ არ ვაპირებ"*, - ბრიტანეთის დიდი პრიზის პირველ პრესკონფერენციაზე განაცხადა კულტჰარდმა, ვისაც "რედ ბულში" მერმის, ალბათ, გერმანელი **სებასტიან ფეტელი** შეცვლის, რომელსაც ხუთშაბათს 21 წელი შეუსრულდა.




ფეტელი ამჟამად "რედ ბულის" ერთგვარი ფარმ-გუნდის – "ტორო როსოს" პილოტია და უფროს გუნდში მისი შესაძლო გადასვლის შესახებ ლაპარაკი რამდენიმე ევირის წინათ დაიწყო. საფრანგეთის დიდი პრიზის უქმეებზე კი ეს ინფორმაცია პრაქტიკულად, დადასტურდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, ვინ დაიკავებდა "რედ ბულში" მეორე ადგილს. "სილვერსტოუნზე" კი ეს საკითხიც გადაწყდა – ამ ადგილს ავსტრალიელი **მარკ უებერი** შეინარჩუნებს. ამგვარად, კულტჰარდი თამაშგარეში დარჩა და მანაც გადაწვყეტილება უმალ მიიღო.

თუმცა, როგორც თავად ამბობს, წასვლა სეზონის დასაწყისშივე გადაწყვიტა – მიჯობს, მაშინ წავიდე, როცა ვიცი, რომ ჯერაც კონკურენტუნარიანი ვარო, ამბობს შოტლანდიელი პილოტი, ვისი დებიუტი ფორმულა ერთში დიდი ტრაგედიის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **აირტონ სენას** დაღუპვას დაემთხვა. სწორედ კულტჰარდი იყო ის პილოტი, ვინც "უილიამსში" სენას მონოპოსტი დაიკავა. მას შემდეგ, მან 236 რბოლაში მიიღო მონაწილეობა და მათგან 13 მოიგო. ფორმულა ერთის 58-წლიან ისტორიაში, ბრიტანელ პილოტთაგან ასე ბევრ რბოლაში მონაწილეობა არავის მიუღია. 2001 წელს მან ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა და მხოლოდ ლეგენდარულ **მიხაელ შუმახერთან** წააგო.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის კანადის დიდ პრიზზე კულტჰარდმა კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავა. 2006 წლის შემდეგ ეს მისთვის პირველი ტოპ-სამეულის ფინიში იყო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ჩოგბურთი. უიმბლდონი

# ზედიზედ მესამედ

მაშ ასე, წლევანდელ უიმბლდონს ორივე ბადეში კარგად ნაცნობი ფინალისტები ჰყავს – ქალთა ფინალში, ამერიკელი დები **უილიამსები** მესამედ გაარკვევენ ჩემპიონის ვინაობას, მამაკაცებში კი მსოფლიოს პირველი ორი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი** ჩემპიონის ტიტულისთვის ზედიზედ მესამედ იბრძოლებენ.

გუშინ, ნახევარფინალში, ფედერერიც და ნადალიც სამ-სამ სეტში გაუსწორდნენ თავთავიანთ მეტოქეებს – რუს **მარატ საფინსა** და გერმანელ **რაინერ შუტლერს**. შვეიცარიელმა მაესტრომ საქმე საათსა და 40 წუთში მოათავა, ნადალს კი მოსაგებად 20 წუთით მეტი დასჭირდა. სამაგიეროდ, თავის მეტოქეს ორი გეიმით ნაკლები დაუთმო.

ეს ორი ჩოგბურთელი ერთი თვის წინ, საფრანგეთის ღიას ფინალშიც დადგა ერთმანეთის პირისპირ და მაშინ დაკუნთულმა ნადალმა აშკარად დაჯაბნა ტაქტიკურ მრავალფეროვნებაში განაფული მეტოქე. თუმცა ბალახზე თამაში სულ სხვაა. თუ თიხაზე რაფას მეფეს უწოდებენ, ბალახზე სიტუაციას ფედერერი განაგებს, ვისაც ასეთ კორტებზე ზედიზედ 65 თამაში აქვს მოგებული.

ამ სეზონში ფედერერს ძალიან გაუჭირდა. მას მხოლოდ ორი უმნიშვნელო ტურნირი აქვს მოგებული, რისი მიზეზიც ფორმაში არყოფნაა. ამიტომ, უიმბლდონის წინ ბევრი ვარაუდობდა, რომ "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე შვეიცარიელის ჰეგემონია ამ სეზონში დაემხობოდა. მაგრამ განვლილმა ათმა დღემ ცხადყო, რომ ბალახზე ფედერერი ისევ ფედერერობს – ძნელი ბადის მიუხედავად, მან ფინალს მაინც სეტის წაუგებლად მიაღწია.

*"რაც გინდათ თქვით. ჩოგბურთი მაინც თავისუფალი სამყაროა. რაფამ პარიზში ძალიან ადვილად მომიგო, მერე კი ქვინზის ტურნირის ჩემპიონიც გახდა. ის ახლა ბალახზე გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შარშან, ამავე დროს. მაგრამ, გარწმუნებთ, ჩემი ასე უცებ ჩამოწერაც არ ღირს. სხვა თუ არაფერი, ეს სეზონის ჩემი ნაწილია. ხომ გახსოვთ, რომ ბალახზე უკვე დიდი ხანია, არ წამიგია. სხვანაირად რომ ვიფიქროთ, ვილაცამ ჩემი გამარჯვებათა სვლა უნდა შეაჩეროს"*, - ამბობს ფედერერი.

ასეა თუ ისე, ბევრი მაინც ელოდა, რომ საფინი სამი წლის წინანდელ გმირობას გაიმეორებდა, რომლითაც თავი ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში გამოიჩინა. შეგახსენებთ, რომ მაშინ ფედერერმა მას პირველი ორი სეტი მოუგო და მესამეში მატჩ პოინტიც ჰქონდა, მაგრამ რუსმა სასწაული მოახდინა და თამაში მოიგო(!), რის შემდეგაც, ტურნირის ჩემპიონიც გახდა. მაგრამ მაშინ საფინიც საფინი იყო, ახლა კი მას ჩოგბურთის გარდა, სხვა ინტერესებიც გასჩენია – მაგალითად, შარშან თავს ჰიმალაის მთიანეთში ხეტიალით იქცევდა.




გუშინ კი, სანამ კორტზე გავიდოდა, თავადვე ამბობდა, მე ის მარატი აღარ ვარ, ვისაც ფედერერის დამარცხება ძალუძს, ეს რომ შემძლო, ნახევრად რაფა უნდა ვიყოო. საკუთარი თავი წინდაწინ წაგებისთვის განაწყო და მაინც, როცა კორტს წაგებული ტოვებდა, (საფინს წაგება სიკვდილივით ეჯავრება) ჯავრი ჩოგანზე იყარა.

*"ეს ნამდვილი საშინელება იყო, მან ხელის განძრევის შანსიც კი არ მომცა"*, - ნამატჩევს განაცხადა საფინმა, ვისაც ამ წაგების შემდეგ, ფედერერთან შეხვედრებში ბალანსი კიდევ უფრო გაუუარესდა (2:9).

შვეიცარიელი პრაქტიკულად უნაკლოდ თამაშობდა. ის მოწოდებასაც შესანიშნავად ასრულებდა და მილებაზეც მეტოქეს ბურთს ისე უბრუნებდა, რომ მას თავის დაცვა უწევდა.

მსგავსი სცენარით წარიმართა ნადალისა და შუტლერის შეხვედრაც. პირველ ხელში ესპანელმა მხოლოდ ერთი გეიმის დათმობა იკადრა. აშკარა იყო, რომ შუტლერს **არნო კლემანთან** დამქანცველი მეოთხედფინალური შეხვედრის შემდეგ, ძალების აღდგენა ვერ მოესწრო. იქნებ, მისთვის უმჯობესი იყო, რომ ამ დროს, ალპებში დაესვენა, ან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ენებივრა. მაგრამ მეორე ხელში გერმანელმა ბრძოლის ჟინი გამოავლინა და მალე 4:2 დაწინაურდა. თუმცა საფრანგეთის ღიას ოთხგზის ჩემპიონმა მალევე უშველა საქმეს და სეტი ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც მეტოქისგან წინააღმდეგობა თითქმის აღარ შეხვედრია. მესამე სეტში კი ესპანელმა ერთადერთი ბრეიკი იმყოფინა, რაც თამაშის მოსაგებად სრულებით საკმარისი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ შუტლერი რეიტინგში 94-ე ადგილზე იმყოფება, ასეთი დაბალი სარეიტინგო მონაცემის მქონე ჩოგბურთელმა კი უიმბლდონის ნახევარფინალს ტურნირის ისტორიაში პირველად მიაღწია.

*"ბედნიერი ვარ, რომ კვლავ შევძელი უიმბლდონის ფინალში გასვლა. ეს ტურნირი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვნია და ყველაფერს ვეცდები იმისათვის, რომ ამჯერად მაინც შევძლო მისი მოგება. ფინალში ჩემს მოპირდაპირე მხარეს მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი იდგება, მაგრამ კორტზე მეც თავდაჯერებული გავალ. ვიმედოვნებ, რომ როჯერს მეექვსე ტიტულის მოპოვებაში ხელს შევუშლი"*, - ამბობს ნადალი, ვინც შარშან, ამავე ტურნირის ფინალში, ფედერერს ხუთსეტიანი ბრძოლა გაუმართა, თუმცა საბოლოოდ, კორტი მაინც წაგებულმა დატოვა.

ცნობისათვის, უიმბლდონის ფინალში ზედიზედ სამჯერ ერთმა და იმავე წყვილმა ბოლოს 1988-1990 წლებში ითამაშა. მაშინ პირველობისთვის გერმანელი **ბორის ბეკერი** და შვედი **სტეფან ედბერგი** იბრძოდნენ. ფედერერი კი უიმბლდონის ისტორიაში სულ მეორე ჩოგბურთელია, ვინც ამ ტურნირის ზედიზედ ხუთჯერ მოგება შეძლო. პირველმა ეს ლეგენდარულმა შვედმა **ბიორნ ბორგმა** გააკეთა, ვინც "ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე ბოლო ტიტული 1986 წელს მოიპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**კაცები. ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-მარატ საფინი (რუს) 6:3, 7:6(3), 6:4

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-რაინერ შუტლერი (გერმ) 6:1, 7:6(3), 6:4

ექსპერტის აზრი

# მარტინას ქალთა ტური არ მოსწონს

ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა** დარწმუნებულია, რომ ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** წასვლის შემდეგ, ქალთა ჩოგბურთს აუცილებლად ესაჭიროება ახალი ლიდერი.

*"არასოდეს მომხდარა, რომ პირველ ოთხ განთესილ ჩოგბურთელს, "დიდი სლემის" მეოთხედფინალში არ ეთამაშოს"*, - განაცხადა ნავრატილოვამ წლევანდელი უიმბლდონის მსვლელობის კომენტარისას. როგორც იცით, **ანა ივანოვიჩი** (პირველი ჩოგანი), **ელენა იანკოვიჩი** (2), **მარია შარაპოვა** (3) და **სვეტლანა კუზნეცოვა** (4) ადრეულ ეტაპებზე გამოეთიშნენ "დიდი სლემის" რიგით მესამე ჩემპიონატს.

უიმბლდონის ცხრაგზის ჩემპიონი აღნიშნავს, რომ ძველ დროს, გულშემატკივრების მთელი ყურადღება მისი და **კრის ევერტის** გამოსვლაზე იყო გადატანილი. *"იმ პერიოდში, გულშემატკივრები იმის გამო წუწუნებდნენ, რომ ფინალში მუდმივად ნავრატილოვა და ევერტი თამაშობდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში, ისინი სწორედ ასეთ ფინალს ნატრობდნენ"*.



მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომერი დარწმუნებულია, რომ გულშემატკივრებს ურჩევნიათ დიდი ჩემპიონების დაპირისპირებას ადევნონ თვალი, მაგალითად, როგორც ეს დღევანდელ მამაკაცთა ჩოგბურთში ხდება, სადაც ესპანელი **რაფაელ ნადალი** ნელ-ნელა ავიწროებს შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**.

*"დღეს, ქალთა ჩოგბურთში ახალგაზრდა მოთამაშეების თაობა წამოვიდა, რომლებიც 19-20 წლისანი არიან. ამასთან, გოგონები, რომლებიც რეიტინგის შუაში იმყოფებიან, უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ეს ადრე იყო, რეიტინგის ლიდერები კი, პირიქით, უფრო სუსტები. ამიტომაც ძნელი ხდება ქალთა ტურში ამა თუ იმ ტურნირის შედეგების პროგნოზირება"*, - აცხადებს მარტინა.

ამერიკელის აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ წლის ბოლოს, რეიტინგის პირველ და მეორე ადგილებზე დები **უილიამსები** მოექცნენ. *"ისე ჩანს, რომ სერენასა და ვენუსს მეორე სუნთქვა გაეხსნათ. ამიტომაც, გამორიცხული არ არის, რომ ისინი კვლავ მოგვევლინონ რეიტინგის ლიდერებად"*, - ასკვნის ნავრატილოვა. შეგახსენებთ, რომ დღეს, უიმბლდონის ფინალში სწორედ დები უილიამსები შეხვდებიან ერთმანეთს.

**გია თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

**5 ივლისი. შაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
14:05 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიგა დე კიტო (ეკვადორი).
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანსი-ბორდო.
19:00 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
20:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ცსკა-ინტერი.
23:05 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
08:35 სპორტდოსიე.
10:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. პიტსბურგი-ფილადელფია.
11:34 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-სიენა.
13:30 სპორტის სამყარო.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
15:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ჰამბურგი.
17:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჩელსი-ასტონ ვილა.
19:25 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. რუსეთი-ესპანეთი.
21:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
00:50 სპორტის სამყარო.
01:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ნაუტიკო (LIVE).
03:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-სიენა.
04:55 სპორტდოსიე.
05:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჩელსი-ასტონ ვილა.

**EUROSPORT**

10:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. კუბა-გერმანია. ტაილანდი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ტაილანდი-გერმანია. ტაილანდი (LIVE).
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-დომინიკის რესპუბლიკა. მაკაო (LIVE).
13:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
14:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-დომინიკის რესპუბლიკა. მაკაო (LIVE).
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. მე-3 ადგილისთვის. რუსეთი (LIVE).
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
16:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი (LIVE).
19:30 ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრანპრი (LIVE).
21:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-თურქეთი. გერმანია (LIVE).
22:00 პროფესიული კრივი (LIVE).
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. 1/2 ფინალი. რუსეთი (LIVE).
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. V ტური. ტონგა-ფიჯი.
16:30 ველოსპორტი. BMX. Suzuki Masters. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
17:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. რუსეთი (LIVE).
18:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. საფრანგეთი (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
21:45 ველოსპორტი. BMX. Suzuki Masters. დიუსელდორფი. გერმანია.
22:30 ველოსპორტი. BMX. Suzuki Masters. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
23:30 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. IV ტური. პოლონეთი-ჩინეთი.
02:15 ახალი ამბები.

**6 ივლისი. კვირა**

**RenTV**

15:45 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. IX ეტაპი. ბრიტანეთის გრანპრი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ცსკა-ინტერი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
17:15 FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
17:45 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ტომი (LIVE).
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
22:05 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვილიარეალი.
23:50 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ასტონ ვილა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ჰამბურგი.
08:55 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
09:25 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/2 ფინალი. გერმანია-თურქეთი.
11:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიგა დე კიტო (ეკვადორი).
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
14:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
15:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-რომა.
16:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-ბაიერნი.
18:30 მძლეოსნობა.
19:30 ფარიკაობა. ევროპის ჩემპიონატი. კიევი. უკრაინა (LIVE).
22:20 სპორტკლუბი.
22:30 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო-პალმეირასი (LIVE).
00:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. იუვენტუსი-რომა.
02:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-ბაიერნი.
04:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
06:20 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.

**EUROSPORT**

10:20 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. რუსეთი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-თურქეთი. ტაილანდი (LIVE).
13:00 ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრანპრი.
14:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ყაზახეთი. მაკაო (LIVE).
16:00 მულტისპორტი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
16:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი (LIVE).
19:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. რუსეთი (LIVE).
20:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. IV ტური. ესპანეთი-აშშ.
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-თურქეთი. ტაილანდი.
22:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:45 პროფესიული კრივი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი.
01:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. IV ტური. პოლონეთი-ჩინეთი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი (LIVE).
14:00 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. V ტური. ავსტრალია-ზელანდია.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. შვედეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. BMX. Suzuki Masters. დიუსელდორფი. გერმანია.
17:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. IV ტური. რუსეთი-კუბა.
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. შვედეთი (LIVE).
19:00 ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
19:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. მე-3 ადგილისთვის. საფრანგეთი (LIVE).
20:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. საფრანგეთი (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
21:45 ველოსპორტი. BMX. Suzuki Masters. დიუსელდორფი. გერმანია.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
00:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. IV ტური. პოლონეთი-ჩინეთი.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| კორკი-გალვეი | 3:2 |
| დროგედა-უნივერსიტი | 2:1 |
| შემროკი-კოზ რამბლერსი | 0:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

# დიადი და ბედნიერი



**თავისი 17-წლიანი კარიერის განმავლობაში, ლეგენდარულმა გერმანელმა შტეფანია გრაფმა იმდენი მოახერხა, რომ მას ყველა დროის ყველაზე დიად ჩოგბურთელს უწოდებენ. თითქმის ათი წელიწადი გავიდა დიდი ჩოგბურთიდან მისი წასვლის შემდეგ და ამ პერიოდში, გრაფმა მორიგ გამარჯვებას მიაღწია - უბედნიერესი ადამიანი გახდა.**

**შტეფი გრაფი** 1969 წლის 4 ივნისს, გერმანიის ქალაქ მანჰაიმში დაიბადა. ის ჩოგბურთზე შეშლილი ტიპიური მამის ტიპიური შვილი იყო. **პიტერ გრაფი**, მეორადი მანქანების არშემდგარი ვაჭარი, სოლიდურ ასაკში ჩოგბურთზე გადაერთო. მისგან დიდი მოთამაშე არ გამოვიდა, სამაგიეროდ, მწვრთნელის რანგში გაითქვა სახელი.

პიტერმა შტეფის მეცადინეობა მაშინ დაიწყო, როცა მის ქალიშვილს სამი წელი შეუსრულდა. ამისთვის მან თავის ჩოგანს ტარი დაუმოკლა, სახლის სარდაფში ორი სკამი დააყენა, მათ შორის თოკი გააბა, რომელიც ბადის როლს თამაშობდა. 25 უშეცდომო დარტყმის სანაცვლოდ, სამი წლის შტეფი ორცხობილას იღებდა, 50 დარტყმისთვის - თავის საყვარელ ტკბილეულს, მარწყვის ნაყინს.

*"ჩვეულებრივ, როცა ბავშვები ბურთის მოგერიებას ახერხებენ, შემდეგ მშობლებს უყურებენ და მათგან შექებას ელიან, შტეფი კი, ბურთს თვალს არ აცილებდა"*, - ყვებოდა თავის დროზე პიტერ გრაფი ჟურნალ Tennis-სთვის მიცემულ ინტერვიუში. ის, რომ შტეფი ოდესღაც პირველი ჩოგანი გახდებოდა, პიტერს მაში ეჭვი არ ეპარებოდა.

პატარებს შორის პირველი ტურნირი გრაფმა ექვსი წლის ასაკში მოიგო. მამამ ნიჭიერება გამოიჩინა და მიხვდა, რომ შტეფის აუცილებლად სჭირდებოდა პროფესიონალი მწვრთნელის დახმარება. ამისთვის პიტერმა სლოვენიელ **ბორის ბრესკვარს** მიმართა, რომელიც მაშინ გერმანიაში მუშაობდა. სხვათა შორის, საჩოგბურთო სკოლაში, შტეფის, როგორც ყველაზე ძლიერ გოგონას, სპარინგისთვის ყველაზე სუსტ ბიჭთან აყენებდნენ. ამ მაწვილს **ბორის ბეკერი** ერქვა.

12 წლის გრაფმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, 13 წლისა, პროფესიონალებს შორის შევიდა და სპორტის ამ სახეობის ისტორიაში, მეორე ყველაზე ახალგაზრდა პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდა. 1986 წელს, 17 წლის ასაკში, ზედიზედ 24-მატჩიანი მოგებათა სერიის წყალობით, გერმანელმა WTA-ს რეიტინგის ათეულში შეაღწია, 1987 წელს კი, "დიდი სლემის" ტურნირზე პირველ გამარჯვებას მიაღწია: პარიზში დაუმარცხებელ **მარტინა ნავრატილოვას** მოუგო. ასე რომ, მსოფლიო ჩოგბურთში გრაფის მოსვლით დასრულდა მთელი ეპოქა, რომელიც ორი ლეგენდარული ამერიკელის - მარტინა ნავრატილოვასა და **კრის ევერტის** პაექრობის ნიშნით მიმდინარეობდა.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, შტეფი კორტზე სერიოზულობის განსახიერებას წარმოადგენდა. ჟურნალისტ **სანდრა ჰარვიტის** მაშინდელი სიტყვებით, *"შტეფი არასოდეს ჰგავდა უაზროდ მომცინარ თინეიჯერს. ის კორტზე ყოველთვის ისე გადიოდა, თითქოს მთელი სამყაროს ზრუნვა მის კისერზე იყო"*.

1987 წელს, მას დიდ გამარჯვებებს უწინასწარმეტყველებდნენ. ის სეზონი ფლორიდაში დაიწყო, სადაც გაანადგურა თავისი მეტოქეები: 56 წუთში ნავრატილოვა და 59 წუთში - ევერტი. იმავე წელს, სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ გერმანელი "დიდ სლემს" (ერთ სეზონში ოთხი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მოგება) მოიპოვებდა, მაგრამ იჩქარეს: უიმბლდონის ფინალში, გამოცდილმა მარტინა ნავრატილოვამ იპოვნა ახალგაზრდა გერმანელის სუსტი წერტილი - ბექჰენდი. "დიდი სლემი" არ შედგა (თუმცა ეს მიზანი გრაფმა 1988 წელს აისრულა), მაგრამ ძალიან მალე, შტეფი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა.

1988 წლის დასაწყისში, "დიდი სლემის" მფლობელმა **მარგარეტ კორტმა** გამოაცხადა - ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გერმანელი უახლოეს მომავალში გაიმეორებს ჩემს მიღწევასო: *"ის ბევრი რამით მგავს. მაგალითად, ჩემსავით სერიოზულია თამაშის დროს. შტეფი ძალიან მესიმპათიურება. ფიზიკური ფორმის თვალსაზრისით, ის დღეს საუკეთესოა მსოფლიოში. მას მანამდეც გააჩნდა უმაღლესი საშემსრულებლო ტექნიკა, ხოლო, როცა ფიზიკური ფორმაც აიმაღლა, ძალიან გაიჭრა წინ. ეს ფაქტორი მატჩების დროს, ტაქტიკის ვარირების საშუალებას აძლევს. ახლა, გრაფი ხშირად გადის ბადესთან და ძველებურად აღარ არის ჩარჩენილი უკანა ხაზზე. ვგრძნობ, რომ ბრწყინვალე მომავალი აქვს და ბევრი რეკორდის დამხობას მოახერხებს"*.

და შტეფიმ გაამართლა ეს მოლოდინი. ის 186 კვირის განმავლობაში ინარჩუნებდა ლიდერობას, ჯამში კი, 377 კვირა იყო რეიტინგის ლიდერი - ეს აბსოლუტური მსოფლიო რეკორდია. სულ "დიდი სლემის" ტურნირებზე 22-ჯერ გაიმარჯვა: ოთხჯერ ავსტრალიაში, ხუთჯერ აშშ-ის ღია პირველობაზე, ექვსჯერ - როლან გაროსზე და შვიდჯერ - უიმბლდონზე.

თუ როგორი იყო შტეფი კორტზე, ამას ყველაზე ზუსტი განსაზღვრება კიდევ ერთმა ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა, **ბილი ჯინ კინგმა** მისცა: *"ის ნამდვილი ჩემპიონია. შტეფი სრულყოფისკენ ისწრაფვის, მუდმივად ცდილობს თამაშის გაუმჯობესებას. თამაშის დროს კი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მატჩი მისთვის სასურველი სცენარით წარმართოს. ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ მისი მეტოქეები ბევრ შეცდომას უშვებენ, მაგრამ დიადი მოთამაშეები სწორედ იმით არიან გამორჩეული, რომ მოწინააღმდეგეებს შეცდომის დაშვებას აიძულებენ. პირველივე დანახვისთანავე მივხვდი - ის დიადთა რიცხვს განეკუთვნება. შტეფი ბემბივით იყო - ისეთივე წვრილ და მაღალ ფეხებზე იდგა, მაგრამ როცა მისი ფორჰენდი დავინახე, უკვე ვიცოდი, რომ ის ბურთები, რომელსაც გრაფი აუტში უშვებდა, რამდენიმე წლის შემდეგ, ზუსტად მიზანში მოარტყამდა. გარდა ამისა, შტეფის ძალიან უყვარს მძაფრი კონკურენციის პირობებში თამაში - ეს მისთვის ნამდვილი გამოწვევაა"*.

როგორც ბილი ჯინ კინგმა იწინასწარმეტყველა, შტეფის თამაშმა სრულყოფად მიაღწია. ამ ანალიზი, რომელიც LTA-ს სპეციალისტმა **ჯონ იანდელმა** თავისი მოსწავლეებისთვის გააკეთა: *"როცა შტეფი გრაფს ვიხსენებთ, პირველ რიგში, გონებაში ამოტივტივდება მისი უძლიერესი ფორჰენდი, ფეხების არანორმალური მუშაობა და მთლიანობაში, მისი სპორტული შესაძლებლობები. გრაფის ტაქტიკური ვარიანტების უმრავლესობა მის ფორჰენდზეა აგებული, რომელსაც ის დიდი სიზუსტითა და გიჟური სისწრაფით ასრულებს. შტეფის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ შეუძლია ნებისმიერი მოწინააღმდეგე აიძულოს მხოლოდ მისი ფორჰენდის მოგერიებით იყოს დაკავებული. ამით ის, ტაქტიკურად ალარიბებს მეტოქის მოქმედებას. ძალა, სიზუსტე, კონტროლი - ეს არის გრაფის ფორჰენდის ძირითადი მახასიათებლები. მარცხნიდან დარტყმას, ანუ ბექჰენდს რაც შეეხება, ის უფრო აკურატულია, ძალიან ზუსტი. შტეფი მარცხნიდან ბურთებს ღრმად, კორტის კუთხეებში გზავნის, ხან მოკლე დარტყმებს ასრულებს და ეს ყველაფერი ერთი და იგივე მოძრაობით კეთდება. ამასთან, გრაფს შეუძლია ძალიან დაბლა გაუშვას ბურთი. ამაშია ასეთი დარტყმების ეფექტურობა: ის მოწინააღმდეგეს აიძულებს, ქვემოდან ზემოთ დაარტყას, რაც საკმაოდ რთული შესასრულებელია. გრაფი თავის ძლიერ მხარეებს იდეალურად იყენებს და მეტოქეებს საჩუქარს იშვიათად უკეთებს. დაბოლოს, მას შეუძლია საათობით შეინარჩუნოს კონცენტრაცია. ქების ღირსია მისი უნარი, თანაბარ დონეზე წარმართოს მთელი ტურნირი"*.

**ბად კოლინზმა** შტეფის "ფროილაინ ფორჰენდი" შეარქვა, **ზინა გარისონი** ამბობდა, რომ *"მისი ფორჰენდი, უბრალოდ, შიშს იწვევს"*, **კარლინგ ბასეტ სეგუსო** კი, ამტკიცებდა, რომ *"ზოგიერთი რალაცეები, რასაც ის კორტზე აკეთებს, უბრალოდ, არაადამიანურად გვეჩვენება"*.

თავისი ჩაკეტილი ხასიათის გამო, "ჩოგბურთის გრეტა გარბო" შეარქვეს. ის მთლიანად მამამისზე იყო დამოკიდებული, ყოველთვის ცდილობდა, იდეალური ყოფილიყო და პრესისთვის ჭორაობის საბაბი არასოდეს მიუცია. პაპარაცები ამაოდ ცდილობდნენ შტეფის საეჭვო კამპანიაში დაფიქსირებას და ბოლოს თავი დაანებეს მას.

მაგრამ იდეალურ შტეფის ჰქონდა მომენტები, როცა მას შეეძლო პრესკონფერენციებზე ეტირა. 1993 წელს, გრაფის გიჟმა გულშემატკივარმა **მონიკა სელეში** დაჭრა და ჟურნალისტებმა ძალიან გაანწვალეს გერმანელი ამ თემაზე კითხვებით. მოგვიანებით, მას იმ ადამიანმა უღალატა, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობდა. 1995 წელს, პიტერ გრაფი, რომელიც შვილის ფინანსურ საქმეებს განაგებდა, გადასახადების დამალვაში ამხილეს და ციხეში გაისტუმრეს. ეს ისტორია დიდი ხანი თან სდევდა ჩოგბურთელს და 1997 წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე ასეთი ყურადღებით დატანჯულმა გრაფმა, ჟურნალისტებს განუცხადა: *"იქნებ გეყოთ, ბიჭებო?"*.

გრაფი ტრავმებმა გაანამეს, მის თამაშში სულ უფრო ხშირად შეინიშნებოდა ჩავარდნა, გამოჩნდნენ ახალგაზრდა მეტოქეები, მაგალითად, **მარტინა ჰინგისი**... მაგრამ შტეფი კარიერის დასრულებას არ აპირებდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, რეიტინგში მეხუთე ადგილზე ქვემოთ არ ჩამოსულა, 1999 წელს, სწორედ ჰინგისს როლან გაროსის ფინალი მოუგო, შემდეგ, უიმბლდონის ფინალშიც გავიდა. და ამ დროს, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნიუ იორკში მიდიოდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ დასრულდა მისი უდიდებულესობისთვის განკუთვნილი დრო. და დადგა ბედნიერების ჟამი - შტეფი **ანდრე აგასის** შეხვდა.

თავიდან, როცა ისინი სხვადასხვა ადგილას ერთად ჩნდებოდნენ, ვერც ერთმა ჟურნალისტმა ამაში საეჭვო ვერაფერი დაინახა. თანაც, მანამდე შვიდი წელიწადი, გრაფი გერმანელი ავტომრბოლის, **მიხაელ ბარტელსის** მეგობრად ითვლებოდა და ეს რომანი წესით, 1998 წელს ნიშნობით უნდა დასრულებულიყო. მაშინაც ვერავინ ვერაფერს მიხვდა, როცა 1999 წლის როლან გაროსის შემდეგ, გრაფი და აგასი არ ერიდებოდნენ საზოგადოების წინაშე ხვევნა-კოცნას. და მხოლოდ იმავე წლის აგვისტოში, კარიერის დასრულების შემდეგ, უცებ ცხადი გახდა, რომ ეს ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობა იყო.

შტეფი სპორტიდან სწრაფად წავიდა. თავისი ვარსკვლავური სტატუსი მის მამაკაცურ სურვილს შესწირა და ამის შემდეგ, ანდრეს ყველა ტურნირზე თან დაყვებოდა. ის კი, 30 წლის ასაკში, ახალგაზრდებზე ცუდად არ თამაშობდა და ცოლის დახმარებით, ჩოგბურთში რიხით დაბრუნდა.

მათ 2001 წლის ოქტომბერში, ლას ვეგასში იქორწინეს. თანაც ეს საიდუმლოდ გააკეთეს, ზედმეტი ხმაურის გარეშე. უკვე ერთი კვირის შემდეგ, შტეფიმ ბიჭი გააჩინა. კიდევ ორ წელიწადში, ოჯახს მეოთხე წევრი შეემატა - ქალიშვილი **ჯაზი**. ასეთი ლეგენდარული მშობლების შვილებს, უკვე დღეს უწინასწარმეტყველებენ დიდ საჩოგბურთო მომავალს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ფირმა 10 მილიონ დოლარს გადაუხდის **ჯეიდენ აგასის**, თუ ის 2017 წელს, 16 წლის ასაკში პროფესიულ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. საინტერესოა, რომ დღეს ინტერნეტში შესაძლებელია იმ საჩოგბურთო მატჩზე პროგნოზის გაკეთება, რომელშიც (სავარაუდოდ) **სამპრასისა** და აგასის შვილები ითამაშებენ.

დღეს, აგასების ოჯახში ყველაფერი კარგადაა. ბიზნესი, ქველმოქმედება, ოჯახი, ბავშვები - ისინი ყველაფერს ერთად აკეთებენ. შტეფი კვლავაც ჩრდილშია, ცდილობს, აკონტროლოს თავისი ტემპერამენტიანი მეუღლე, ანდრე კი, დიდი სიამოვნებით იღებს თავზე გარე სამყაროსთან მოკავშირის ფუნქციებს.

დაგვრჩა მათი თანაცხოვრებიდან ერთი ეპიზოდის გახსენება. 2004 წელს, შტეფანია (ჩოგბურთელი ითხოვს, დღეს ყველამ ამ სახელით მიმართოს) გრაფი ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზში წარადგინეს. ეს პატივი მის მეუღლეს, ანდრე აგასის ერგო, რომელიც ჩვეულებრივ ტიროდა და გარშემო მყოფებიც აატირა. მან თქვა: *"შენ არასოდეს განსაზღვრავდი საკუთარ თავს იმით, რასაც კარიერაში მიაღწიე. შენმა ცხოვრებამ ყველაზე მოახდინა გავლენა. ბატონებო და ქალბატონებო, წარმოგიდგენთ უდიდეს ადამიანს, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ"*. და იცით, რა უპასუხა მას შტეფანიამ? მან თქვა: *"საუკეთესო, რაც ჩემთვის ჩოგბურთში მომხდარა, ეს შენთან შეხვედრა იყო. ამისთვის, ყოველთვის მისი მადლიერი ვიქნები"*.

**გია თვალაბეიშვილი**

